

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №463

2019 წლის 20 სექტემბერი

ქ. თბილისი

ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილისა და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს:

ა) „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესი“, თანდართული დანართებით;

ბ) „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესი“, თანდართული დანართებით.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილება.

მუხლი 3

1. დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან, გარდა ამ დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და დანართ №12-ისა („მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლის სიხშირის შემცირების კრიტერიუმები და პირობები“).

2. ამ დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და დანართი №12 („მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლის სიხშირის შემცირების კრიტერიუმები და პირობები“) ამოქმედდეს 2020 წლის 1 მარტიდან.

მუხლი 4

1. 2021 წლის 1 მარტამდე, საზღვაო გზით შემოტანილი საქონლის მიმართ ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო ან/და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელებისას, ფიტოსანიტარიული ან/და ვეტერინარული სერტიფიკატი შესაძლებელია, წარდგენილ იქნეს რეგულირებად/კონტროლის ობიექტზე პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში) დამოწმებული ასლის სახით, ელექტრონულად ან მატერიალური ფორმით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ფიტოსანიტარიული/ვეტერინარული კონტროლის დასრულების შემდგომ, რეგულირებად/კონტროლის ობიექტზე პასუხისმგებელ პირს გადაეცემა წერილობითი შეტყობინება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი ფორმით, ასლის სახით წარდგენილი ფიტოსანიტარიული ან/და ვეტერინარული სერტიფიკატის ორიგინალის სსიპ – შემოსავლების სამსახურში წარდგენის ვალდებულების თაობაზე და განესაზღვრება ორიგინალის წარდგენის ვადა, არაუმეტეს 30 კალენდარული დღით.

3. ფიტოსანიტარიული ან/და ვეტერინარული სერტიფიკატის ორიგინალის ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობა გამოიწვევს პირის პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.





ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესი

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი და გამოყენების სფერო

1. ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესი (შემდგომში – ფიტოსანიტარიული წესი) განსაზღვრავს ფიტოსანიტარიულ პროცედურებს, რომლებიც მიმართულია მცენარეთა და მცენარეული პროდუქტების მავნე ორგანიზმების ქვეყანაში შემოჭრისა და გავრცელების წინააღმდეგ. ფიტოსანიტარიული წესი შემუშავებულია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ 1951 წლის 6 დეკემბერს დამტკიცებული მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის (IPPC) პრინციპებისა და დებულებების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე გათვალისწინებულია ამ სფეროში ევროკავშირში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, მათ შორის, „ევროკავშირში მცენარეებისა და მცენარეული პროდუქტებისათვის მავნე ორგანიზმების შეტანისა და გავრცელების დამცავი ზომების დაწესების შესახებ“ ევროსაბჭოს 2000 წლის 8 მაისის №2000/29/EC დირექტივის მოთხოვნები.

2. ფიტოსანიტარიული წესი ვრცელდება ამ დადგენილების №1 დანართით განსაზღვრულ ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შემოტანასა და გატანაზე, ასევე, შესაძლებელია გავრცელდეს დასაწყობების ადგილებზე, ტარაზე, სატრანსპორტო საშუალებებზე, კონტეინერებსა და რაიმე სხვა ორგანიზმებზე, ობიექტზე ან მასალაზე, რომლებშიც შესაძლებელია არსებობდეს მავნე ორგანიზმები, ან რომლებიც შესაძლებელია წარმოადგენდნენ მათ სამალავებს.

3. ამ დადგენილების №1 დანართით განსაზღვრული, ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი თავისუფალი უნდა იყოს ამ ფიტოსანიტარიული წესის №10 და №11 დანართებში მითითებული საკარანტინო მავნე ორგანიზმებისაგან.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე ფიტოსანიტარიულ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

ა) **ანალიზი** – მავნე ორგანიზმების გამოვლენის ან მათი იდენტიფიკაციის მიზნით ჩატარებული არავიზუალური გამოკვლევა;

ბ) **აკრძალვა** – ფიტოსანიტარიული რეგლამენტაცია, რომელიც კრძალავს განსაზღვრული მავნე ორგანიზმის ან საქონლის იმპორტს ან გადაადგილებას;

გ) **გადამუშავება** – ნებისმიერი საწარმოო პროცესი, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის პირველად პროდუქტს და რომლის გამოყენების შემდეგ საქონელი აღარ შეიძლება იყოს დასნებოვნებული მავნე ორგანიზმით;

დ) **გამცემი ორგანო** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური;

ე) **დამუშავება** – პროცედურები, მავნე ორგანიზმის განადგურების, ინაქტივაციის, მოშორების, სტერილიზაციის ან დევიტალიზაციის მიზნით;

ვ) **დასნებოვნება** – საქონელში ცოცხალი ორგანიზმის არსებობა, რომელიც წარმოადგენს მცენარის ან მცენარეული პროდუქტის მავნე ორგანიზმს. დასნებოვნება მოიცავს ინფიცირებას;

ზ) **დევიტალიზაცია** – პროცედურა, რომლის შემდეგაც მცენარე და მცენარეული პროდუქტები კარგავენ გაღივების, ზრდა-განვითარებისა და რეპროდუქციის უნარს;

თ) **დოკუმენტური შემოწმება** – ფიტოსანიტარიული პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნებართვის), ასევე რეგულირებადი ობიექტის თანმხლები სხვა დოკუმენტების შემოწმებას;

ი) **ვიზუალური შემოწმება** – მცენარეების, მცენარეული პროდუქტების ან სხვა რეგულირებადი ობიექტების ფიზიკური შემოწმება მავნე ორგანიზმების გამოვლენის მიზნით, შეუიარაღებელი თვალის, ლუპის, ბინოკულარის ან მიკროსკოპის საშუალებით, ანალიზისა და გადამუშავების გარეშე;

კ) **ინსპექტირება** – მცენარეების, მცენარეული პროდუქტების ან ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა მასალების ვიზუალური შემოწმება მავნე ორგანიზმების გამოვლენის მიზნით ან/და ფიტოსანიტარიულ ზომებთან შესაბამისობის დადგენა;

ლ) **ინტროდუქცია** – მავნე ორგანიზმების შემოჭრა, რომელსაც თან ახლავს მისი აკლიმატიზაცია;

მ) **იდენტურობის შემოწმება** – ფიტოსანიტარიული პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატსა და სხვა დოკუმენტში არსებული მონაცემების რეგულირებად ობიექტთან ურთიერთშედარებას, ასევე შეფუთვის, მარკირების მდგომარეობისა და ტრანსპორტირების პირობების დადგენას;

ნ) **კარანტინი** – რეგულირებადი ობიექტების შეჩერება, დაკვირვების და გამოკვლევის ან შემდგომი ინსპექტირების, ანალიზისა და დამუშავებისათვის;

ო) **კონტამინაცია** – საქონელში, დასაწყობების ადგილში, სატრანსპორტო საშუალებაში ან კონტეინერში მავნე ორგანიზმის ან სხვა რეგულირებადი ობიექტის არსებობა, რაც არ წარმოადგენს დასნებოვნებას;

პ) **მავნე ორგანიზმი** – მცენარეების ან მცენარეული პროდუქტებისთვის მავნე მცენარის, ცხოველის ან პათოგენური აგენტის ნებისმიერი სახეობა, სახესხვაობა ან ბიოტიპი;

ჟ) **მცენარეები** – ცოცხალი მცენარეები და მათი ნაწილები, თესლებისა და გენეტიკური მასალების ჩათვლით;

რ) **მცენარეული პროდუქტები** – მცენარეული წარმოშობის ნედლეული (მარცვლოვნების ჩათვლით) და გადამუშავებული პროდუქტები, რომლებიც, თავიანთი ბუნებიდან ან გადამუშავების ტექნოლოგიიდან გამომდინარე, ქმნიან მავნე ორგანიზმების ინტროდუქციისა და გავრცელების რისკს;

ს) **კონტროლი** – აუცილებელი ფიტოსანიტარიული რეგლამენტაციების სავალდებულო შესრულება, ასევე აუცილებელი ფიტოსანიტარიული პროცედურების გამოყენება, რომლის მიზანია საკარანტინო მავნე ორგანიზმის ლიკვიდაცია ან ლოკალიზაცია, ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმის მართვა;

ტ) **რეგულირებადი ობიექტი** – ნებისმიერი მცენარე, მცენარეული პროდუქტი, დასაწყობების ადგილი, შეფუთვა, სატრანსპორტო საშუალება, კონტეინერი, ნიადაგი და სხვა ორგანიზმი, ობიექტი ან მასალა, სადაც შესაძლებელია მავნე ორგანიზმის არსებობა, ან რომელიც ხელს უწყობს მის გავრცელებას, რომელთა მიმართ აუცილებელია გატარდეს ფიტოსანიტარიული ზომები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო გადაზიდვებს;

უ) **რეგულირებადი მავნე ორგანიზმი** – საკარანტინო მავნე ორგანიზმი ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმი;

ფ) **რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმი** – არასაკარანტინო მავნე ორგანიზმი, რომლის არსებობა სარგავ და სათესლე მასალაში იძლევა ეკონომიკურად არასასურველ ეფექტს ამ მცენარეების გამიზნული გამოყენების შემთხვევაში, რის გამოც ისინი რეგულირდება ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე იმპორტის განხორციელებისას;

ქ) **რეგულირებად ობიექტზე პასუხისმგებელი პირი** – რეგულირებადი ობიექტის მფლობელი, მესაკუთრე ან მათი წარმომადგენელი;

ღ) **რეექსპორტისთვის განკუთვნილი ტვირთი** – შემდგომი ექსპორტის მიზნით ქვეყანაში იმპორტირებული ტვირთი. შესაძლებელია ტვირთის შენახვა, დანაწევრება, სხვა ტვირთებთან შე-

რევა ან შეფუთვის შეცვლა, იმ პირობით, რომ მათ არ განუცდიათ მავნე ორგანიზმისაგან დასნებოვნება;

ყ) **საქონელი** – მცენარეთა, მცენარეული პროდუქტის ან სხვა მასალების სახეობა, რომელიც გადაადგილდება სავაჭრო ან სხვა მიზნებისთვის;

შ) **სასაქონლო პარტია** – ერთი დასახელების საქონლის რაოდენობა, რომელიც წარმოადგენს ტვირთის ნაწილს და რომლის იდენტიფიცირებაც შესაძლებელია შემადგენლობის ჰომოგენურობის, წარმოშობის და ა.შ. მიხედვით;

ჩ) **საკარანტინო ზონა** – ეწოდება ზონას, რომელშიც არსებობს საკარანტინო მავნე ორგანიზმი და მიმდინარეობს ბრძოლა მის წინააღმდეგ;

ც) **საკარანტინო სადგომი** – სადგომი, სადაც შესაძლებელია მცენარეებისა და მცენარეული პროდუქტების კარანტინში განთავსება;

ძ) **საკარანტინო მავნე ორგანიზმი** – მავნე ორგანიზმი, რომელსაც პოტენციური ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს საფრთხეს დაქვემდებარებული იმ ზონისათვის, რომელშიც ის ჯერ არ არსებობს, ან არსებობს, მაგრამ შეზღუდულადაა გავრცელებული და იმყოფება კონტროლის ქვეშ (საქართველოსთვის მცენარეთა საკარანტინო მავნე ორგანიზმების ნუსხა განსაზღვრულია №10 დანართით);

წ) **სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი** – საქართველოს საბაჟო საზღვართან მდებარე საბაჟო კონტროლის ზონა, ასევე საბაჟო ორგანოს საწყობი, ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურის მიერ რეგულირებადი ობიექტების მიმართ ხორციელდება ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი;

ჭ) **ტვირთი** – მცენარეების, მცენარეული პროდუქტების ან/და სხვა მასალების გარკვეული რაოდენობა, რომელიც ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაადგილდება და რომელზეც, საჭიროების შემთხვევაში, გაცემულია ერთი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი (ტვირთი შესაძლებელია შედგებოდეს ერთი ან მეტი სახეობის საქონლის ან სასაქონლო პარტიისგან);

ხ) **ტრანზიტული ტვირთი** – ტვირთი, რომელიც არ არის განკუთვნილი ქვეყანაში იმპორტისათვის, არამედ გადაადგილდება მისი გავლით სხვა ქვეყანაში გახსნის, დანაწევრების, სხვა ტვირთებთან შერევისა და შეფუთვის შეცვლის გარეშე, რომლებსაც არ განუცდიათ მავნე ორგანიზმისგან დასნებოვნება;

ჯ) **უფლებამოსილი პირი** – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურის, სათანადო განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება განახორციელოს ფიტოსანიტარიული პროცედურები;

3) **ფიტოსანიტარიული იმპორტის მოთხოვნები** – სპეციფიკური ფიტოსანიტარიული ზომები, რომლებიც დადგენილია იმპორტიორი ქვეყნის მიერ ამ ქვეყანაში შემავალი ტვირთების მიმართ;

3¹⁾ **ფიტოსანიტარიული პროცედურა** – ფიტოსანიტარიული ზომების გამოყენების მეთოდი, რომელიც მოიცავს რეგულირებადი მავნე ორგანიზმის მიმართ ინსპექტირების, ანალიზის, ზედამხედველობის ან დამუშავების ჩატარებას;

3²⁾ **ფიტოსანიტარიული რეგლამენტაცია** – კანონმდებლობით დადგენილი წესი, რომლის მიზანია საკარანტინო მავნე ორგანიზმის ინტროდუქციის ან/და გავრცელების აღკვეთა, ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმის მიერ გამოწვეული ეკონომიური ზარალის შემცირება, ფიტოსანიტარიული სერტიფიცირების პროცედურების ჩათვლით;

3³⁾ **ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება** – ფიტოსანიტარიული პროცედურების გამოყენება, რაც განაპირობებს ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემას;

3⁴⁾ **ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი** – დოკუმენტი, რომელიც მომზადებულია მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად და ადასტურებს, რომ ტვირთი შეესაბამება იმპორტის ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებს;

35) ფიტოსანიტარიული ზომა – შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც მიზნად ისახავს საკარანტინო მავნე ორგანიზმის ინტროდუქციის ან/და გავრცელების აღკვეთას, ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმისაგან გამოწვეული ეკონომიკური ზარალის შემცირებას;

36) მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლი – ფიტოსანიტარიული პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს რეგულირებადი ობიექტის ინსპექტირებას;

37) შეტანა – ტვირთის გადაადგილება ზონაში შეტანის პუნქტის გავლით;

38) წარმოშობის ქვეყანა (მცენარეებისგან შემდგარი ტვირთის შემთხვევაში) – ქვეყანა, სადაც მცენარეები იქნა მოყვანილი;

39) წარმოშობის ქვეყანა (მცენარეული წარმოშობის პროდუქტებისგან შემდგარი ტვირთის შემთხვევაში) – ქვეყანა, სადაც მოყვანილ იქნა მცენარეები, რომელთაგანაც მიღებულია მოცემული მცენარეული პროდუქტები;

310) წარმოშობის ქვეყანა (რეგულირებადი ობიექტები, გარდა მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქტებისა) – ქვეყანა, სადაც მოცემულ რეგულირებად ობიექტებს შესაძლოა პირველად შექმნილია მავნე ორგანიზმისაგან დასნებოვნების საფრთხე;

311) წარმოების ადგილი – ნებისმიერი მიწის ნაკვეთი ან ნაკვეთების ერთიანობა, რომელიც გამოიყენება, როგორც ერთი საწარმო ან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთეული. იგი შეიძლება მოიცავდეს ასევე ნაკვეთებს, რომლებიც იმართება ცალკე, ფიტოსანიტარიული დანიშნულებით.

312) ნიადაგი – დედამიწის ზედა ნაყოფიერი ფენა, რომელიც შექმნილია ნიადაგწარმომქმნელ ფაქტორთა ხანგრძლივი ურთიერთმოქმედების შედეგად;

313) ნაყოფიერება – ნიადაგის უმთავრესი და არსებითი თვისება და უნარი უზრუნველყოს მცენარის მოთხოვნილებები ფესვური კვების ელემენტებსა და წყალზე, შექმნას შესაბამისი ჰაეროვანი და თბური რეჟიმი და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი.

თავი II

ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შემოტანა, გადაადგილება და განადგურება

მუხლი 3. უფლებამოსილი ორგანო და პერსონალის კვალიფიკაცია

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – ეროვნული სააგენტო) განსაზღვრავს ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შემოტანის პირობებს.

2. ფიტოსანიტარიული წესით გათვალისწინებულ ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური).

3. ფიტოსანიტარიული წესით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტური შესრულების მიზნით შემოსავლების სამსახურს სამუშაოდ აჰყავს სათანადო განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე პირი.

მუხლი 4. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა

1. ტვირთს იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის (საჭიროების შემთხვევაში) დროს თან უნდა ახლდეს ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი ან რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი. რეექსპორტის შემთხვევაში, შესაძლებელია ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის დამოწმებული ასლის წარდგენა.

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, იმპორტისთვის გამოზნულ ტვირთს უნდა ახლდეს ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

3. ერთი იმპორტის ნებართვის საფუძველზე შესაძლებელია ტვირთის საქართველოში შემოტანა განხორციელდეს ეტაპობრივად, რამდენიმე სატრანსპორტო საშუალებით, თუ საქონლის თანმხლები დოკუმენტებით დასტურდება, რომ თითოეული სასაქონლო პარტია არის იმ ტვირთის ნაწილი, რომელზეც გაიცა იმპორტის ნებართვა.

მუხლი 5. წინასწარი შეტყობინება

1. საქართველოს საბაჟო საზღვარზე ტვირთის შემოტანისას, რეგულირებადი ობიექტისათვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია გაუგზავნოს შემოსატანი ტვირთის შესახებ მონაცემები იმ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს, რომლის გავლითაც მოხდება ტვირთის შემოტანა (გარდა ტრანზიტული ტვირთის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისა):

ა) სახმელეთო გზით შემოტანამდე – 24 საათით ადრე;

ბ) საზღვაო გზით შემოტანისას – სატვირთო ოპერაციების დაწყებამდე 24 საათით ადრე;

გ) საჰაერო გზით შემოტანისას – საჰაერო ხომალდის საქართველოს საერთაშორისო აეროპორტში დაფრენამდე არანაკლებ 2 საათით ადრე.

2. წინასწარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მონაცემებს იმპორტის ნებართვის ან ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის, ან ტვირთის თანმხლები სხვა დოკუმენტის არსებობის შესახებ (გაცემის თარიღი, გამცემი ორგანოს სრული დასახელება), აგრეთვე, საქონლის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაციას.

3. წინასწარი შეტყობინების შევსების წესი და ინფორმაციის გადაცემის საშუალება განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. ტვირთზე ფიტოსანიტარიული პროცედურების განხორციელება იწყება სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში წინასწარი შეტყობინების მიღების შემდეგ.

მუხლი 6. ფიტოსანიტარიული პროცედურები

1. საქართველოში შემოსატანად გამიზნული ტვირთი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში ექვემდებარება:

ა) დოკუმენტურ შემოწმებას;

ბ) იდენტურობის შემოწმებას;

გ) მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლს;

დ) ნიმუშის აღებას ადგილზე ინსპექტირებისათვის ან ლაბორატორიული ანალიზისათვის.

2. მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლის შემცირებულ სიხშირეს დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა და შესაბამისი სიხშირის დონე მტკიცდება ამ წესის №12 დანართით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა და პირობების შესაბამისად, ეროვნული სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება შემოსავლების სამსახურს და ქვეყნდება ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფიტოსანიტარიული პროცედურების რაოდენობის სიხშირის განსაზღვრის მიზნით, რისკზე დაფუძნებული, ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული „მონიტორინგის გეგმა“ მტკიცდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. სარკინიგზო ტრანსპორტით საქონლის შემოტანისას ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურები შესაძლებელია გადატანილ იქნეს საქონლის დანიშნულების ადგილზე.

5. თუ რეგულირებად ობიექტზე პასუხისმგებელი პირი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის დროს საბაჟო გამშვებ პუნქტშივე აცხადებს საქონლის მიმართ რეექსპორტის გამოყენების განზრახვას და მისი განხორციელებისა და დასრულების მიზნით საქონელს ათავსებს დროებითი შენახვის ადგილზე, ამ შემთხვევაში, საქონლის მიმართ

ხორციელდება ამ ფიტოსანიტარიული წესის მე-11 მუხლით განსაზღვრული ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურები.

6. საქართველოში უკან დაბრუნებული ტვირთი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში ექვემდებარება დოკუმენტურ და იდენტურობის შემოწმებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლს.

7. უკანდაბრუნებული ტვირთის დოკუმენტური შემოწმების ჩატარების მიზნით, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს წარედგინება ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ტვირთის სხვა თანხმლები დოკუმენტები.

მუხლი 7. დოკუმენტური შემოწმება

1. ფიტოსანიტარიული კონტროლის ჩატარების მიზნით სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი (ორიგინალი, ხოლო ტრანზიტის შემთხვევაში შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს ორიგინალი დოკუმენტის სკანირებული ვერსია ელექტრონულად);

ბ) იმპორტის ნებართვა (საჭიროების შემთხვევაში);

გ) წინასწარი შეტყობინება;

დ) კანონმდებლობით განსაზღვრული საქონლის სხვა თანხმლები დოკუმენტები.

2. დოკუმენტური შემოწმება მოიცავს:

ა) ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ფორმისა და შინაარსის შესაბამისობის დადგენას დამტკიცებულ მოდელთან (მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის (IPPS) დანართით დამტკიცებული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ნიმუშის ფორმასთან, იგი გაფორმებული უნდა იყოს ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტის (ISPM) №12-ის შესაბამისად);

ბ) ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის სრულყოფილად შევსების შემოწმებას, მასზე ბეჭდისა და ხელმოწერის ჩათვლით (მცენარეთა ბოტანიკური სახელწოდებები მითითებული უნდა იყოს ლათინურ ენაზე);

გ) ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატში, იმპორტის ნებართვაში, წინასწარი შეტყობინებისა (დანართი № 2-ის პირველი ნაწილი) და კანონმდებლობით განსაზღვრული თანხმლები დოკუმენტაციის მონაცემების (წარმოშობის სერტიფიკატი, ანგარიშფაქტურა (ინვოისი), სატრანსპორტო ზედდებული, იმპორტის ნებართვა და სხვა დოკუმენტები) ურთიერთშესაბამისობის დადგენას.

მუხლი 8. იდენტურობის შემოწმება

საქონლის იდენტურობის შემოწმება ითვალისწინებს:

ა) სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული ლუქის მთლიანობის შემოწმებას, მისი საიდენტიფიკაციო ნომრის შედარებას ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ან/და სხვა დოკუმენტების მონაცემებთან;

ბ) საქონელზე (შეფუთვაზე, ყუთებზე და ა.შ.) არსებული მონაცემების (მარკირების) შედარებას ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატში ან/და სხვა დოკუმენტებში არსებულ მონაცემებთან (თუ მცენარეები, მცენარეული წარმოშობის პროდუქტები შეფუთულია მუყაოს შესაფუთ მასალაში ან სხვა შეფუთვაში, დგინდება შეფუთვისა და მარკირების მდგომარეობა, ხოლო შეფუთვის არარსებობის შემთხვევაში, დგინდება, ტვირთი ერთგვაროვანია, თუ იგი შედგება სხვადასხვა სახის მცენარეებისგან ან მცენარეული წარმოშობის პროდუქტებისგან);

გ) ხის შესაფუთი მასალების შემოწმებას გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UN FAO) მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის (IPPC) ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტი – ISPM 15-ისა („სახელმძღვანელო საერთაშორისო ვაჭრობაში ხის შესაფუთი მასალის რეგულირებისათვის“) და „ტექნიკური

რეგლამენტის „შესაფუთი ხის მასალის რეგულირების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №477 დადგენილების შესაბამისად;

დ) ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატში აღნიშნული საქონლის სახეობისა და ტიპის შესაბამისობის დადგენას სატრანსპორტო საშუალებაში რეალურად არსებულ საქონელთან;

ე) საქონლის ტრანსპორტირების პირობების შემოწმებას;

ვ) საქონლის ფაქტობრივი რაოდენობის შესაბამისობის დადგენას ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატში აღნიშნულ რაოდენობასთან.

მუხლი 9. მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლი

მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლი ითვალისწინებს:

ა) რეგულირებადი ობიექტის ინსპექტირებას;

ბ) შეფუთვის ვარგისიანობის შემოწმებას;

გ) საქონლის შესაბამისობის შემოწმებას განსაზღვრულ ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან (დამუშავება, გადამუშავების ხარისხი, კონტამინაციის გამორიცხვა, აკრძალვა და ა.შ.).

მუხლი 10. ნიმუშის აღება

1. ნიმუშის აღება ხდება:

ა) ინსპექტირების მიზნით (ადგილზე შემოწმებისათვის ლუპის, ბინოკულარის ან მიკროსკოპის გამოყენებით);

ბ) ანალიზისათვის (ლაბორატორიული გამოკვლევისათვის) „მონიტორინგის გეგმის“ თანახმად ან იმ შემთხვევაში, თუ მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლისას დადგინდა, რომ აუცილებელია საქონლის დამატებითი შემოწმების ჩატარება.

გ) განმეორებით, იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის მფლობელი არ ეთანხმება ლაბორატორიული ანალიზის პირველად შედეგებს.

2. ნიმუშის აღება (მათ შორის, განმეორებით) ხდება საქონლის მფლობელის ხარჯით.

3. ნიმუშების აღება ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით და ამ სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ასევე საერთაშორისო, მათ შორის, ევროკავშირის სტანდარტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. გამოვლენილი მავნე ორგანიზმები და ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად აღებული ნიმუშები იდენტიფიკაციის დასადასტურებლად ან/და ანალიზისათვის იგზავნება შემოსავლების სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეულ, შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიაში.

5. მავნე ორგანიზმების აღმოჩენისას საქონელი ან/და საქონლის გადამამაღვლებელი სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება დამუშავებას ან ექსპორტიორ ქვეყანაში უკან დაბრუნებას.

6. დამუშავების შემდეგ საქონელი ექვემდებარება სიჯანსაღის შემოწმების ხელახალ პროცედურებს.

7. ნიმუშის განმეორებით აღება ხორციელდება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა საქონლის მფლობელს ლაბორატორიული ანალიზისათვის, ხოლო მეორე, რეფერენტული (შედარებითი) ნიმუშის სახით, ლაბორატორიული ანალიზის დასრულებამდე სათანადო პირობებში ინახება შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში. აღნიშნული ნიმუშის ეგზემპლარები საქონლის მფლობელსა და საბაჟო დეპარტამენტს გადაეცემა ნიმუშის ნომრის, დასახელების, წონის, რაოდენობისა და ნიმუშის აღების თარიღის მითითებით, დალუქულ მდგომარეობაში.

8. იმ შემთხვევაში, როდესაც განმეორებით აღებულ ნიმუშზე საქონლის მფლობელის მიერ ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზის შედეგი განსხვავდება შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზის პირველადი შედეგისაგან, ხორციელდება

რეფერენტული (შედარებითი) ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზი, რომლის ჩატარების ხარჯსაც ფარავს საქონლის მფლობელი.

9. იმ შემთხვევაში, თუ არ იქმნება რეფერენტული (შედარებითი) ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზის ჩატარების საჭიროება, ნიმუში უბრუნდება საქონლის მფლობელს.

10. რეფერენტული (შედარებითი) ნიმუშის ანალიზის ჩასატარებლად მხარეთა შეთანხმებით შეირჩევა:

ა) სხვა აკრედიტებული ლაბორატორია;

ბ) სხვა ქვეყნის საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ლაბორატორია.

11. რეფერენტული (შედარებითი) ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზის შედეგად გამოცემული დასკვნა საბოლოოა და მის საფუძველზე მიიღება ამ წესის მე-12 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილება.

მუხლი 11. ტრანზიტული საქონლის ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურები

1. იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანზიტული ტვირთი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილდება დახურული და დალუქული სატრანსპორტო საშუალებებით, არ დაიყოფა ნაწილებად, არ შეერევა სხვა საქონელს შემოტანისას, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში არ ექვემდებარება ფიტოსანიტარიულ კონტროლს.

2. იმ შემთხვევაში, თუ ტრანზიტული ტვირთი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილდება ღია ან/და დაუღუქავი სატრანსპორტო საშუალებით ან/და განკუთვნილია საწყობში დროებით შენახვისთვის ან/და ექვემდებარება გადატვირთვას ან დანაწევრებას ან სხვა ტვირთთან შერევას ან შეფუთვის შეცვლას, იგი ექვემდებარება ფიტოსანიტარიულ კონტროლს.

3. იმ შემთხვევაში, თუ ტვირთი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ფიტოსანიტარიული კონტროლის დასრულების შემდგომ, უფლებამოსილი პირის მიერ ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატზე ან რეექსპორტის ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატზე დაისმება ამ წესის №4 დანართით გათვალისწინებული აღნიშვნა – „ფიტოსანიტარიული კონტროლი ჩატარებულია“ და ელექტრონულ ჟურნალში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

ა) სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში ტვირთის შემოტანის თარიღი;

ბ) ტვირთში შემავალი საქონლის დასახელება;

გ) საქონლის წონა/რაოდენობა;

დ) ტვირთის თანხლები ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ან რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ნომერი;

ე) წარმოშობის ქვეყანა;

ვ) ტვირთის დანიშნულების ადგილი, მიმღები;

ზ) მიღებული გადაწყვეტილება.

4. თუ რეგულირებადი ობიექტი არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ტრანზიტული ტვირთის მიმართ განხორციელებული ფიტოსანიტარიული კონტროლის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება აისახება „საერთო ფიტოსანიტარიულ შესვლის დოკუმენტში“ (დანართი №2-ის მე-2 ნაწილი).

5. როდესაც ხორციელდება ტრანზიტული ტვირთის სატრანსპორტო საშუალების შეცვლა და საქონელი შეფუთულია, ტრანზიტული ტვირთი ექვემდებარება დოკუმენტურ შემოწმებას და, საჭიროების შემთხვევაში, ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ფიტოსანიტარიულ პროცედურებს.

6. ტრანზიტული ტვირთის იმპორტში მოქცევა შესაძლებელია, თუ განხორციელებული ფიტოსანიტარიული პროცედურების შედეგად დასტურდება, რომ იგი შეესაბამება ფიტოსანიტარიული იმპორტის მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში, იმპორტის მოთხოვნად არ განიხილება ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატში მითითებული დანიშნულების ქვეყანა და მიმღები.

მუხლი 12. ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები

1. ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების შედეგად მიიღება შემდეგი გადაწყვეტილებები:

ა) თუ რეგულირებადი ობიექტი აკმაყოფილებს ფიტოსანიტარიულ ზომებს, მას ეძლევა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის უფლება, ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატზე დაისმება ამ წესის №4 დანართით გათვალისწინებული აღნიშვნა: „ფიტოსანიტარიული კონტროლი ჩატარებულია“;

ბ) თუ რეგულირებადი ობიექტი არ აკმაყოფილებს ფიტოსანიტარიულ ზომებს:

ბ.ა) მას ეკრძალება საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა, ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატზე ან სხვა დოკუმენტზე დაისმება ამ წესის №3 დანართით გათვალისწინებული აღნიშვნა: „საქონლის შემოტანაზე უარი ითქვა – დაბრუნებულია“;

ბ.ბ) შესაძლებელია დაექვემდებაროს დამუშავებას, დახარისხებას, შეფუთვის შეცვლას ან გადამუშავებას, თუ აღნიშნული ქმედება გამორიცხავს გამოვლენილ რისკს;

გ) შეჩერება – სათანადო დასაბუთების არსებობისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა დამატებით დოკუმენტების წარდგენა (საჭირო დოკუმენტების წარდგენისათვის პირს ეძლევა 3 სამუშაო დღის ვადა, ხოლო საზღვაო გზით შემოტანილ საქონელზე – აღნიშნული ვადა ემთხვევა საბაჟო პროცედურის განსაზღვრის ვადას), დაკვირვება და გამოკვლევა ან შემდგომი ინსპექტირება, ანალიზი და დამუშავება. ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატზე დაისმება ამ წესის №9 დანართით გათვალისწინებული აღნიშვნა: „ექვემდებარება შეჩერებას“ და კონტროლის ობიექტი გადაადგილდება საკარანტინო სადგომზე;

დ) განადგურება – იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება საქონლის მფლობელის დადგენა ან იმ საქონლის გატანა, რომლის შემოტანაზეც უარი ითქვა. საქონლის განადგურება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. საკარანტინო მავნე ორგანიზმის გამოვლენისას ან მაშინ, თუ რეგულირებადი ობიექტი არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობითა და მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს, უფლებამოსილი პირი აღნიშნული ფაქტის გამოვლენიდან მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე, ამ წესის №6 დანართის შესაბამისად, აცნობებს ეროვნულ სააგენტოს, რომელიც უზრუნველყოფს შეტყობინებას ექსპორტიორი ქვეყნის მცენარეთა დაცვის სამსახურს, ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტ №13-ის „სახელმძღვანელო შესაბამისობისა და გადაუდებელი ქმედებების ნოტიფიკაციისათვის“ მოთხოვნათა შესაბამისად.

3. თუ ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი არ აკმაყოფილებს ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებს და ამ საქონლის საქართველოში შემოტანაზე უარი ითქვა ან გაბრუნდა საქართველოდან, ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატზე ან რეექსპორტის ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატზე კეთდება წითელი ფერის აღნიშვნა: „სერტიფიკატი გაუქმებულია“, №5 დანართის შესაბამისად.

მუხლი 13. საერთო ფიტოსანიტარიული შესვლის დოკუმენტი

1. საერთო ფიტოსანიტარიული შესვლის დოკუმენტი შედგება წინასწარი შეტყობინებისა (ნაწილი I - მონაცემები ტვირტის შესახებ, რომელიც ივსება საქონლის მფლობელის ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ) და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის აქტისაგან (ნაწილი II - გადაწყვეტილება ტვირტზე), რომელშიც ელექტრონულად აისახება უფლებამოსილი პირის მიერ საქონლის მიმართ განხორციელებული ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურების შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება.

2. საერთო ფიტოსანიტარიული შესვლის დოკუმენტის შევსების წესი და ინფორმაციის გადაცემის საშუალება განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

14. საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით შემოტანილი საქონლის განადგურება

1. საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით შემოტანილი საქონლის განადგურება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ამ საქონელზე არ იქნება წარდგენილი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი და, საჭიროების შემთხვევაში, იმპორტის ნებართვა და ვერ ხერხდება ამ საქონლის უკან დაბრუნება.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საქონლის განადგურება ხორციელდება (საქონლის შემოტანიდან არაუმეტეს 20 კალენდარული დღისა) შემდეგი მეთოდებით:

- ა) სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე დაწვით;
- ბ) სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე დამარხვით;
- გ) სხვა დადგენილი მეთოდის გამოყენებით.

3. საქონლის განადგურება ხორციელდება შემოსავლების სამსახურის შესაბამისი უფლების მქონე პირის ბრძანების საფუძველზე.

4. საქონლის განადგურებას, მოთხოვნის შემთხვევაში, ესწრება საქონლის მფლობელი ან მისი წარმომადგენელი.

5. უფლებამოსილი პირი ამ ფიტოსანიტარიული წესის №7 დანართის შესაბამისად, ადგენს „საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით შემოტანილი საქონლის განადგურების აქტს“ 2 ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი რჩება სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში, ხოლო მეორე ეგზემპლარი მოთხოვნისამებრ გადაეცემა საქონლის მფლობელს ან მის წარმომადგენელს.“.

მუხლი 15. ეროვნული სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურის ურთიერთთანამშრომლობა

1. ეროვნული სააგენტო შემოსავლების სამსახურის ცენტრალური აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს ელექტრონულად ან მონაცემთა გადაცემის სხვა საშუალებით რეგულარულად და აუცილებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აწვდის:

- ა) ინფორმაციას მცენარეთა საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების შესახებ;
- ბ) მეთოდურ მითითებებს შესაძლო რისკებისა და მათთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;
- გ) ინფორმაციას გაცემული იმპორტის ნებართვების შესახებ, რომელიც მიეწოდება გაცემისთანავე ელექტრონულად;
- დ) ექსპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატების მოდელებსა და ცვლილებების შესახებ ინფორმაციას;
- ე) ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო სხვა მონაცემებს.

2. ეროვნულ სააგენტოს თითოეული სასაქონლო პარტიის შესახებ ელექტრონულად მიეწოდება „საერთო ფიტოსანიტარიული შესვლის დოკუმენტში“ ასახული ინფორმაცია.

3. შემოსავლების სამსახური ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელებისას გამოვლენილი იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელი ღონისძიებების გატარებას, ინფორმაციას შესაბამისი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ აწვდის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, განხორციელებული ღონისძიებების შესახებ აცნობებს შემოსავლების სამსახურს.

4. შემოსავლების სამსახურისა და სააგენტოს ურთიერთშეთანხმებით, ფიტოსანიტარიული პროცედურების განხორციელების პროცესში, განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია მოწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

5. ეროვნული სააგენტო და შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფენ უფლებამოსილი პირების სწავლების ყოველწლიური გეგმის შემუშავებას და მის განხორციელებას.

მუხლი 16. განსაკუთრებული პირობები

1. ფიტოსანიტარიული კონტროლი არ ვრცელდება მცენარეებზე, მცენარეულ პროდუქტებზე და სხვა მასალებზე, რომლებიც განკუთვნილია საქართველოში აკრედიტებული დიპლომატებისა და დიპლომატიური სტატუსის მქონე პირების, მათი ადმინისტრაციული პერსონალის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და მათი ოჯახის წევრების პირადი მოხმარებისათვის, ასევე, დიპლომატიურ ფოსტასა და საკონსულო ვალიზაზე. თუ აღნიშნულ პირთა პირად ნივთებში გადაიტანება საკარანტინო ობიექტი, მაშინ კონტროლი ხორციელდება მხოლოდ ამავე პირთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების თანდასწრებით, საკონსულო ვალიზის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის თანდასწრებით. საკონსულო ვალიზის გახსნაზე საქართველოში აკრედიტებული დიპლომატებისა და დიპლომატიური სტატუსის მქონე პირების ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ უარის თქმის შემთხვევაში, იგი უბრუნდება გამომგზავნს.

2. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ან/და იმპორტის ნებართვის გარეშე დასაშვებია ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული შემდეგი საქონლის შემოტანა:

ა) მცენარე და მცენარეული პროდუქტი ნიმუშის სახით, მთლიანი წონით არაუმეტეს 10კგ, გარდა მცენარის თესლისა და მცენარის გასამრავლებელი მასალისა;

ბ) საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით შემოტანილი მცენარეები, მცენარეული პროდუქტები და სხვა მასალები (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საქონლისა), რომელთა ღირებულება არ აღემატება 500 ლარს, შემდეგ შემთხვევებში:

ბ.ა) 5 ცალამდე მცენარე, მათ შორის, ხემცენარეები და ბუჩქები;

ბ.ბ) 3 კგ-მდე ციტრუსების ნაყოფი;

ბ.გ) 5 კგ-მდე სხვა ახალი ხილი ან ბოსტნეული, ან ორივე ერთად;

ბ.დ) 20 ცალამდე მოჭრილი ყვავილი ან ტოტი, ან ორივე ერთად, ან ერთი თაიგული ან გვირგვინი მოჭრილი ყვავილებისგან, ან ტოტებისგან ან ყვავილებისა და ტოტებისგან ერთად;

ბ.ე) 5 ცალამდე ქოთნის მცენარე;

ბ.ვ) 2 კგ-მდე ყვავილის ბოლქვები ან ტუბერები, ან ორივე ერთად;

ბ.ზ) 5 პაკეტი სათესლე მასალა, თითოეული 5 გრამის ოდენობით;

ბ.თ) 30 კილოგრამამდე გამხმარი და გამომშრალი მცენარეული წარმოშობის პროდუქტები;

გ) საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული დაუძლეველი ძალის პირობების დადგომისას, დაუძლეველი ძალის პირობების შედეგების სალიკვიდაციო ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი.

3. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი არ მოითხოვება:

ა) საქართველოდან მსუბუქი, სატვირთო-სამგზავრო ავტომობილით, ავტობუსით, საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით გასატან საქონელზე;

ბ) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ექსპორტით შესატან საქონელზე.

4. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ან/და, საჭიროების შემთხვევაში, იმპორტის ნებართვის გარეშე აკრძალულია საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული შემდეგი საქონლის შემოტანა:

ა) ბაქტერიული სიდამწვრის (*Erwinia amylovora*) შემდეგი მასპინძელი მცენარეები და მათი მტვერი: ყვავტყემალა (*Amelanchier Med.*), იაპონური კომში (*Chaenomeles Lindl.*), ვაშლანა (*Cotoneaster Ehrh.*), კუნელი (*Crataegus L.*), კომში (*Cydonia Mill.*), იაპონური ზღმარტლი (*Eriobotrya Lindl.*), ვაშლი (*Malus Mill.*), ზღმარტლი (*Mespilus L.*), ჩიტავაშლა (*Pyracantha Roem.*), მსხალი (*Pyrus L.*), თამელი (*Sorbus L.*), ფოტინია დავიდსონის (*Photinia davidiana (Dcne.)*);

ბ) სასურსათო და სათესლე კარტოფილი;

გ) მოჭრილი ყვავილები და ქოთნის მცენარეები: ქრიზანთემა (Dendranthema (DC.) DesMoul), მიხაკი (Dianthus L.) და ჯადგარისებრნი (Orchidaceae);

დ) მცენარეები ციტრუსის გვარიდან (Citrus L.) და მათი ჰიბრიდები: კინკანი (Fortunella Swingle), სამყურა ლიმონი (Poncirus Raf.) და ვაზი (Vitis L.).

ე) მცენარის თესლი (სათესლე მასალა), რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შემცველი მცენარის მოყვანა ან/და კულტივირება.

5. აკრძალულია ამ ფიტოსანიტარიული წესის №8 დანართით განსაზღვრული მცენარის, მცენარეული პროდუქტისა და სხვა რეგულირებადი ობიექტის იმპორტი.

მუხლი 17. უსაფრთხოების ღონისძიებები

უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის იმპორტი ან/და ტრანზიტი შეიძლება დროებით აიკრძალოს ან მათი პირობები შეიცვალოს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით.

თავი III

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 18. კონტროლის ელექტრონული სისტემები

ეროვნული სააგენტო და შემოსავლების სამსახური ყოველმხრივ ხელს უწყობენ ფიტოსანიტარიული პროცედურების სრულყოფას, ქმნიან და განავითარებენ ელექტრონულ სისტემებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ერთიან ელექტრონულ ბაზაში აისახოს საქონლის მიმართ განხორციელებული კონტროლის პროცედურები.

მუხლი 19. პასუხისმგებლობა

ფიტოსანიტარიული კონტროლის განხორციელებისას გამოვლენილი სამართალდარღვევისათვის პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა

სეს ესნ კოდი	საქონლის დასახელება
ჯგუფი 06. ცოცხალი ხეები და სხვა მცენარეები; ბოლქვები, ფესვები და მცენარეების სხვა ანალოგიური ნაწილები; მოჭრილი ყვავილები და დეკორატიული ბალახი	
0601	ბოლქვები, ტუბერები, ტუბერისებრი ფესვები, ტუბერბოლქვები, ფესურები, განშტოებულის ჩათვლით, ვეგეტაციური სიმშვიდის, ვეგეტაციისა ან ყვავილობის მდგომარეობაში; მცენარეები და ვარდკაჭაჭას ფესვები, 1212 სასაქონლო პოზიციის ფესვების გარდა:
0602	დანარჩენი ცოცხალი მცენარეები (მათი ფესვების ჩათვლით), კალმები და გადანაწვენები; გარდა სოკოს მიცელიუმისა
0603	მოჭრილი ყვავილები და კოკრები, თაიგულების შესადგენად ან დეკორატიული მიზნებისათვის ვარგისი, ახალი; გარდა გამხმარის, შეღებილის, გათეთრებულის, გაჟღენთილის ან სხვა ხერხით მომზადებულისა
0604	ფოთლები, ტოტები და მცენარეების სხვა ნაწილები უყვავილებოდ და უკვირტებოდ, ბალახები, ხავსი და ლიქენი, თაიგულების შესადგენად ან დეკორატიული მიზნებისათვის ვარგისი, ახალი; გარდა გამხმარის, შეღებილის, გათეთრებულის, გაჟღენთილის ან სხვა ხერხით მომზადებულისა
ჯგუფი 07. ბოსტნეული და ზოგიერთი ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები	
0701	კარტოფილი ახალი ან გაცივებული
0702 00 000 00	პომიდორი ახალი ან გაცივებული
0703	ხახვი, თავიანი, ხახვი-შალოტი, ნიორი, პრასი და დანარჩენი ხახვისნაირი ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
0704	თავხვეული კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, კოლრაბი, ქეჟერა კომბოსტო და <i>Brassica</i> გვარის საკვები ანალოგიური ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
0705	სალათა – ღორის ქადა (<i>Lactuca Sativa</i>) და ვარდკაჭაჭა (<i>Cichorium spp.</i>), ახალი ან გაცივებული
0706	სტაფილო, თაღამი, სუფრის ჭარხალი, თხისწვერა, ფესვურა ნიახური, ბოლოკი და სხვა ანალოგიური საკვები ძირნაყოფები, ახალი ან გაცივებული
0707 00	კიტრი და კორნიშონები, ახალი და გაცივებული
0708	პარკოსანი ბოსტნეული, დაჭურჩული ან დაუჭურჩავი, ახალი ან გაცივებული
0709	ბოსტნეული დანარჩენი, ახალი ან გაცივებული
0712 90 110 00	შაქრანი სიმინდი (<i>Zea mays var. saccharata</i>) ჰიბრიდული დასათესად
0713	პარკოსანი ბოსტნეული ხმელი, დაჭურჩული, სათესლე ქერქისაგან გაცლილი ან გაუცლელი, დამტვრეული ან დაუმტვრეველი
0714	მანოკი, მარანთა, სალეპი, მიწის მსხალი, ანუ ტოპინამბური, ტკბილი კარტოფილი, ანუ ბატატი და სხვა ანალოგიური ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები სახამებლის ან ინულინის მაღალი შემცველობით, ახალი, გაცივებული; გარდა გაყინულის ან ხმელისა, მთელი ან დაჭრილი პატარა ნაჭრებად ან გრანულების სახით; საგოს პალმის ნაყოფის გული
ჯგუფი 08. საკვებად ვარგისი ხილი და კაკალი. ციტრუსების კანი ან ნესვის ქერქი	

0802	კაკალი დანარჩენი, ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაუცვლელი, გარდა ნაჭუჭგაცლილი კანით ან კანის გარეშე
0804 -დან	ფინიკი, ლეღვი, ანანასი, ავოკადო, გუაიავა, მანგო და მანგოსტანი, ანუ გარცინია, ახალი
0805-დან	ციტრუსები, ახალი
0806-დან	ყურძენი, ახალი
0807	ნესვი (საზამთროს ჩათვლით) და პაპაია, ახალი
0808	ვაშლი, მსხალი და კომში, ახალი
0809	გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი (ნექტარინების ჩათვლით), ქლიავი და ლოდნოშო, ახალი
0810	ხილი დანარჩენი, ახალი
ჯგუფი 09. ყავა, ჩაი, მატე, ანუ პარაგვაიას ჩაი და სანელებლები	
0901 11 000 00	ყავა მოუხალავი, კოფეინით
ჯგუფი 10. მარცვლოვნები	
1001	ხორბალი და მესლინი
1002	ჭვავი
1003	ქერი
1004	შვრია
1005	სიმინდი
1006	ბრინჯი
1007	სორგო მარცვლოვანი
1008	წიწიბურა, ფეტვი და თესლი ჩიტოფესვასი; დანარჩენი მარცვლეული
ჯგუფი 12. ზეთოვანი მცენარეების თესლები და ნაყოფები; დანარჩენი თესლები; ნაყოფები და მარცვალი; სამკურნალო მცენარეები და მცენარეები ტექნიკური მიზნებისათვის; ჩალა და ფურაჟი	
1201	სოიის ცერცივი, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი
1202	არაქისი, მოუხალავი ან რაიმე სხვა მეთოდით მოუმზადებელი, დაჩურჩული ან დაუჩურჩავი, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი
1204 00	თესლი სელისა, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი
1205	თესლი რაფსისა, ანუ კოლზისა, დაუმსხვრეველი
1206 00	თესლი მზესუმზირის, დაუმსხვრეველი
1207	თესლი და ნაყოფები სხვა ზეთოვანი კულტურებისა, დაუმსხვრეველი
1209	თესლი, ნაყოფი და სპორები სათესად
1211-დან	შემდეგი მცენარეების ყვავილის მტვერი: ყვავტყემალა (Amelanchier Med.), იაპონური კომში (Chaenomeles Lindl.), ვაშლანა (Cotoneaster Ehrh.), კუნელი (Crataegus L.), კომში (Cydonia Mill.), იაპონური ზღმარტლი (Eriobotrya Lindl.), ვაშლი (Malus Mill.), ზღმარტლი (Mespilus L.), ჩიტავაშლა (Pyracantha Roem.), მსხალი (Pyrus L.), თამელი (Sorbus L.) და ფოტინია დევიდსონის (Photinia davidiana (Dcne.)
1212-დან	ვარდუბტის ხის ნაყოფი და თესლი, ზღვისა და დანარჩენი წყალმცენარეები, შაქრის ჭარხალი და შაქრის ლერწამი, ახალი, გაცივებული, ნაყოფის კურკები
1213 00 000 00	ჩალა და ზზე მარცვლეულისა, დაუმუშავებელი, დაქუცმაცებული ან დაუქუცმაცებელი, დაფქული ან დაუფქვაველი, დაპრესილი
1214	თალგამურა, საფოთლე ჭარხალი (მანგოლდი), პირუტყვის საკვები ძირნაყოფები, თივა, იონჯა, სამყურა, ესპარცეტი, პირუტყვის საკვები კომბოსტო, ხანჭკოლა, ცერცველა და ანალოგიური საკვები პროდუქტები, არაგრანულორებული
ჯგუფი 14. მცენარეული მასალები წნული ნაკეთობების დასამზადებლად; მცენარეული წარმოშობის	

დანარჩენი პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	
1404 20 000 00	ბამბის ფთილა
1404 90 000 00 – დან	იზოლირებული ქერქი: 1) ვერხვის (Populus L.) და მუხის (Quercus L.) (გარდა შემდეგი სახეობებისა Quercus suber L., Acer sahharum Marsh.). 2) წიწვოვნების (Coniferales).
ჯგუფი 18. კაკაო და პროდუქტები მისგან	
1801 00 000 00	კაკაოს მარცვალი, მთელი ან ნედლი, გარდა დამსხვრეულისა
ჯგუფი 24. თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები	
2401	თამბაქოს ნედლეული; თამბაქოს ნარჩენები
ჯგუფი 44. მერქანი და მისი ნაწარმი; ხის ნახშირი	
4401	სათბობი ხე-ტყე, მორების, კუნძების, როკების, ფიჩხის კონების ან ანალოგიური სახით; ნაფოტი ან ბურბუმელა; ნახერხი და ხის ნარჩენები, აგლომერირებული ან არააგლომერირებული, მორების, ბრიკეტების, გრანულებისა ან ანალოგიური სახით
4403	ხე-ტყის მასალა დაუმუშავებელი, ქერქიანი ან უქერქო ან ნაქურთვნი, ან ტლანქად დამეღვილი ან დამეღვის გარეშე
4404	მერქანი საკასრე; მორები დაპობილი; ხის ხიმინჯები, სარები და ბოძები, წამახული, მაგრამ სიგრძივ დაუხერხავი; ხე-ტყის მასალა ტლანქად გათლილი, მაგრამ გაუზარხავი, გაულუნავი ან სხვა წესით დაუმუშავებელი, გამოსაყენებელი ხელჯოხების, ქოლგების, ინსტრუმენტების სახელურებისა ან ანალოგიური ნაწარმის დასამზადებლად; მერქანი ქერქგაცილილი და ანალოგიური
	ხის შპალები რკინიგზის ან ტრამვაის ლიანდაგებისათვის, გაუქლენთავი
4406 11 000 00	წიწვოვანი ჯიშების
4406 12 000 00	არაწიწვოვანი ჯიშების
4407	ხე-ტყის მასალა გასწვრივ დახერხილი ან დაპობილი, შრეებად გაყოფილი ან შპონახდილი, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან არმქონე, სისქით 6 მმ-ზე მეტი
4409	დახერხილი ხე-ტყე (პარკეტის თამასებისა და ფრიზის ჩათვლით, აუწყობელი) დაპროფილებული პაგონაჟის სახით (ქიმებით, თხემებით, ღარებით, ნარანდიანი, ჩამოთლილი კიდეებით, ნახევრად მომრგვალებული ნარიმანდის შეერთების სახით, ფასონური, მომრგვალებული ან ანალოგიური), ნებისმიერი ნაწიბურის ტორსის ან სიბრტყის გასწვრივ, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან არმქონე
4415	ყუთები, კოლოფები, შესაფუთი კალათები, გოდრები და ანალოგიური ტარა მერქნისაგან; ხის საკაბელო ბარაზნები; ქვეშები, ქვეშები ბორტებით და ხის სხვა ჩამტვირთი ფარები; ხის კარბები; გარდა ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტი (ISPM) №15-ის შესაბამისად მარკირებული, ასევე, სისქით 6 მმ-ზე ნაკლები, ასევე, დამზადებული წებოს, სითბოს, წნევის გამოყენებით, ან ჩამოთვლილი მეთოდების კომბინირებით, ტარისა და შესაფუთი მასალებისა
4416 00 000 00	კასრები, ხელკასრები, როფები, გეჯები და სხვა საკასრე ნაწარმი და მათი ნაწილები მერქნისაგან, ტკეჩის ჩათვლით
ჯგუფი 45. კორპი და მისი ნაწარმი	
4501 10 000 00	— ნატურალური კორპი დაუმუშავებელი ან პირველადი დამუშავებით
ჯგუფი 52. ბამბა	
5201 00	ბამბის ბოჭკო, კარდ - ან სავარცხნდაუჩეჩავი

ჯგუფი 53. დანარჩენი მცენარეული ტექსტილის ბოჭკო; ქაღალდის ნართი და ქაღალდის ნართის ქსოვილები	
5301	ნედლი სელი ან სელი დამუშავებული, მაგრამ დაურთავი; სელის ანაჩეჩები და ნარჩენები (დართვის ნარჩენებისა და გაწეწილი ნედლეულის ჩათვლით)
5303	ჯუთის ბოჭკო, დაურთავი; ამ ბოჭკოს ანაჩეჩები ან ნარჩენები
5305 00 000 00	ბოჭკო ქოქოსის კაკლის, აბაკის (მანილის ქერელი ან Musa textiles Nee), რამისა და ტექსტილის სხვა მცენარეული ბოჭკოები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი, ხამი ან დამუშავებული, მაგრამ დაურთავი; ამ ბოჭკოების ანაჩეჩები და ნარჩენები (დართვის ნარჩენებისა და გაწეწილი ნედლეულის ჩათვლით)
ჯგუფი 94. ასაწყობი სამშენებლო კონსტრუქციები	
9406 10 000 00	— — მერქნისაგან
	ხის წინასწარ დამზადებული ნაგებობები.

შენიშვნა:

1. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი არ მოითხოვება მცენარეული პროდუქტებისათვის, რომელთაც ისეთი სახის გადამუშავება გაიარეს, რომ პოტენციურად არ შეიძლება შეიცავდნენ რეგულირებადი მავნე ორგანიზმების ინტროდუქციის რისკს.

2. მცენარეები, მცენარეული პროდუქტები და სხვა მასალები თავისუფალი უნდა იყოს საკარანტინო მავნე ორგანიზმებისაგან.

საერთო ფიტოსანიტარიული შესვლის დოკუმენტი

1. გამზავნი/ექსპორტიორი დასახელება მისამართი ქვეყანა		2. რეგისტრაციის ნომერი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი დასახელება კოდი	
3. საქონლის მიზეზი დასახელება მისამართი ქვეყანა		4. ტვირთზე პასუხისმგებელი პირი დასახელება მისამართი ქვეყანა	
5. იმპორტიორი დასახელება მისამართი ქვეყანა		6. წარმოშობის ქვეყანა	7. გამომზავნი ქვეყანა
9. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში შემოსვლის თარიღი		8. დანიშნულების ადგილი ქვეყანა მისამართი	
11. ტრანსპორტის სახეობა: საჰაერო <input type="checkbox"/> საზღვაო <input type="checkbox"/> სარკინიგზო <input type="checkbox"/> საავტომობილო <input type="checkbox"/> იდენტიფიკაცია სატრანსპორტო დოკუმენტის ნომერი		10. ფიტოსანიტარიული დოკუმენტები: დოკუმენტის ტიპი <input type="text"/> ნომერ(ებ)ი <input type="text"/> გაცემის თარიღი <input type="text"/> გამცემი ქვეყანა/ორგანო <input type="text"/>	
12. ტვირთის აღწერილობა		13. საქონლის საერთო წონა/რაოდენობა	
პროდუქტის დასახელება	მცენარეების ბოტანიკური დასახელება	წონა/რაოდენობა	საზომი ერთეული
14. კონტეინერის ნომერი და ლუქის ნომერი		სეს ესნ კოდი	შეფუთვის სახე, რაოდენობა
15. რეექსპორტი დანიშნულების ქვეყანა <input type="text"/> გასვლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი (კოდი) <input type="text"/>		16. ტრანზიტი დანიშნულების ქვეყანა <input type="text"/> გასვლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი (კოდი) <input type="text"/>	
17. თავისუფალი მიმოქცევა <input type="text"/> სასურსათო დასათესად <input type="text"/> დასარგავად <input type="text"/> დეკორატიული მიზნებისთვის <input type="text"/> სამეცნიერო მიზნებისათვის <input type="text"/> ტექნიკური მიზნებისათვის <input type="text"/> სხვა <input type="text"/>		18. უკან მიზრუნვული საქონელი <input type="text"/> 19. საწყობი საწყობის სარეგისტრაციო კოდი <input type="text"/> დასახელება <input type="text"/>	
20. მე, ზემოაღნიშნულ ტვირთზე პასუხისმგებელი პირი, ვადასტურებ, რომ ამ დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემები ნამდვილია და სრულია. თანახმა ვარ დაცული იქნეს საქართველოს ფიტოსანიტარიული მოთხოვნები, მათ შორის, გადავიხადო გადასახდებლები ამ მოთხოვნებთან შეუსაბამო ტვირთის უკან დაბრუნებისათვის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ტვირთის განადგურებისათვის.			

ნაწილი II : მონადეშები ტვირთის შესახებ

<p>21. წინა საერთო ფიტოსანიტარული შესვლის დოკუმენტი:</p> <p>არა <input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/></p> <p>რეგისტრაციის ნომერი: <input type="text"/></p>	<p>22. რეგისტრაციის ნომერი:</p> <p><input type="text"/></p>
<p>23. დოკუმენტური შემოწმება:</p> <p>დამაკმაყოფილებელი <input type="checkbox"/> არადამაკმაყოფილებელი <input type="checkbox"/></p>	<p>24. იდენტურობის შემოწმება:</p> <p>ლუკის შემოწმება <input type="checkbox"/> ან სრული იდენტურობის შემოწმება დამაკმაყოფილებელი <input type="checkbox"/> არადამაკმაყოფილებელი <input type="checkbox"/></p>
<p>25. მცენარეთა სიყვანსადის კონტროლი:</p> <p>დამაკმაყოფილებელი <input type="checkbox"/> არადამაკმაყოფილებელი <input type="checkbox"/></p> <p>არ ჩატარდა <input type="checkbox"/></p> <p>1. შემოწმების შემეჩინებული რეგიმი <input type="text"/></p> <p>2. სხვა <input type="text"/></p>	<p>26. ლაბორატორიული კვლევა: არა <input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/></p> <p>კვლევა:</p> <p>შერჩევითი <input type="checkbox"/> ეჭვის საფუძველზე <input type="checkbox"/></p> <p>შედევები: უარყოფითი <input type="checkbox"/> დადებითი <input type="checkbox"/></p> <p>გაშვებულია შედეგამდე <input type="checkbox"/></p>
<p>27. მისაღება რეგულაციისათვის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი (კოდი) <input type="text"/></p> <p>დანიშნულების ქვეყანა <input type="text"/></p>	<p>28. მისაღება ტრანზიტის პროცედურებისთვის <input type="text"/></p> <p>დანიშნულების ქვეყანა <input type="text"/></p> <p>გასვლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი (კოდი) <input type="text"/></p>
<p>29. საქონელი შეესაბამება იმპორტის მოთხოვნებს, შემოტანა ნებადართულია</p> <p>სასურსათო <input type="text"/></p> <p>დასათესად <input type="text"/></p> <p>დასარგავად <input type="text"/></p> <p>დეკორატიული მიზნებისთვის <input type="text"/></p> <p>სამეცნიერო მიზნებისათვის <input type="text"/></p> <p>ტექნიკური მიზნებისთვის <input type="text"/></p> <p>სხვა <input type="text"/></p>	<p>30. მისაღება უკან დაბრუნებისთვის <input type="text"/></p> <p>31. მისაღება კონკრეტული საწყობის პროცედურებისთვის საბაჟო საწყობი <input type="text"/></p> <p>თავისუფალი ზონა ან საწყობი <input type="text"/></p> <p>მოშობის გეზი <input type="text"/></p> <p>პირდაპირ გეზი <input type="text"/></p>
ბ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილებით დამტკიცებული წესის დანართ №3-ით გათვალისწინებული მცენარეული პროდუქტებისა, რომელთა იმპორტი წარმოადგენს სანებართვო საქმიანობას;

გ) ამ წესის მე-17 მუხლის შესაბამისად უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებებს დაქვემდებარებული საქონლისა.

2. კონკრეტულ საქონელზე მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლის სიხშირის შემცირება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ბოლო 3 წლის განმავლობაში საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შესაბამისი ქვეყნიდან იმპორტირებული კონკრეტული საქონლის შემცველი ტვირთების საშუალო რაოდენობა ყოველწლიურად შეადგენს არანაკლებ 200-ს;

ბ) ბოლო 3 წლის განმავლობაში შემოწმებული, შესაბამისი ქვეყნიდან იმპორტირებული კონკრეტული საქონლის შემცველი ტვირთების რაოდენობა არის არანაკლებ 600-ისა;

გ) ყოველწლიურად მავნე ორგანიზმების შემცველი კონკრეტული საქონლის შემცველი ტვირთების რაოდენობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შესაბამისი ქვეყნიდან შემოტანილი აღნიშნული პროდუქტის ტვირთების საერთო რაოდენობის 1%-ზე ნაკლებია.

მუხლი 2. მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლის სიხშირის დონის განსაზღვრის კრიტერიუმები

1. მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლის შემცირებული სიხშირის დონე არის შესაბამისი ქვეყნიდან შემოტანილი კონკრეტული საქონლის სიჯანსაღის შემოწმებათა მინიმალური პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება ასეთი საქონლის შემცველ ყველა ტვირთთან დაკავშირებით.

2. მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლის შემცირებული სიხშირის დონე განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) მავნე ორგანიზმების არსებობის გამო შეჩერებული ტვირთების რაოდენობა;

ბ) მავნე ორგანიზმების შეფასებული მოქმედება (სიცოცხლისუნარიანობა) ყველაზე აქტიურ ეტაპზე, რა დროსაც შესაძლებელია მისი გამრავლება შესაბამის მცენარეზე ან მცენარეულ პროდუქტზე;

გ) ტვირთების რაოდენობა, რომლებთან დაკავშირებითაც ჩატარდა მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლი;

დ) სხვა ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც უკავშირდება ვაჭრობიდან წარმოშობილი ფიტოსანიტარიული რისკის განსაზღვრას.

მუხლი 3. შემოსავლების სამსახურისა და ეროვნული სააგენტოს თანამშრომლობა

1. მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლის სიხშირის შემცირებისა და მისი პერიოდულობის განსაზღვრის მიზნით, შემოსავლების სამსახური ეროვნულ სააგენტოს აწვდის შემდეგ ინფორმაციას:

ა) საქონლის აღწერილობა;

ბ) საქონლის წარმოშობა;

გ) საქონლის ექსპორტიორი ქვეყნების ჩამონათვალი;

დ) საქონლის იმპორტის მოცულობა, რომელიც გამოხატულია ტვირთების რაოდენობასა და წონაში;

ე) ამ წესის დანართ №10-ით გათვალისწინებულ „საქართველოსთვის მცენარეთა საკარანტინო მავნე ორგანიზმების ნუსხაში“ ასახული მავნე ორგანიზმების (შემდგომში – მავნე ორგანიზმები):

ე.ა) ჩამონათვალი, რომელსაც შესაძლებელია ატარებდეს კონკრეტული საქონელი;

ე.ბ) არსებობის გამო შეჩერებული ტვირთების რაოდენობა;

ე.გ) შეფასებული მოქმედება (სიცოცხლისუნარიანობა) ყველაზე აქტიურ ეტაპზე, რა დროსაც შესაძლებელია მისი გამრავლება შესაბამის მცენარეზე ან მცენარეულ პროდუქტზე;

ე.დ) არსებობის გარდა, სხვა მიზეზით შეჩერებული ტვირთების რაოდენობა;

ვ) იმ ტვირთების რაოდენობა, რომლებზეც ჩატარდა მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „ე.ბ“ „ე.დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს არანაკლებ ბოლო 3 კალენდარული წლის მონაცემებს.

მუხლი 4. მცენარეთა სიჯანსაღის შემცირებული სიხშირით განხორციელებული კონტროლის მონიტორინგი

1. ეროვნული სააგენტო ახორციელებს იმ საქონლის იმპორტის ყოველწლიურ მონიტორინგს, რომლებზეც მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლი განხორციელდა შემცირებული სიხშირით.

2. მონიტორინგის მიზნით, შემოსავლების სამსახური არაუგვიანეს ყოველი წლის 31 მარტისა ეროვნულ სააგენტოს აწვდის შემდეგ ინფორმაციას:

ა) იმპორტირებული ტვირთების საერთო რაოდენობა;

ბ) შემოწმებული ტვირთების საერთო რაოდენობა;

გ) მავნე ორგანიზმების გამო შეჩერებული ტვირთების საერთო რაოდენობა და შეჩერებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია;

დ) მავნე ორგანიზმების არსებობის გარდა, სხვა მიზეზით შეჩერებული ტვირთების საერთო რაოდენობა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ინფორმაციის, ამ დანართის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობებისა და მე-2 მუხლით

დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, ეროვნული სააგენტო ადგენს ანგარიშს, აფასებს კონკრეტული საქონლის სიჯანსაღის შემცირებული სიხშირით შემოწმების გაგრძელების ან/და კონტროლის შემცირებული სიხშირის ახალი დონის განსაზღვრის მიზანშეწონილობას.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი ქვეყნიდან შემოტანილი, სიჯანსაღის კონტროლის შემცირებულ სიხშირეს დაქვემდებარებული საქონლის შემცველი ტვირთების საერთო რაოდენობის 1% მაინც აღმოჩნდება რომელიმე მავნე ორგანიზმით დაბინძურებული, საქონელი მიიჩნევა შეუსაბამოდ და მის მიმართ აღარ გავრცელდება კონტროლის შემცირებული სიხშირე.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად განახლებული „მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლის შემცირებულ სიხშირეს დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა“ და შესაბამისი სიხშირის დონე მიეწოდება შემოსავლების სამსახურს და ქვეყნდება ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესი

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი და გამოყენების სფერო

1. ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის (შემდგომში – ვეტერინარული წესი) მიზანია ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო (შემდგომში – ვეტერინარული კონტროლი) კონტროლის განხორციელების პროცედურების დადგენა, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის მიმართ საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემოტანის ან/და გადაადგილების პირობებისა და სავალდებულო ქმედებების განსაზღვრა ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) და გაერთიანებული ერების სოფლის მეურნეობის და სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციის (FAO) პრინციპების გათვალისწინებით.

2. ვეტერინარული წესი ვრცელდება ამ წესის №1 დანართით განსაზღვრულ, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელზე და სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლითაც ხდება ამ საქონლის გადაადგილება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ვეტერინარული წესის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

ა) დაავადება – ინფექციის კლინიკური ან/და პათოლოგიური გამოვლინება, ასევე, სხვადასხვა ზემოქმედების შედეგად ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირების (ცხოველმყოფელობის) დარღვევა;

ბ) დასნებოვნებული ზონები – არის ზონები, რომლებშიც დადასტურებულია დაავადების არსებობა;

გ) დეზინფექცია – საფუძვლიანად დასუფთავების შემდგომ პროცედურების გამოყენება, რომლებიც მიმართულია ცხოველთა დაავადების, მათ შორის, ზოონოზების

ინფექციური ან პარაზიტული აგენტების გასანადგურებლად. დეზინფექცია შეეხება შენობებს, სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვადასხვა ობიექტებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება იყვნენ კონტამინირებული ინფექციური ან პარაზიტული აგენტებით;

დ) დოკუმენტური შემოწმება – პროცედურა, რომელიც მოიცავს საქონლის ვეტერინარული სერტიფიკატების ან სხვა თანმხლები დოკუმენტების შემოწმებას;

ე) ექსპორტიორი ქვეყანა – წარმოადგენს ქვეყანას, საიდანაც საქონელი იგზავნება სხვა ქვეყანაში;

ვ) ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურები – დოკუმენტური შემოწმება, იდენტურობის შემოწმება და ფიზიკური შემოწმება;

ზ) ვეტერინარული სერტიფიკატი – ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) კოდექსების შესაბამისად, წარმოშობის ქვეყნის ან/და ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული, ვეტერინარული კეთილსაიმედოობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) ზოონოზი – ნებისმიერი დაავადება ან ინფექცია, რომელიც ბუნებრივი გზით გადაედება ცხოველიდან ადამიანს;

ი) იდენტურობის შემოწმება – პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს ვეტერინარული სერტიფიკატებისა და საქონლის სხვა თანმხლები დოკუმენტების მონაცემების საქონელთან შედარებას შესაბამისობის დადგენის მიზნით, აგრეთვე იმ შესაბამისი ნიშანდების არსებობის დადგენას, რომლებიც უნდა იყოს საქონელზე ან საქონლის შეფუთვაზე;

კ) იმპორტიორი ქვეყანა – წარმოადგენს საბოლოო დანიშნულების ქვეყანას, რომელშიც იგზავნება საქონელი;

ლ) ინფექცია – ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში პათოგენური აგენტის შეჭრა, ადაპტაცია, გამრავლება და მასპინძელი ორგანიზმის საპასუხო რეაქცია;

მ) კონტროლის ობიექტი – საქონელი ან/და საქონლის გადამამაღვილებელი სატრანსპორტო საშუალებები;

ნ) კონტროლის ობიექტზე პასუხისმგებელი პირი – კონტროლის ობიექტის მფლობელი ან მესაკუთრე, ან მათი წარმომადგენელი, ან კონტროლის ობიექტის გადამამაღვილებელი;

ო) რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონელი – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონლის გატანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ;

პ) საკარანტინო სადგომი – სადგომი, სადაც შესაძლებელია ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების კარანტინში განთავსება;

ჟ) საკლავი ცხოველი – ცხოველი, რომელიც იმყოფება უფლებამოსილი ვეტერინარის ზედამხედველობის ქვეშ და მოკლე დროის განმავლობაში განკუთვნილია დასაკლავად;

რ) სანაშენე ცხოველი – ხალასჯიშიანი ან წმინდასისხლიანი მაღალპროდუქტიული ნაჯვარი ცხოველი, რომელიც გამოიყენება მისგან შთამომავლობის მისაღებად, შემდგომი მოშენების მიზნით;

ს) სასაქონლო პარტია – ერთ ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში წარმოშობილი საქონელი, რომელზეც ვრცელდება ერთი ვეტერინარული სერტიფიკატი და რომლის გადაზიდვაც ხორციელდება ერთი სატრანსპორტო საშუალებით;

ტ) სუბპროდუქტები – შინაგანი ორგანოები, თავი, კუდი, ფეხები, ცური, ხორცის ჩამონაჭრები და სხვა პროდუქტები, რომლებიც მიღებულია ცხოველთა გადამამაღვილებიდან;

უ) საინკუბაციო კვერცხი – ფრინველის განაყოფიერებული კვერცხი, რომელიც განკუთვნილია ინკუბაციისა და გამოჩეკისათვის;

ფ) საინკუბაციო პერიოდი – არის ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც იწყება ცხოველში დაავადების შეჭრით და გრძელდება დაავადების პირველი კლინიკური ნიშნების გამოვლენამდე;

ქ) საქონელი – ვეტერინარული წესის №1 დანართით განსაზღვრული ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ცოცხალი ცხოველები და ცხოველური წარმოშობის პროდუქტები;

ღ) სატრანზიტო ქვეყანა – ქვეყანა, რომლის გავლითაც იმპორტიორი ქვეყნისათვის განკუთვნილი საქონელი გადაადგილდება ან ჩერდება მის სასაზღვრო პუნქტზე;

ყ) სატრანსპორტო საშუალება – გადაადგილების ნებისმიერი საშუალება, სარკინიგზო, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის ჩათვლით, რომელიც გამოიყენება საქონლის ტრანსპორტირებისათვის;

შ) სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი – საქართველოს საბაჟო საზღვართან მდებარე საბაჟო კონტროლის ზონა, ასევე, საბაჟო ორგანოს საწყობი, ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული სხვა საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურის მიერ კონტროლის ობიექტების მიმართ ხორციელდება ვეტერინარული კონტროლი;

ჩ) საერთაშორისო ვაჭრობა – საქონლის ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი;

ც) ტრანზიტული ტვირთი – ტვირთი, რომელიც არ არის განკუთვნილი ქვეყანაში იმპორტისათვის, არამედ გადაადგილდება მისი გავლით სხვა ქვეყანაში გახსნის, დანაწევრების, სხვა ტვირთებთან შერევისა და შეფუთვის შეცვლის გარეშე;

ძ) ტვირთი – ერთი სახეობის პროდუქცია, რომელიც გადაადგილდება ერთი ქვეყნიდან ან მისი რეგიონიდან მეორე ქვეყანაში, ვეტერინარული კანონმდებლობით დადგენილი ერთი ვეტერინარული სერტიფიკატის ან სხვა დოკუმენტის თანხლებით და ერთი სატრანსპორტო საშუალებით;

წ) უფლებამოსილი პირი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურის, სათანადო განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, განახორციელოს ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურები, რაც დაკავშირებულია ცხოველების ჯანმრთელობის და/ან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვასთან;

ჭ) ფიზიკური შემოწმება – საქონლის, მისი შეფუთვისა და ტემპერატურის შემოწმება, ასევე ნიმუშების აღება და ლაბორატორიული ანალიზი;

ხ) შინაური ცხოველი - ძაღლი, კატა, ქრცვინი, უხერხემლოები (გარდა ფუტკრისა და კიბოსნაირებისა), ტროპიკული დეკორატიული თევზი, ამფიბია, რეპტილია, ფრინველი ყველა სახეობის (გარდა: მწყერი, ხოხობი, კაკაბი, სირაქლემა, ქათამი, ინდაური, ციცარი, იხვი, ბატი, მტრედი), მღრღნელები და შინაური კურდღელი, რომლებიც თან ახლავს მფლობელს ან მასზე პასუხისმგებელ ფიზიკურ პირს და არ არიან გამიზნული გასაყიდად ან სხვა მფლობელზე გადასაცემად;

ჯ) ცხოველების იდენტიფიკაცია – ცხოველის ამოცნობის და რეგისტრაციის ერთობლიობა, ინდივიდუალურად – ცალკეული ცხოველის უნიკალური ნიშანდების

საშუალებით ან ჯგუფურად – მისი ეპიდემიოლოგიური ერთეულის ან ჯგუფის უნიკალური ნიშანდების საშუალებით;

3) ცხოველთა კეთილდღეობა - ცხოველის მოვლა-შენახვის და ბუნებრივი ქცევისათვის საჭირო პირობების შექმნა, რომელიც, ასევე, მოიცავს საკვებზე და წყალზე წვდომას, დაავადების, ტკივილის, შიშისა და სტრესისაგან დაცვას;

3¹) ცხოველთა დაკვლა – ვეტერინარული ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებული პროცედურა, რომელიც იწვევს ცხოველის სიკვდილს სისხლგართმევით.

3²) გადამუშავება – ნებისმიერი პროცესი, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის პირველად პროდუქტს, მათ შორის, გაცხელება, შებოლვა, გახმობა, დამწიფება, გამოშრობა, დამარილება, გაწურვა, ექსტრაქცია, ექსტრუზია ან ამ პროცესთა ნებისმიერი კომბინაცია;

3³) გადამუშავებული პროდუქტი - პროდუქტი, რომელიც მიიღება დაუმუშავებელი პროდუქტების გადამუშავების შედეგად. ეს პროდუქტები შეიძლება შეიცავდეს ინგრედიენტებს, რომლებიც აუცილებელია მათი წარმოებისათვის ან მათთვის სპეციფიკური თვისებების მიცემისათვის;

3⁴) გადამდები დაავადება – ცხოველთა ინფექციური ან ინვაზიური დაავადება, რომელიც გადაედება დაავადებული ორგანიზმიდან ჯანმრთელ ორგანიზმს;

3⁵) გატარებული ხორცი – ძვლებგამოცლილი ხორცი, რომელიც ფრაგმენტებად დაქუცმაცდა და შეიცავს 1%-ზე ნაკლებ მარილს;

3⁶) ეტიკეტი – ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, სავაჭრო ნიშანი, დასახელება, ილუსტრაცია ან სიმბოლო, განთავსებული შეფუთვაზე, ან/და მასთან დაკავშირებულ თანდართულ დოკუმენტზე;

3⁷) ვეტერინარული კეთილსაიმედოობა - დაავადებების არარსებობა განსაზღვრულ ტერიტორიაზე;

3⁸) ვეტერინარული კარანტინი – ღონისძიება ან ღონისძიებათა ერთობლიობა გადამდები დაავადებების გამოვლენის ან/და გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

3⁹) იმპორტის პირობები – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის მიმართ კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერინარული მოთხოვნები;

3¹⁰) კვერცხის პროდუქტი – დამუშავებული პროდუქტი, რომელიც მიღებულია სხვადასხვა კვერცხის ან სხვადასხვა კომპონენტების ან კვერცხის ნარევის დამუშავებით ან ამგვარად გადამუშავებული პროდუქტის შემდგომი დამუშავებით;

3¹¹) მექანიკურად განცალკევებული ხორცი – ხორცი, რომელიც მექანიკური საშუალებების გამოყენებით განცალკევებულია ძვლისაგან, რაც იწვევს ცხოველის კუნთოვანი სტრუქტურის შეცვლას;

3¹²) რძის პროდუქტი – დამუშავებული პროდუქტი, რომელიც მიღებულია ნედლი რძის დამუშავებით ან ამგვარად გადამუშავებული პროდუქტის შემდგომი დამუშავებით;

3¹³) საკვებდანამატი – ნივთიერება, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში არ გამოიყენება სურსათად/ცხოველის საკვებად, მაგრამ ემატება სურსათს/ცხოველის საკვებს წარმოების, გადამუშავების, შეფუთვის და შენახვის დროს, რის შედეგადაც ეს ნივთიერება ან მისი გარდაქმნის პროდუქტი სურსათის/ცხოველის საკვების ინგრედიენტი ხდება;

3¹⁴) შედგენილი სურსათი - სურსათი, რომელიც შეიცავს როგორც ცხოველური წარმოშობის გადამუშავებულ პროდუქტს, ასევე, მცენარეულ პროდუქტს და ისეთ

პროდუქტს, სადაც პირველადი პროდუქტის გადამუშავება არის საბოლოო პროდუქტის წარმოების ინტეგრირებული ნაწილი;

3¹⁵) ხორცის პროდუქტი - დამუშავებული პროდუქტი, რომელიც მიღებულია ხორცის დამუშავებით ან ამგვარად გადამუშავებული პროდუქტის შემდგომი დამუშავებით ისე, რომ ნაჭრის ზედაპირზე არ აღინიშნებოდეს ახალი ხორცის არანაირი მახასიათებელი.

თავი II

ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შემოტანა, გადაადგილება და განადგურება

მუხლი 3. უფლებამოსილი ორგანო და პერსონალის კვალიფიკაცია

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – ეროვნული სააგენტო) განსაზღვრავს ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ, საქართველოს ტერიტორიაზე ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შემოტანის პირობებს.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) წარმოადგენს ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოს.

3. ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი ვრცელდება საქონლის იმპორტზე, ტრანზიტზე, ექსპორტსა და რეექსპორტზე.

4. ვეტერინარული წესით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტური შესრულების მიზნით შემოსავლების სამსახურს სამუშაოდ აჰყავს სათანადო განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე პირი.

მუხლი 4. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა

1. საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის იმპორტი ხორციელდება ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვის (შემდგომში – იმპორტის ნებართვა) საფუძველზე.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტული საქონლის გადაადგილებისას ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებართვის წარდგენა სავალდებულო არ არის.

3. იმპორტის ნებართვა არ მოითხოვება ამ ვეტერინარული წესის №7 დანართით განსაზღვრულ, საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით შემოსატან ან გასატან საქონლზე.

მუხლი 5. წარმოშობის ქვეყნის მიმართ განსაზღვრული იმპორტის პირობები და მოთხოვნები

1. საქართველოში ვეტერინარული წესის №1 დანართით გათვალისწინებული ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შემოტანა ნებადართულია, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) წარმოშობილია შესაბამისი საქონლის საქართველოში ექსპორტზე უფლებამოსილ ქვეყანაში (ამ ქვეყნის ნაწილში);

ბ) წარმოშობილია შესაბამისი საქონლის საქართველოში ექსპორტზე უფლებამოსილ საწარმოში;

გ) საქონელს თან ახლავს წარმოშობის ქვეყნის ან/და ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ვეტერინარული ან ჯანმრთელობის სერტიფიკატი, რომელიც შინაარსითა და ფორმით შეესაბამება ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ხმელეთისა და წყლის ცხოველთა ჯანმრთელობის კოდექსით დადგენილ ნიმუშებს.

2. ამ ვეტერინარული წესის №8 დანართით („საქართველოში ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის იმპორტის ვეტერინარული მოთხოვნები“) გათვალისწინებული პროდუქტები უნდა აკმაყოფილებდეს ამავე დანართით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 6. იმპორტის პირობების განსაზღვრის პრინციპები და კრიტერიუმები

1. ვეტერინარული წესის მე-5 მუხლით დადგენილი იმპორტის პირობების განსაზღვრის მიზნებისათვის საქართველოში ექსპორტზე უფლებამოსილი ქვეყნების ნუსხის შემუშავების მიზნით, ეროვნული სააგენტო ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პრინციპებით, ასევე მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებსა და კრიტერიუმებს:

ა) ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) მიერ მსოფლიოში გავრცელებული დაავადებების გამოვლენის შესახებ გამოქვეყნებულ შეტყობინებებს;

ბ) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული შესაბამისი სახეობის საქონლის ევროკავშირში ექსპორტზე უფლებამოსილი ქვეყნების ნუსხას.

2. საქართველოში ექსპორტზე უფლებამოსილი საწარმოების განსაზღვრისას ეროვნული სააგენტო მხედველობაში იღებს:

ა) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული შესაბამისი სახეობის საქონლის ევროკავშირში ექსპორტზე უფლებამოსილი საწარმოების მოქმედ შესაბამის ნუსხას;

ბ) წარმოშობის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ავტორიზებული და რეკომენდებული საწარმოების ჩამონათვალს, ამ შემთხვევაში წარმოშობის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანო გარანტიას იძლევა, რომ დაკმაყოფილებულია საქართველოს მოთხოვნები ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, აგრეთვე სურსათისა და ცხოველთა საკვების უსაფრთხოების თვალსაზრისით;

გ) ეროვნული სააგენტოს მიერ ექსპორტიორი ქვეყნის საწარმოში ჩატარებული ვეტერინარული ინსპექტირების ჩატარების შედეგებს.

3. ვეტერინარული სერტიფიკატისა და სხვა თანმხლები დოკუმენტების შინაარსისა და ფორმის განსაზღვრის მიზნით ეროვნული სააგენტო მხედველობაში იღებს:

ა) ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ხმელეთისა და წყლის ცხოველთა ჯანმრთელობის კოდექსის რეკომენდაციებს;

ბ) ევროკავშირში იმპორტირებული ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის სერტიფიკატისა და სხვა თანმხლები დოკუმენტების მოქმედ ნიმუშებს (საჭიროების შემთხვევაში);

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სპეციალურ პირობებსა და დამატებით გარანტიებს.

4. ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული იმპორტის პირობების განსაზღვრისას ეროვნულმა სააგენტომ თავიდან უნდა აიცილოს ვაჭრობისთვის არასატარიფო ან ტექნიკური ბარიერების შექმნის ისეთი შემთხვევები, რომლებიც არ ეყრდნობა მეცნიერულად დასაბუთებულ საიმედო რისკის შეფასებას ან რომელთაც შესაძლოა, ნავარაუდებ რისკთან შედარებით, არაპროპორციული შედეგი მოჰყვეს.

მუხლი 7. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ექსპორტის ან რეექსპორტის პირობები

1. საქართველოდან ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ექსპორტის შემთხვევაში, სერტიფიკატის წარდგენა სავალდებულოა მხოლოდ:

ა) საკლავი, სანაშენე ცხოველების ექსპორტისას;

ბ) 4101, 4102, 4103 საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) კოდებით გათვალისწინებული საქონლის ექსპორტისას (გარდა, მსუბუქი, სატვირთო-სამგზავრო ავტომობილით, ავტობუსით, საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით გასატან 4101, 4102, 4103 საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) კოდებით გათვალისწინებული საქონლის ექსპორტისა).

გ) კიბოსნაირებისა (რომელიც მიეკუთვნება Crustacea-ის ქვეტიპს) და მისი პროდუქტების ექსპორტისას.

2. საქართველოდან ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის რეექსპორტის შემთხვევაში, ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი სამსახურის მიერ გაცემული ვეტერინარული სერტიფიკატის ორიგინალი მიჰყვება საქონელს დანიშნულებისამებრ.

3. თუ კონტროლის ობიექტზე პასუხისმგებელი პირი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შემოტანის დროს საბაჟო გამშვებ პუნქტშივე აცხადებს საქონლის მიმართ რეექსპორტის გამოყენების განზრახვას ან/და ამ ოპერაციის განხორციელებისა და დასრულების მიზნით საქონელს ათავსებს დროებითი შენახვის ადგილზე, საქონლის მიმართ ხორციელდება ამ წესის მე-15 მუხლით გათვალისწინებული პროცედურები.

4. საქართველოდან ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის რეექსპორტის შემთხვევაში, საქონლის მფლობელის მოთხოვნისას, (როდესაც ხდება საქონლის პარტიებად დანაწევრება, გასხვისება და ა.შ.) ეროვნული სააგენტოს ან შემოსავლების სამსახურის მიერ ექსპორტიორი ქვეყნის ვეტერინარული სერტიფიკატის საფუძველზე გაიცემა ვეტერინარული სერტიფიკატი, რომელიც მიჰყვება საქონელს დანიშნულებისამებრ.

5. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ექსპორტით შესატან საქონელზე ვეტერინარული სერტიფიკატი არ მოითხოვება.

6. საკლავი, სანაშენე ცხოველების საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემოტანის დროს, თუ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ ობიექტზე პასუხისმგებელ პირს

საქონლის მიმართ აქვს რეექსპორტით გამოყენების განზრახვა, ამის თაობაზე მან უნდა განაცხადოს საბაჟო გამშვებ პუნქტშივე. რა დროსაც, საქონლის მიმართ ხორციელდება ამ წესის მე-15 მუხლით გათვალისწინებული პროცედურები.

მუხლი 8. წინასწარი შეტყობინება

1. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის შემოტანისას, კონტროლის ობიექტისათვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, გაუგზავნოს შემოსატანი საქონლის შესახებ მონაცემები იმ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს, რომლის გავლითაც მოხდება საქონლის შემოტანა (გარდა, ტრანზიტული ტვირთის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისა):

ა) სახმელეთო გზით შემოტანამდე – 24 საათით ადრე;

ბ) საზღვაო გზით შემოტანისას – სატვირთო ოპერაციების დაწყებამდე 24 საათით ადრე;

გ) საჰაერო გზით შემოტანისას – საჰაერო ხომალდის საქართველოს საერთაშორისო აეროპორტში დაფრენამდე, არანაკლებ 2 საათით ადრე.

2. წინასწარი შეტყობინება ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შემოტანაზე (დანართი № 2-ის პირველი ნაწილი) და ცოცხალი ცხოველების შემოყვანაზე (დანართი № 10-ის პირველი ნაწილი) უნდა შეიცავდეს მონაცემებს იმპორტის ნებართვის ან ვეტერინარული სერტიფიკატის, ან საქონლის თანმხლები სხვა დოკუმენტის არსებობის შესახებ (გაცემის თარიღი, გამცემი ორგანოს სრული დასახელება), აგრეთვე, საქონლის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაციას.

3. წინასწარი შეტყობინების შევსების წესი და ინფორმაციის გადაცემის საშუალება განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. ტვირთზე ვეტერინარული პროცედურების განხორციელება იწყება სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში წინასწარი შეტყობინების მიღების შემდეგ.

მუხლი 9. ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურები

1. საქართველოში იმპორტისათვის გამიზნული საქონელი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში ექვემდებარება:

ა) დოკუმენტურ შემოწმებას;

ბ) იდენტურობის შემოწმებას;

გ) ფიზიკურ შემოწმებას (ექვსის საფუძველზე ან მონიტორინგის გეგმის თანახმად), ხოლო ცოცხალი ცხოველების შემთხვევაში – ცოცხალი ცხოველების კლინიკურ შემოწმებას.

2. ფიზიკური შემოწმების რაოდენობის სიხშირის განსაზღვრის მიზნით რისკზე დაფუძნებული, ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული მონიტორინგის გეგმა მტკიცდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. სარკინიგზო ტრანსპორტით საქონლის შემოტანისას ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურები შესაძლებელია გადატანილ იქნეს საქონლის დანიშნულების ადგილზე.

4. საქართველოში უკან დაბრუნებული ტვირთი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში ექვემდებარება დოკუმენტურ და იდენტურობის შემოწმებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - ფიზიკურ შემოწმებას.

5. უკან დაბრუნებული ტვირთის დოკუმენტური შემოწმების ჩატარების მიზნით, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს წარედგინება ვეტერინარული სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ტვირთის სხვა თანხმლები დოკუმენტები.

მუხლი 10. დოკუმენტური შემოწმება

1. დოკუმენტური შემოწმება ითვალისწინებს ვეტერინარული კონტროლის ობიექტის თანხმლები დოკუმენტების შემოწმებას, რომელიც მოიცავს:

ა) ვეტერინარული სერტიფიკატის ფორმისა და შინაარსის, ამ ვეტერინარული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ნიმუშთან, შესაბამისობის დადგენას;

ბ) ვეტერინარული სერტიფიკატის სათანადოდ შევსების, აგრეთვე მასზე ბეჭდებისა და ხელმოწერების არსებობის დადგენას;

გ) ვეტერინარულ სერტიფიკატში, იმპორტის ნებართვაში, წინასწარი შეტყობინებისა და სხვა თანხმლებ დოკუმენტებში (წარმოშობის სერტიფიკატი, შესყიდვის დოკუმენტი (ინვოისი) ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი, საქონლის კონოსამენტი, მანიფესტი და ა.შ) მოცემული მონაცემების ურთიერთშესაბამისობის დადგენას;

დ) ცოცხალი ცხოველების ტრანზიტის შემთხვევაში, მიმღები ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ ტვირთის გარანტირებულ მიღებაზე გაცემული დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე, ორიგინალი ტრანზიტის ნებართვა (არსებობის შემთხვევაში).

2. დოკუმენტური შემოწმების ჩატარების მიზნით, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს წარედგინება:

ა) ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ვეტერინარული სერტიფიკატის ორიგინალი (ტრანზიტის შემთხვევაში შესაძლებელია, წარდგენილ იქნეს საერთაშორისო ვეტერინარული მოწმობის ორიგინალი ან ვეტერინარული სერტიფიკატის ან საერთაშორისო ვეტერინარული მოწმობის სკანირებული ვერსია ელექტრონულად) ან საქონლის ექსპორტიორ ქვეყანასთან შეთანხმების შემთხვევაში, შესაბამისი ავტომატიზებული ელექტრონული სისტემის გამოყენებით, ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ელექტრონული ვეტერინარული სერტიფიკატი, ან ელექტრონული ვეტერინარული სერტიფიკატის ბეჭდური ვერსია;

ბ) იმპორტის ნებართვა (ორიგინალი ან ელექტრონულად);

გ) ცოცხალი ცხოველების შემთხვევაში – დამატებით მარშრუტის გეგმა;

დ) ფარმაცევტული პროდუქციის შემთხვევაში - ექსპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემული ვეტერინარული სერტიფიკატი, ან ჯანმრთელობის სერტიფიკატი, ან ანალიზის დოკუმენტი;

ე) წინასწარი შეტყობინება ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შემოტანაზე (დანართი № 2-ის პირველი ნაწილი) და ცოცხალი ცხოველების შემოყვანაზე (დანართი № 10-ის პირველი ნაწილი);

ვ) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული „საშიში ინფექციური დაავადებების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების გავრცელების გამო არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხაში“ არსებული ქვეყნებიდან (გარდა „საჯარო სამართლის იურიდიული

პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა) ცოცხალი ცხოველების ტრანზიტის შემთხვევაში, მიმღები ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ ტვირთის გარანტირებულ მიღებაზე გაცემული დამადასტურებელი დოკუმენტი“, ასევე, ორიგინალი ტრანზიტის ნებართვა (არსებობის შემთხვევაში).

3. ვეტერინარული სერტიფიკატი უნდა აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ ზოგად მოთხოვნებს:

ა) უნდა შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ფურცლისაგან, რომლებიც დანომრილია ისე, რომ თითოეული მიუთითებს განსაზღვრული თანმიმდევრობის კონკრეტულ გვერდზე;

ბ) უნდა ჰქონდეს უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სერტიფიკატი შედგება რამდენიმე გვერდისაგან, თითოეულ გვერდზე დატანილი უნდა იყოს აღნიშნული ნომერი;

გ) უნდა შეიცავდეს საქონლის იდენტიფიკაციისათვის საჭირო მონაცემებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული არ არის მიზანშეწონილი (მაგალითად, ერთდღიანი ფრინველის შემთხვევაში);

დ) უნდა გაიცეს იქამდე, ვიდრე საქონელი დატოვებს ექსპორტიორი ქვეყნის ტერიტორიას, ხოლო ცოცხალი ცხოველების შემთხვევაში, გაცემის თარიღი უნდა შეესაბამებოდეს ცხოველების ჩატვირთვის თარიღს;

ე) აღნიშნული უნდა იყოს სერტიფიკატის გამცემი ვეტერინარის ან უფლებამოსილი პირის ორიგინალი ხელმოწერა, ნათლად უნდა იყოს მითითებული მისი სახელი და გვარი და თანამდებობა და კომპეტენტური ორგანოს ორიგინალი ბეჭედი. ორივე უნდა იყოს ვეტერინარული/ჯანმრთელობის სერტიფიკატის დაბეჭდილი ტექსტის ფერისგან განსხვავებულ ფერში (თევზის გადამამუშავებელი გემის შემთხვევაში, კომპეტენტურმა ორგანომ ხელმოწერასთან დაკავშირებული უფლებამოსილება შეიძლება მიაწიქოს ამ ან სხვა გემის კაპიტანს);

ვ) სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს ერთ ტვირთზე და ერთი მიმღების დანიშნულებით;

ზ) უნდა იყოს სრულყოფილად და სწორად შევსებული, არ უნდა იყოს გადასწორებები, გარდა გამცემის მიერ ხელმოწერით და ბეჭდით დადასტურებულისა;

თ) სერტიფიკატები შევსებული უნდა იყოს ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენებზე.

4. ერთი იმპორტის ნებართვის საფუძველზე, შესაძლებელია საქონლის საქართველოში შემოტანა განხორციელდეს ეტაპობრივად, რამდენიმე სატრანსპორტო საშუალებით, თუ საქონლის თანმხლები დოკუმენტებით დასტურდება, რომ თითოეული სასაქონლო პარტია არის იმ ტვირთის ნაწილი, რომელზედაც გაიცა იმპორტის ნებართვა.

5. ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით არაუმეტეს 5 ერთეული შინაური ცხოველის შემოყვანისას, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობისთვის, ცხოველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნდა იყოს ჯანმრთელი;

ბ) ჩატარებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროფილაქტიკური ვაქცინაცია, დიაგნოსტიკური გამოკვლევა, დამუშავება;

გ) უნდა ახლდეს ვეტერინარული სერტიფიკატი ან შინაური ცხოველის პასპორტი.

6. ძაღლისა და კატის საერთაშორისო ვეტერინარული პასპორტი უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ძირითად ინფორმაციას:

ა) ცხოველის შესახებ მონაცემებს (მისი იდენტიფიცირებისათვის საჭირო ინფორმაციას);

ბ) ცხოველის მფლობელის შესახებ მონაცემებს;

გ) საცხოვრებელ მისამართს;

დ) ცხოველზე განხორციელებული ვეტერინარული ღონისძიებების მონაცემებს (თარიღების ჩვენებით):

დ.ა) ცოფის საწინააღმდეგო აცრის შესახებ;

დ.ბ) ექტო და ენდოპარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავების შესახებ.

მუხლი 11. იდენტურობის შემოწმება

საქონლის იდენტურობის შემოწმება ითვალისწინებს:

ა) სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული ლუქის მთლიანობის შემოწმებას, მასზე დატანილი ნომრის (ან კოდის) ვეტერინარული სერტიფიკატის ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა თანმხლები დოკუმენტების მონაცემებთან შესაბამისობის დადგენას;

ბ) საქონლის წარმოშობის ქვეყნისა და საწარმოს იდენტიფიკაციისათვის საჭირო შტამპების, ოფიციალური აღნიშვნების არსებობის, აგრეთვე ამ მონაცემების ვეტერინარულ სერტიფიკატში ან სხვა დოკუმენტებში აღნიშნულ ინფორმაციასთან შესაბამისობის დადგენას;

გ) შეფუთული ან დაფასოებული საქონლისათვის სპეციალური მარკირების შემოწმებას;

დ) საქონლის ფაქტობრივი წონის შედარებას ვეტერინარულ სერტიფიკატში ან/და სხვა დოკუმენტებში მითითებულ წონასთან;

ე) ცოცხალი ცხოველების შემთხვევაში:

ე.ა) ყველა ცხოველის იდენტურობის შემოწმებას, ხოლო ცხოველთა დიდი ჯგუფების შემთხვევაში, ცხოველთა 10%-ის, რაც არ უნდა იყოს 10 სულზე ნაკლები, ანუ მინიმუმ 10 ცხოველი;

ე.ბ) მათი საიდენტიფიკაციო ნიშნების არსებობის და თანმხლებ ვეტერინარულ სერტიფიკატში მითითებულ ინფორმაციასთან მათი შესაბამისობის დადგენას, როდესაც არ მოითხოვება ინდივიდუალური იდენტიფიკაცია, ხორციელდება შეფუთვების ან კონტეინერთა შესაბამისი ნომრის იდენტიფიკაცია და ზოგიერთი ცხოველის ვიზუალური დათვალიერება.

მუხლი 12. ფიზიკური შემოწმება

1. ფიზიკური შემოწმება ითვალისწინებს:

ა) საქონლის ფიზიკურ, ქიმიურ ტესტირებას (გაჭრა, გადნობა, გაცხელება);

ბ) საქონლის ორგანოლექტიკურ შემოწმებას (სუნნი, ფერი, გემო, სიმკვრივე);

გ) ტრანსპორტირების პირობების, მათ შორის, ტემპერატურული რეჟიმის შემოწმებას;

დ) საჭიროების შემთხვევაში და მონიტორინგის გეგმის თანახმად, დაავადების, აკრძალული და არასასურველი ნივთიერებების, პათოგენების, მომწამვლელი ნივთიერებებისა და სხვა პათოლოგიური ცვლილებების აღმოჩენის მიზნით, ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშების აღებას.

2. ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშის აღება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი წესის შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ, ამასთან:

ა) ნიმუშის აღება ხორციელდება საქონლის მფლობელის ხარჯით, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი იგზავნება შემოსავლების სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეულ (გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიაში, ხოლო მეორე – რეფერენტული (შედარებითი) ნიმუშის სახით, ნიმუშის ნომრის, დასახელების, წონის, რაოდენობისა და ნიმუშის აღების თარიღის მითითებით, დალუქულ მდგომარეობაში, საქონლის მფლობელისთვის შედეგებისა და დასკვნის მიწოდებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში, სათანადო პირობებში ინახება საქონლის მფლობელის მიერ;

ბ) საქონლის მფლობელს უფლება აქვს, მოითხოვოს აღებული ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზის დაჩქარებული წესით ჩატარება თავისი ხარჯით იმ ლაბორატორიაში, რომელსაც აქვს შესაბამისი აკრედიტაცია დაჩქარებული მეთოდით გამოკვლევაზე;

გ) საქონლის მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია, დამატებით აღებულ იქნეს ნიმუშის ეგზემპლარი, რომელიც რჩება საქონლის მფლობელთან.

2. სატრანსპორტო საშუალება მთლიანად უნდა დაიცალოს იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მასზე პროდუქტები დატვირთულია ისე, რომ მთლიანი ტვირთის დათვალიერება შეუძლებელია ნაწილობრივი გადმოტვირთვით;

ბ) შემოწმებისას გამოვლინდა დარღვევები;

გ) წინა მსგავს ტვირთებზე გამოვლინდა დარღვევები;

დ) უფლებამოსილი პირის მიერ დარღვევებზე ეჭვის შეტანის შემთხვევაში.

3. ფიზიკური შემოწმება შემცირებული სიხშირით, დანართი №9-ის შესაბამისად ხორციელდება იმპორტისათვის განკუთვნილი იმ ტვირთების მიმართ, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

ა) პროდუქტი წარმოშობილია ევროკავშირის ქვეყნებში ან სხვა ქვეყნებში, რომელთა ნუსხა დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის გარანტიების საფუძველზე, დამტკიცებულია ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით;

ბ) პროდუქტი წარმოებულია საწარმოში, რომელშიც ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულია კონტროლი და ნებადართულია იმპორტის განხორციელება, ან ევროკავშირის ქვეყნების სურსათის მწარმოებელ ავტორიზებულ საწარმოებში, ასევე სხვა ქვეყნების ავტორიზებულ საწარმოებში, რომელთა ნუსხა დამტკიცებულია ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით;

გ) პროდუქტებზე გაცემულია ვეტერინარული ან ჯანმრთელობის სერტიფიკატები, რომელთა ფორმები დამტკიცებულია ეროვნული სააგენტოს მიერ ან ევროკომისიის გადაწყვეტილებით;

დ) ფიზიკური შემოწმების შემცირებული სიხშირე დაშვებულია უცხო ქვეყნისათვის, რომელთანაც საქართველოს დადებული აქვს შესაბამისობის (ეკვივალენტურობის) შეთანხმება.

4. ფიზიკური შემოწმებისას, თუ მონიტორინგის გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული სახეობის პროდუქციის შეჩერებას, საქონლის მფლობელს ეკისრება ვალდებულება, ლაბორატორიული ანალიზის დასრულებამდე საქონელი განათავსოს საბაჟო საწყობში, სხვა საქონლისგან განცალკევებით.

მუხლი 13. რეფერენტული (შედარებითი) ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზი

1. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე არ ეთანხმება ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზის პირველად შედეგს, ხორციელდება რეფერენტული (შედარებითი) ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზი, რომლის ჩატარების ხარჯსაც ფარავს მოდავე მხარე.

2. რეფერენტული (შედარებითი) ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზის ჩატარების შესახებ მოთხოვნა დაყენებულ უნდა იქნეს საქონლის მფლობელის მიერ, მისთვის ლაბორატორიული ანალიზის პირველადი შედეგებისა და დასკვნის მიწოდებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

3. რეფერენტული (შედარებითი) ნიმუშის ანალიზი ტარდება:

ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ანალიზი განსაზღვრულია მისი აკრედიტაციის სფეროთი და პირველადი ლაბორატორიული ანალიზი ჩატარებულია სხვა აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ;

ბ) მხარეთა შეთანხმებით შერჩეულ, სხვა ქვეყნის საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიაში, გარდა საქონლის წარმოშობის ქვეყნისა.

4. რეფერენტული (შედარებითი) ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზის შედეგად გამოცემული დასკვნა საბოლოოა და მის საფუძველზე მიიღება ამ წესის მე-16 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილება.

5. რეფერენტული (შედარებითი) ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზისათვის, თუ საქონლის მფლობელის მიერ წარდგენილი იქნება დაზიანებული (დარღვეულია შეფუთვის, ლუქის მთლიანობა, არ იკითხება ლუქის ნომერი და სხვ.) რეფერენტული (შედარებითი) ნიმუში, ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზის პირველადი შედეგი ჩაითვლება საბოლოოდ.

მუხლი 14. ცოცხალი ცხოველების კლინიკური შემოწმება

1. ცოცხალი ცხოველების კლინიკური შემოწმების მიზანია ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და გადაყვანისათვის მათი შესაბამისობის შეფასება.

2. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტზე შემოსული ცოცხალი ცხოველების 100% ექვემდებარება კლინიკურ შემოწმებას. დიდი რაოდენობით ცხოველების კლინიკური შემოწმება ცხოველების კატეგორიის მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად:

ა) ცხოველთა ჯიშების გამოსაყვანად ან მოსაშენებლად განკუთვნილი ცხოველების შემთხვევაში – ცხოველთა 10%, მაგრამ არანაკლებ 10 ცხოველისა;

ბ) საკლავი ცხოველების შემთხვევაში – ცხოველთა 5%, მაგრამ არანაკლებ 5 ცხოველისა;

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ცოცხალი ცხოველების კლინიკური შემოწმების პროცენტული მაჩვენებლები შეიძლება გაიზარდოს 100%-მდე, თუ თავდაპირველი შემოწმებები არადაამაკმაყოფილებელია ან არსებობს ეჭვი დარღვევების შესახებ.

3. ცოცხალი ცხოველების კლინიკური შემოწმება ხორციელდება სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში ან ცხოველთა კონკრეტული სახეობისთვის განკუთვნილ ცხოველთა დაბინავების შენობა-ნაგებობებში შესაბამისი დოკუმენტების ორიგინალების საფუძველზე, და როცა ცხოველები ფიზიკურად ადგილზეა და უფლებამოსილ პირს შეუძლია მათზე შემოწმების ჩატარება.

4. ინდივიდუალური კლინიკური შემოწმება არ ტარდება:

- ა) ფრინველზე, მათ შორის, შინაურ ფრინველზე;
- ბ) აკვაკულტურის ცხოველებზე, აგრეთვე ყველა სახის ცოცხალ თევზზე;
- გ) მღრღნელებზე;
- დ) კურდღლისნაირებზე;
- ე) ფუტკრებზე;
- ვ) მწერებზე;
- ზ) რეპტილიებზე;
- თ) ამფიბიებზე;
- ი) სხვა უხერხემლოებზე;

კ) ზოოპარკისა და ცირკის ზოგიერთ ცხოველზე, მათ შორის, წყვილჩლიქიანებსა და ცხენებზე, რომლებიც ითვლებიან საშიშ ცხოველებად;

ლ) ბეწვიან ცხოველებზე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებში ფიზიკური შემოწმება მოიცავს ცხოველების ჯგუფის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენას, მათ ქცევაზე დაკვირვებით.

6. გამონაკლისის სახით, მხოლოდ კონკრეტული რისკის ან შესაბამისი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ცხოველთა შემდეგი სახეობები/კატეგორიები ექვემდებარებიან კლინიკურ დათვალიერებას:

ა) ცოცხალი თევზი, კიბოსნაირები, მოლუსკები და სამეცნიერო და კვლევითი მიზნებისათვის განკუთვნილი ცხოველები;

ბ) კონკრეტული პათოგენებისგან თავისუფალი სერტიფიცირებული სტატუსის მქონე ცხოველები;

გ) გარემო პირობების შესაბამისად დალუქული კონტეინერებით გადაადგილებული ცხოველები;

დ) მგზავრთან ერთად არაკომერციული მიზნით გადაადგილებული შინაური ცხოველები.

მუხლი 15. ტრანზიტული საქონლის ვეტერინარული კონტროლის პროცედურები

1. ტრანზიტული საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში ექვემდებარება დოკუმენტურ შემოწმებას და, საჭიროების შემთხვევაში, ვეტერინარული წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურებს.

2. თუ ვეტერინარული კონტროლის ობიექტი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, უფლებამოსილი პირის მიერ ვეტერინარულ სერტიფიკატზე დაისმება ამ ვეტერინარული წესის №3 დანართით გათვალისწინებული აღნიშვნა – „ვეტერინარული კონტროლი ჩატარებულია“. ვეტერინარული კონტროლის

დასრულების შემდგომ, უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს ელექტრონულ ჟურნალში შემდეგი ინფორმაციის შეტანას:

- ა) საქონლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში შემოსვლის თარიღი;
- ბ) საქონლის წონა ან რაოდენობა;
- გ) საქონლის დასახელება, ცხოველთა სახეობა;
- დ) საქონლის თანმხლები ვეტერინარული სერტიფიკატის/ნებართვის ნომერი;
- ე) წარმოშობის ქვეყანა, საწარმო;
- ვ) საქონლის დანიშნულების ადგილი, მიმღები;
- ზ) მიღებული გადაწყვეტილება.

3. თუ ვეტერინარული კონტროლის ობიექტი არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ტრანზიტული საქონლის მიმართ განხორციელებული ვეტერინარული კონტროლის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება აისახება „საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტში“ (დანართი №2, მეორე ნაწილი და დანართი №10, მეორე ნაწილი).

4. საქონლის ტრანზიტი სრულდება ქვეყანაში შემოსვლიდან 10 დღეში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხორციელდება საბაჟო საწყობის ან თავისუფალი ზონის პროცედურები.

5. საკლავი ან/და სანაშენე ცხოველების ტრანზიტის შემთხვევაში, საქონლის ქვეყნის ტერიტორიაზე ჩამოტვირთვა ან/და სხვა ტვირთთან შერევა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

- ა) ჩამოტვირთვა ხორციელდება ცოცხალი ცხოველების დაწყურების, კვებისა და დასვენების მიზნით, ამისათვის სპეციალურად მოწყობილ ადგილებში; ან
- ბ) არსებობს ისეთი გარემოება, რომლის დროსაც აუცილებელია საქონლის ჩამოტვირთვა, რის შესახებაც ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ ობიექტზე პასუხისმგებელმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ეროვნულ სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურს.

6. ტრანზიტული საქონლის შენახვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ (გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) საბაჟო საწყობში ან თავისუფალ ზონაში, იმ პირობით, თუ:

- ა) ფიზიკურად განცალკევებული იქნება იმპორტისათვის განკუთვნილი საქონლისაგან;
- ბ) მასზე ხორციელდება მხოლოდ შენახვისათვის ან/და სასაქონლო პარტიის დანაწილებისათვის ან/და ტრანსპორტირებისათვის აუცილებელი ოპერაციები;
- გ) არ ხდება მისი შეფუთვის შეცვლა.

7. ტრანზიტული საქონლის იმპორტში მოქცევა შესაძლებელია, თუ განხორციელებული ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურების შედეგად დასტურდება, რომ იგი შეესაბამება იმპორტის მოთხოვნებს, გარდა ამ ვეტერინარული წესის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნისა.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 ივნისის დადგენილება №379 – ვებგვერდი, 25.06.2020წ.

მუხლი 16. მიღებული გადაწყვეტილებები

ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების შედეგად მიიღება შემდეგი გადაწყვეტილებები:

ა) თუ ვეტერინარული კონტროლის ობიექტი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მას ეძლევა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის უფლება, ვეტერინარულ სერტიფიკატზე დაისმება ამ ვეტერინარული წესის №3 დანართით გათვალისწინებული აღნიშვნა – „ვეტერინარული კონტროლი ჩატარებულია“;

ბ) თუ ვეტერინარული კონტროლის ობიექტი არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს:

ბ.ა) მას ეკრძალება საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა, ვეტერინარულ სერტიფიკატზე ან სხვა დოკუმენტზე დაისმება ამ წესის №5 დანართით გათვალისწინებული აღნიშვნა: „საქონლის შემოტანაზე უარი ითქვა – დაბრუნებულია“;

ბ.ბ) გადამუშავება (ალტერნატიული დანიშნულებით გამოყენება) – აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება რისკის შეფასების საფუძველზე, კონტროლის ობიექტზე პასუხისმგებელ პირთან შეთანხმების შემდეგ;

ბ.გ) განადგურება – ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება საქონლის მფლობელის დადგენა ან იმ საქონლის გატანა, რომლის შემოტანაზეც უარი ითქვა, ან თუ ასეთი საქონლის უკან დაბრუნება გამოიწვევს უფრო დიდ რისკს ცხოველთა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის. საქონლის განადგურება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

გ) შეჩერება:

გ.ა) სათანადო დასაბუთების არსებობისას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა დამატებით დოკუმენტების წარდგენა (საჭირო დოკუმენტების წარდგენისათვის პირს ეძლევა 3 სამუშაო დღის ვადა, ხოლო საზღვაო გზით შემოტანილ საქონელზე – აღნიშნული ვადა ემთხვევა საბაჟო პროცედურის განსაზღვრის ვადას) ან/და საქონლის საკარანტინო სადგომზე განთავსება. ვეტერინარულ სერტიფიკატზე დაისმება ამ ვეტერინარული წესის №4 დანართით გათვალისწინებული აღნიშვნა – „ექვემდებარება შეჩერებას“ და კონტროლის ობიექტი გადაადგილდება საკარანტინო სადგომზე. ცოცხალი ცხოველების შემთხვევაში, საკარანტინო სადგომი განისაზღვრება სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში ან მის უშუალო სიახლოვეს, ან, ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით, დანიშნულების ადგილზე არსებულ მიწის ნაკვეთზე ან დანიშნულების ადგილზე არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე საკარანტინო სადგომზე;

გ.ბ) ფიზიკური შემოწმებისას, თუ მონიტორინგის გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული სახეობის პროდუქციის შეჩერებას, ლაბორატორიული ანალიზის დასრულებამდე; ვეტერინარულ სერტიფიკატზე დაისმება ამ ვეტერინარული წესის №4 დანართით გათვალისწინებული აღნიშვნა – „ექვემდებარება შეჩერებას“ და კონტროლის ობიექტი განთავსდება საბაჟო საწყობში, ლაბორატორიული დასკვნის მიღებამდე.

მუხლი 17. საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტი

1. საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტი შედგება წინასწარი შეტყობინებისა (ნაწილი I – მონაცემები ტვირთის შესახებ, რომელიც ივსება საქონლის მფლობელის ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ) და ვეტერინარული კონტროლის ჩატარების აქტისაგან (ნაწილი II – გადაწყვეტილება ტვირთზე), რომელშიც ელექტრონულად აისახება

უფლებამოსილი პირის მიერ საქონლის მიმართ განხორციელებული ვეტერინარული კონტროლის პროცედურების შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება.

2. საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტის შევსების წესი და ინფორმაციის გადაცემის საშუალება განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 18. თანამშრომლობა და ინფორმაციის რეგულარული გაცვლა

1. ეროვნული სააგენტო შემოსავლების სამსახურის ცენტრალური აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს ელექტრონულად ან მონაცემთა გადაცემის სხვა საშუალებით რეგულარულად და აუცილებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აწვდის:

ა) მეთოდურ მითითებებს შესაძლო რისკებისა და მათთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

ბ) ინფორმაციას გაცემული ვეტერინარული სერტიფიკატებისა და საქონლის იმპორტის ნებართვების შესახებ (მიეწოდება ელექტრონულად გაცემისთანავე);

გ) მესამე ქვეყნებისა და დაწესებულებათა მოქმედი სათანადო ნუსხისა და ვეტერინარული ან ჯანმრთელობის სერტიფიკატების ნიმუშებს;

დ) ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო სხვა მონაცემებს.

2. ეროვნულ სააგენტოს თითოეული სასაქონლო პარტიის შესახებ ელექტრონულად მიეწოდება „საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტში“ ასახული ინფორმაცია.

3. შემოსავლების სამსახური ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელებისას გამოვლენილი იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელი ღონისძიებების გატარებას, მათ შორის, იმპორტთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას, ინფორმაციას შესაბამისი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ აწვდის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, განხორციელებული ღონისძიებების შესახებ აცნობებს შემოსავლების სამსახურს.

4. სააგენტო და შემოსავლების სამსახური ურთიერთთანამშრომლობენ და აწარმოებენ კოორდინაციას ვეტერინარული კონტროლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ვეტერინარული კონტროლის განხორციელებისას წარმოშობილ ცალკეულ პრობლემებზე ან განსაკუთრებულ გარემოებებზე სათანადო რეაგირებითა და ურთიერთდახმარებით.

5. შემოსავლების სამსახურისა და სააგენტოს ურთიერთშეთანხმებით ვეტერინარული პროცედურების განხორციელების პროცესში, განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლებელია მოწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

6. ეროვნული სააგენტო და შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფენ უფლებამოსილი პირების სწავლების ყოველწლიური გეგმის შემუშავებას და მის განხორციელებას.

მუხლი 19. საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით შემოტანილი საქონლის განადგურება

1. საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით შემოტანილი საქონლის განადგურება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ამ საქონელზე არ იქნება წარდგენილი ვეტერინარული სერტიფიკატი და, საჭიროების შემთხვევაში, იმპორტის ნებართვა და ვერ ხერხდება ამ საქონლის უკან დაბრუნება.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საქონლის განადგურება ხორციელდება (საქონლის შემოტანიდან არაუმეტეს 20 კალენდარული დღისა) შემდეგი მეთოდებით:

- ა) სპეციალურ დანადგარში (ლუმელში) დაწვით;
- ბ) სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე დამარხვით;
- გ) ბიოთერმულ ორმოში მოთავსებით;

დ) საკანალიზაციო სისტემაში ჩაღვრით (იმ პირთან შეთანხმებით, რომელიც ახორციელებს საკანალიზაციო სისტემის ექსპლუატაციას);

- ე) სხვა დადგენილი მეთოდის გამოყენებით.

3. საქონლის განადგურება ხორციელდება შემოსავლების სამსახურის შესაბამისი უფლების მქონე პირის ბრძანების საფუძველზე.

4. საქონლის განადგურებას, მოთხოვნის შემთხვევაში, ესწრება საქონლის მფლობელი ან მისი წარმომადგენელი.

5. უფლებამოსილი პირი ამ ვეტერინარული წესის №6 დანართის შესაბამისად, ადგენს „საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით შემოტანილი საქონლის განადგურების აქტს“ 2 ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი რჩება სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში, ხოლო მეორე ეგზემპლარი, მოთხოვნისამებრ, გადაეცემა საქონლის მფლობელს ან მის წარმომადგენელს.

მუხლი 20. საქონლის განთავსება საბაჟო საწყობში, თავისუფალ ზონაში ან შენახვის სხვა ადგილზე

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის შენახვა შეიძლება განხორციელდეს საბაჟო საწყობსა და თავისუფალ ზონაში, ხოლო ამ წესის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, აგრეთვე შენახვის სხვა ადგილზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონტროლის ობიექტისათვის პასუხისმგებელ პირს წინასწარ გაცხადებული აქვს საქონლის იმპორტში მოქცევის ან სხვა საბაჟო პროცედურის განხორციელების განზრახვა, აგრეთვე, თუ დაკმაყოფილებულია საქონლის იმპორტის პირობებთან შესაბამისობა.

2. თუ კონტროლის ობიექტისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ არ არის გაცხადებული საქონლის საბოლოო დანიშნულება, საქონელი ჩაითვლება იმპორტში მოსაქცევად. იმპორტის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, აღნიშნული საქონელი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში ექვემდებარება დოკუმენტურ იდენტიფიკაციას და ფიზიკურ შემოწმებას. ვეტერინარული კონტროლის შედეგებიდან გამომდინარე, უფლებამოსილი პირი იღებს ვეტერინარული წესის მე-15 მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას.

3. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მფლობელს განზრახული აქვს საბაჟო საწყობსა და თავისუფალ ზონაში განთავსებული, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის იმპორტი, აღნიშნული საქონელი ექვემდებარება ხელახალ ვეტერინარული კონტროლის პროცედურებს. ამ შემთხვევაში, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში დოკუმენტური შემოწმებისათვის წარსადგენი დოკუმენტია „საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტი“, რომლის თანახმად მოხდა საქონლის დროებითი დასაწყობება. დოკუმენტური შემოწმების შემდგომ საქონელი ექვემდებარება ამ ვეტერინარული წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პროცედურებს. ვეტერინარული კონტროლის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება აისახება „საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტში“.

4. საბაჟო საწყობი, თავისუფალი ზონა და შენახვის სხვა ადგილი უნდა აკმაყოფილებდეს „ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილებით განსაზღვრულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 ივნისის დადგენილება №379 – ვებგვერდი, 25.06.2020წ.

მუხლი 21. განსაკუთრებული პირობები

ვეტერინარული კონტროლი არ ვრცელდება:

ა) საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებსა და დიპლომატიური სტატუსის მქონე პირების პირად ნივთებზე, დიპლომატიურ ფოსტასა და საკონსულო ვალიზაზე. თუ არსებობს ინფორმაცია, რომ აღნიშნულ პირთა პირადი ნივთებით გადაიტანება საქონელი, რომელიც შესაძლებელია წარმოადგენდეს რისკს ცხოველთა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის, მაშინ კონტროლი ხორციელდება მხოლოდ ამავე პირთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების თანდასწრებით, საკონსულო ვალიზის შემთხვევაში – უფლებამოსილი პირის თანდასწრებით. საკონსულო ვალიზის გახსნაზე საქართველოში აკრედიტებული დიპლომატებისა და დიპლომატიური სტატუსის მქონე პირების ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ უარის თქმის შემთხვევაში – იგი უბრუნდება გამომგზავნს;

ბ) ამ ვეტერინარული წესის №7 დანართით განსაზღვრულ, საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით შემოსატან ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელზე;

გ) საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული დაუძლეველი ძალის პირობების დადგომისას, დაუძლეველი ძალის პირობების შედეგების სალიკვიდაციოდ საქონლის გადაადგილებისას.

მუხლი 22. უსაფრთხოების ღონისძიებები

უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის იმპორტი ან/და ტრანზიტი შეიძლება დროებით აიკრძალოს ან მათი პირობები შეიცვალოს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით.

თავი III

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 23. კონტროლის ელექტრონული სისტემები

ეროვნული სააგენტო და შემოსავლების სამსახური ყოველმხრივ ხელს უწყობენ ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის სრულყოფას, ქმნიან და განავითარებენ ელექტრონულ სისტემებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ერთიან ელექტრონულ ბაზაში აისახოს საქონლის მიმართ განხორციელებული კონტროლის პროცედურები.

მუხლი 24. პასუხისმგებლობა

ვეტერინარული კონტროლის განხორციელებისას გამოვლენილი სამართალდარღვევისათვის პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი №1

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 ნოემბრის დადგენილება №706 – ვებგვერდი, 30.11.2020წ.

ნ უ ს ხ ა

ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის კოდების ჩვენებით

სეს ესნ კოდი	საქონლის დასახელება	განმარტებები
1	2	3
01 ჯგუფიდან	ცოცხალი ცხოველები	
0101	ცხენები, ვირები, ჯორები და ჯორცხენები ცოცხალი	ყველა
0102	მსხვილფეხა რქოსანი ცხოველები, ცოცხალი	ყველა
0103	ღორები ცოცხალი	ყველა
0104 10	ცხვრები ცოცხალი	ყველა
0104 20	თხები ცოცხალი	ყველა
0105	შინაური ფრინველი ცოცხალი, ანუ შინაური ქათამი (Gallus domesticus), იხვები, ბატები, ინდაურები და ციცრები	ყველა
0106	ცოცხალი ცხოველები დანარჩენი:	ყველა
0106 11 00	პრიმატები	ყველა
0106 12 00	ვეშაპები, დელფინები და ზღვის გოჭები (ძუძუმწოვრები Cetacea რიგისა); ლამანტინები და დიუგონები (ძუძუმწოვრები Sirenia რიგისა); სელაპები, ზღვის ლომები და ლომვეშაპები (ძუძუმწოვრები Pinnipedia ქვერიგისა)	ყველა
0106 13	აქლემები და სხვა აქლემებისნაირნი (Camelidae)	ყველა
0106 14	ბოცვრები და კურდღლები	ყველა
0106 14 10	ბოცვრები შინაური	ყველა
0106 14 90	დანარჩენი	ბოცვერი და კურდღელი, შინაური ბოცვრის გარდა
0106 19	დანარჩენი	ძუძუმწოვრები, 0101, 0102, 0103, 0104, 0106 12, 0106 13 და 0106 14 სასაქონლო პოზიციაში მითითებულის გარდა; მოიცავს ძაღლებს და კატებს
0106 20 00	რეპტილიები (გველთა და კუთა ჩათვლით)	ყველა

0106 31 00	მტაცებელი ფრინველები	ყველა
0106 32 00	თუთიყუმისებრნი (თუთიყუმების, არასა და კაკადუს ჩათვლით)	თუთიყუმები, გრძელკუდა თუთიყუმები, არასა და კაკადუს ჩათვლით
0106 33	სირაქლემები; ემუ (<i>Dromaius novaehollandiae</i>)	ყველა
0106 39	დანარჩენი	ფრინველები, 0105, 0106 3100, 0106 3200 და 0106 33 სასაქონლო პოზიციაში მითითებულის გარდა; მოიცავს მტრედებს
0106 41	ფუტკრები	ყველა
0106 49	დანარჩენი	დანარჩენი მწერები, ფუტკრების გარდა
0106 90 00	დანარჩენი	ყველა სხვა ცოცხალი ცხოველი, რომელიც არ შედის სხვა სასაქონლო პოზიციაში, ძუძუმწოვრების, ფრინველებისა და რეპტილიების გარდა. მოცემულ სასაქონლო პოზიციაში შედიან ცოცხალი ბაყაყები, იმის მიუხედავად, არიან ისინი ვივარიუმში ცოცხლად შენახვისათვის თუ საკლავად ადამიანის მოხმარებისთვის
02 ჯგუფიდან	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები	
0201	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ახალი ან გაცივებული	ყველა
0202	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, გაყინული	ყველა
0203	ხორცი ღორისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0204	ხორცი ცხვრისა ან თხისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0205 00	ხორცი ცხენების, ვირების, ჯორების ან ჯორცხენების, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0206	საკვები სუბპროდუქტები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორების, ცხვრების, თხების, ცხენების, ვირების, ჯორების ან ჯორცხენებისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0207	ხორცი და საკვები სუბპროდუქტები 0105 სასაქონლო პოზიციაში მითითებული შინაური ფრინველისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0208	სხვა ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0208 10	ბოცვრებისა და კურდღლების	ყველა
0208 30 000 00	პრიმატების	ყველა
0208 40	ვეშაპების, დელფინებისა და ზღვის გოჭების (<i>Cetacea</i> რიგის ძუძუმწოვრების); ლამანტინებისა და დიუგონების (<i>Sirenia</i> რიგის ძუძუმწოვრების); სელაპების, ზღვის ლომების და ლომვეშაპების (<i>Pinnipedia</i> რიგის ძუძუმწოვრების)	ყველა
0208 50 000 00	რეპტილიების (გველთა და კუთა ჩათვლით)	ყველა

0208 60 000 00	აქლემების და სხვა აქლემებისნაირების (Camelidae)	ყველა
0208 90	დანარჩენი	
0208 90 100 00	--შინაური მტრედების	ყველა
0208 90 300 00	ნანადირევის, ბოცვრებისა ან კურდღლების გარდა	ყველა
0208 90 600 00	— — ჩრდილოეთის ირმების	ყველა
0208 90 700 00	— — ბაყაყის თათები	ყველა
0208 90 980 00	— — დანარჩენი	ყველა
0209	ღორის ქონი, მჭლე ხორცისაგან გამოცალკევებული და შინაური ფრინველის ქონი, გადაუდნობელი ან რაიმე სხვა ხერხით ამოუღებელი, ახალი, გაცივებული, გაყინული, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი	ყველა მოიცავს როგორც ქონს, ასევე, გადამუშავებულ ქონს
0210	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი; საკვები ფქვილი ხორცისა ან ხორცის სუბპროდუქტებისაგან	ყველა მოიცავს ხორცს, ხორცის პროდუქტებს და სხვა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს. მოიცავს დამუშავებულ ცხოველურ ცილას და გამხმარ (ხმელ) ღორის ყურებს ადამიანის მოხმარებისთვის. ძვლები ადამიანის მოხმარებისთვის განსაზღვრულია სასაქონლო კოდით 0506; ძეხვი შედის 1601 00 სასაქონლო კოდში; ხოხოზიკი შედის 2301 სასაქონლო კოდში
03 ჯგუფიდან	თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები	
0301	ცოცხალი თევზი	ყველა მოიცავს კალმახს, გველთევზებს, კობრს და იმპორტისათვის განკუთვნილ სხვა ნებისმიერი სახეობის თევზებს მოშენებისთვის ან გამრავლებისთვის
	- დეკორატიული თევზი:	
0301 11 000 00	-- მტკნარი წყლის თევზი	ყველა
0301 19 000 00	-- დანარჩენი	ყველა
0302	თევზი ახალი ან გაცივებული, თევზის ფილესა და 0304 სასაქონლო პოზიციის თევზის სხვა ხორცის გამოკლებით	ყველა მოიცავს ღვიძლს და ქვირითს, ახალს ან გაცივებულს სასაქონლო კოდით 0302 91 000 00
0303	თევზი გაყინული, თევზის ფილეს და 0304 სასაქონლო პოზიციის თევზის ხორცის გამოკლებით	ყველა მოიცავს ღვიძლს და ქვირითს, გაყინულს, სასაქონლო კოდით 0303 91
0304	თევზის ფილე და თევზის ხორცი დანარჩენი (ფარშის ჩათვლით), ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0305	თევზი ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში: თევზი ცივად ან ცხლად შებოლილი; თევზის ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვაკი და გრანულები, საკვებად ვარგისი	ყველა მოიცავს სხვა თევზის პროდუქტებს, როგორებიცაა, ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვაკი და გრანულები,

		საკვებად დამზადებული. მოიცავს თევზის თავებს, კუდებს და სხვა მეთევზეობის პროდუქტებს
0306	კიბოსნაირნი, ბაკანში ან ბაკნის გარეშე, ცოცხალი, ახალი, გაცივებული, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში; კიბოსნაირნი შებოლილი, ნიჟართ ან ნიჟარის გარეშე, რომელებმაც შებოლოვამდე ან შებოლოვის პროცესში განიცადა ან არ განიცადა სითბური დამუშავება; კიბოსნაირნი ბაკანში, ორთქლზე ან მდულარე წყალში მოხარშული, გაცივებული ან გაუცივებელი, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში; ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები კიბოსნაირებისაგან, ადამიანის საკვებად გამოსაყენებელი	ყველა
0307	მოლუსკები, ნიჟართ ან ნიჟარის გარეშე, ცოცხალი, ახალი, გაცივებული, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში; მოლუსკები შებოლილი, ნიჟართ ან ნიჟარის გარეშე, რომელებმაც შებოლოვამდე ან შებოლოვის პროცესში განიცადა ან არ განიცადა სითბური დამუშავება; ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები მოლუსკებისგან, ადამიანის საკვებად გამოსაყენებელი	მოიცავს მოლუსკებს მოხარშულსა და შემდეგ შებოლილს. სხვა მოხარშული მოლუსკები შედის 1605 სასაქონლო კოდში.
0308	წყლის სხვა უხერხემლოები, გარდა კიბოსნაირებისა და მოლუსკებისა, ცოცხალი, ახალი, გაცივებული, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში; წყლის სხვა უხერხემლოები, გადა კიბოსნაირებისა და მოლუსკებისა, შებოლილები, რომელებმაც შებოლოვამდე ან შებოლოვის პროცესში განიცადა ან არ განიცადა სითბური დამუშავება; ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები წყლის სხვა უხერხემლოებისაგან, ადამიანის საკვებად გამოსაყენებელი	ყველა
04 ჯგუფიდან	რძის პროდუქცია; ფრინველის კვერცხი; ნატურალური თაფლი; ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი და ჩაურთველი	
0401	რძე და ნაღები, შეუსქელებელი და შაქრისა ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატების გარეშე	ყველა რძე: მოიცავს უმ (დაუმუშავებელ) რძეს, პასტერიზებულს, ან თერმულად დამუშავებულს, მათ შორის, გაყინული. მოიცავს რძის ფრაქციებს. რძე ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი არის დაფარული ამ სასაქონლო პოზიციით, ხოლო ცხოველის საკვები რძის შემცველობით დაფარულია სასაქონლო კოდით 2309. რძე თერაპიული/ პროფილაქტიკური მიზნებისათვის არის დაფარული სასაქონლო კოდით 3001

0402	რძე და ნაღები, შესქელებული ან შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით	ყველა, მათ შორის რძე ახალშობილებისთვის
0403	დო, აჭრილი რძე და ნაღები, იოგურტი, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრისა ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე, ხილის, კაკლისა ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე	ყველა მოიცავს ნაღებს (კრემს), არომატიზებულს ან ხილის შემცველს, გაყინულ და ფერმენტირებულ რძეს, ადამიანის მოხმარებისთვის (საკვებად). ნაყინი არის დაფარული სასაქონლო კოდით 2105 00. სასმელები რძის შემცველი, კაკაოს ან სხვა ნივთიერებების დამატებით, დაფარულია სასაქონლო კოდით 2202
0404	რძის შრავი, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრისა ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე; პროდუქტები რძის ნატურალური კომპონენტებისაგან, შაქრისა ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	ყველა მოიცავს რძის პროდუქტებს ჩვილი ბავშვებისათვის. მოიცავს სასაქონლო კოდს 0404 10 480 00 - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხსენი, თხევადი ფორმით, ცხიმგამოცლილი და კაზეინის გარეშე, ადამიანის საკვებად, ხოლო სასაქონლო კოდი 0404 90 210 00 - სწრაფად გამომშრალი ხსენი შემცირებული ცხიმით, ფხვნილი კაზეინის გარეშე, ადამიანის მოხმარებისთვის
0405	კარაქი და რძის სხვა ცხიმები და ზეთები; რძის პასტები	ყველა მოიცავს რძის პასტებს
0406	ყველი და ხაჭო	ყველა
0407	ფრინველის კვერცხი ნაჭუჭით, ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული	ყველა
	– ინკუბირებისათვის:	ყველა
0407 11 000 00	შინაური ქათმის, (Gallus domesticus):	ყველა
0407 19	დანარჩენი:	ყველა
	– კვერცხი ახალი, დანარჩენი:	ყველა
0407 21 000 00	შინაური ქათმის (Gallus domesticus):	ყველა
0407 29	დანარჩენი:	ყველა
0407 90	– დანარჩენი	სხვა კვერცხი ადამიანის საკვებად ვარგისი ან გამოუსადეგარი
0408	ფრინველის კვერცხი უნაჭუჭოდ და კვერცხის გულები, ახალი, გამხმარი, ორთქლზე ან მდუღარე წყალში მოხარშული, დაყალიბებული, გაყინული ან სხვა ხერხით დაკონსერვებული, შაქრისა ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე	ყველა მოიცავს კვერცხის პროდუქტებს, რომლებიც არის ან არ არის სითბურად დამუშავებული და არ გამოიყენება ადამიანის მოხმარებისათვის
0409 00 000 00	ნატურალური თაფლი	ყველა
0410 00 000 00	ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა	ყველა მოიცავს „ფუტკრის

	ადგილას დაუსახელებელი და ჩაურთველი	რძეს“ და პროპოლისს- დინდგელს (გამოიყენება ფარმაცევტული პროდუქტების წარმოებაში და საკვები დანამატები) და სხვა ცხოველებისგან მიღებულ პროდუქტებს ადამიანის საკვებად გამოსაყენებლს, გარდა ძვლებისა (რომლებიც დაფარულია 0506 კოდით). ასევე მოიცავს მწერებს ან მწერის კვერცხს, ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილს
05 ჯგუფიდან	ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	
0502 10 000 0	ღორის ან ტახის ჯაგარი და ამ ჯაგრის ნარჩენები	ყველა დამუშავებული და დაუმუშავებული. დაუმუშავებული ღორის ჯაგარი არის ღორის ჯაგარი, რომელმაც არ განიცადა ქარხნული რეცხვა, იქნა მიღებული დათრიმლის საშუალებით ან დამუშავებული ზოგიერთი სხვა მეთოდით, რომლებიც გარანტირებულად უზრუნველყოფენ პათოგენების არარსებობას
0504 00 000 00	ცხოველების (თევზების გარდა) ნაწლავები, ბუშტები და კუჭები, მთლიანი ან ნაჭრებად, ახალი, გაცივებული, გაცივებული, დამარილებული, მარილწყალში, ხმელი ან შებოლილი	ყველა მოიცავს კუჭებს, ბუშტებს და ნაწლავებს გაწმენდილს, დამარილებულს, გამხმარს ან თერმულად დამუშავებულს, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის, თხის, ან ფრინველის წარმოშობის
0505	ტყავები და ფრინველის სხვა ნაწილები ნაკრტენით ან ბუმბულით, ნაკრტენი და ნაკრტენის ნაწილები (მოჭრილი ან მოუჭრელი კიდეებით) და ბუმბული, გაწმენდილი, დეზინფიცირებული ან შესანახად დამუშავებული, მაგრამ შემდგომი დამუშავების გარეშე; ნაკრტენის და მისი ნაწილების ფხვნილი და ნარჩენები	ყველა მოიცავს ფრინველის სათამაშო ტროფებს, გარდა დამუშავებული დეკორატიული ბუმბულისა, რომელიც მიეკუთვნება მოგზაურებს (ტურისტებს) პირადი მოხმარებისთვის ან ტვირთი დამუშავებული ბუმბულით, გაგზავნილი კერძო პირების მიერ, არაკომერციული მიზნებისათვის
0506	ძვლები და რქის ღერო, დაუმუშავებელი, ცხიმგამოცლილი,	მოიცავს ძვლებს ჟელატინის

	პირველადი დამუშავებით (ფორმის მიუცემლად), მჟავათი დამუშავებული ან დეჟელატიანიზებული; ამ პროდუქტების ფხვნილი და ნარჩენები	ან კოლაგენის საწარმოებლად, რომელიც მიღებულია ადამიანის საკვებად დაკლული ცხოველის კარკასისგან და ძვლის ფქვილს ადამიანის საკვებად
0507	სპილოს ძვალი, კუს ჯავშანი, ვეშაპის ან ზღვის სხვა ძუძუმწოვრების უღვაში, რქები, ირმის რქები, ჩლიქები, ფრჩხილები, ბრჭყალები და ნისკარტები, დაუმუშავებელი ან პირველადი დამუშავებით (ფორმის მიუცემლად); ამ პროდუქტების ფხვნილი და ნარჩენები	მოიცავს დამუშავებულ სათამაშო ტროფეებს მიღებულს ფრინველიდან და ჩლიქოსნებიდან: ძვლებს, რქებს, ჩლიქებს, კბილებს ან ტყავებს
0508 00 000 00	მარჯანი და ანალოგიური მასალები, დაუმუშავებელი ან პირველადი დამუშავებით; მოლუსკების, კიბოსნაირებისა ან ნემსკანიანების ნიჟარები და ჯავშნები, მელანთევზების ჩონჩხის ფირფიტები, დაუმუშავებელი ან პირველადი დამუშავებით, ფორმის მიუცემლად, ამ პროდუქტების ფხვნილი და ნარჩენები	ცარიელი გარსები საკვებად გამოსაყენებელი და როგორც ნედლეული გლუკოზამინებისათვის
0510 00 000 00	ამბრა რუხი, თახვის ყაირი, ცივეტა და მუშკი; ცოფის ბუზი; ნადველი, მათ შორის, გამხმარი; ცხოველური წარმოშობის ჯირკვლები და სხვა პროდუქტები, რომლებიც გამოიყენებიან ფარმაცევტული პროდუქტების წარმოებაში, ახალი, გაცივებული, გაყინული ან სხვა ხერხით დამუშავებული ხანმოკლე შენახვისათვის	თანმდევი პროდუქტები ცხოველთა საკვების საწარმოებლად, შინაური ცხოველის საკვების ჩათვლით, აგრეთვე, ფარმაცევტული და სხვა ტექნიკური პროდუქტების საწარმოებლად
0511	ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი; დავარდნილი ცხოველები 01 ან 03 ჯგუფიდან, საკვებად უვარგისი:	ყველა მოიცავს სუბპოზიციებს 051110-დან 051199-ის ჩათვლით. დაფარულია გენეტიკური მასალა (სპერმა და ცხოველური წარმოშობის ემბრიონები, როგორებიცაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, თხის, ცხენების და ღორის სახეობა) და ცხოველური პროდუქტები
0511 10 000 00	- ხარის სპერმა	ყველა
0511 91	-- თევზის, კიბოსნაირების, მოლუსკებისა და წყლის სხვა უხერხემლოების პროდუქტები; დავარდნილი ცხოველები 03 ჯგუფიდან	ყველა, თევზის ნარჩენების გარდა (სეს ესნ კოდი 0511 91 100 00), თევზის განაყოფიერებული ქვირითი, თევზის კრიოდაკონსერვებული სპერმა
0511 99 100 00	ძარღვები და მყესები; დამუშავებული ტყავის ჩამონაჭრები და ანალოგიური ნარჩენები	ყველა
0511 99 310 00	ცხოველური წარმოშობის ნატურალური ღრუბლები: დაუმუშავებელი	ყველა, მხოლოდ თუ ადამიანის მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. თუ ადამიანის მოხმარებისთვის არ არის

		განკუთვნილი, მაშინ მხოლოდ ის, რომელიც შინაური ცხოველების საკვებადაა განკუთვნილი
0511 99 390 00	დანარჩენი	ყველა, მხოლოდ თუ ადამიანის მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. თუ ადამიანის მოხმარებისთვის არ არის განკუთვნილი, მაშინ მხოლოდ ის, რომელიც შინაური ცხოველების საკვებადაა განკუთვნილი
0511 99 85	დანარჩენი	ყველა, გარდა 0511 10 სასაქონლო კოდით დაფარული სპერმისა
10 ჯგუფიდან	მარცვლოვნები	
1001	ხორბალი და მესლინი	ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი
1002	ჭვავი	ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი
1003 10	ქერი	ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი
1004	შვრია	ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი
1005	სიმინდი	ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი
1006	ბრინჯი	ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი
1007	სორგო მარცვლოვანი	ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი
1008	წიწიბურა, ფეტვი და თესლი ჩიტისთვის; დანარჩენი მარცვლეული	ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი
12 ჯგუფიდან	ზეთოვანი მცენარეების თესვები და ნაყოფები; დანარჩენი თესვები, ნაყოფები და მარცვალი; სამკურნალო მცენარეები და მცენარეები ტექნიკური მიზნებისათვის; ჩალა და ფურაჟი	
1213 00 000 00	ჩალა და ბზე მარცვლეულებისა, დაუმუშავებელი, დაქუცმაცებული ან დაუქუცმაცებელი, დაფქვილი ან დაუფქველი, დაპრესილი ან გრანულების სახით	მოიცავს მხოლოდ ჩალას
1214 90	დანარჩენი	მოიცავს მხოლოდ თივას
15 ჯგუფიდან	ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები და მათი გახლეჩის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცვილები	
1501	ღორის ქონი (ლიარდის ჩათვლით) და შინაური ფრინველის ქონი, 0209 ან 1503 სასაქონლო პოზიციის ქონის გარდა	ყველა
1502	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრებისა ან თხების ცხიმი, 1503 სასაქონლო პოზიციის ცხიმის გარდა	ყველა
1503 00	ლიარდ-სტეარინი, ლიარდ-ოილი, ოლეოსტეარინი, ოლეო-ოილი და ცხოველური ცხიმი, არაემულგირებული ან შეურეველი ან დაუმზადებელი რაიმე სხვა ხერხით	ყველა

1504	ცხიმები, ქონები და მათი ფრაქციები, თევზის ან ზღვის ძუძუმწოვრების, არარაფინირებული ან რაფინირებული, მაგრამ ქიმიური შემადგენლობის შეუცვლელად	ყველა თევზის ზეთები და ზეთები თევზჭერის პროდუქტების და ზღვის ძუძუმწოვრების.შერეული, შეზავებული, საკვები პროდუქტები დაფარულია 21 ჯგ-ით
1505 00	ცხიმოვანი და მისგან მიღებული ცხიმოვანი ნივთიერებები (ლანოლინის ჩათვლით)	ყველა
1506 00 000 00	დანარჩენი ცხოველური ცხიმები და ქონები და მათი ფრაქციები, არარაფინირებული ან რაფინირებული, მაგრამ მათი ქიმიური შემადგენლობის შეუცვლელად	ყველა დაუქუცმაცებელი ცხიმები ან ზეთები და ასევე, მათი თავდაპირველი ფრაქციები
1516 10	ცხიმები და ზეთები ცხოველური და მათი ფრაქციები	ყველა
1517	მარგარინი; საკვებად გამოსაყენებელი ნარევი ან მზა პროდუქტები ცხოველური ან მცენარეული ცხიმებისა ან ზეთებისაგან ან მოცემული ჯგუფის სხვადასხვა ცხიმებისა და ზეთების ფრაქციებისაგან, 1516 სასაქონლო პოზიციის საჭმელი ცხიმებისა ან ზეთების ან მათი ფრაქციების გარდა	ცხიმები და ზეთები მხოლოდ ცხოველური წარმოშობის
	-- ცვლილი ფუტკრისა და სხვა მწერებისა, რაფინირებული ან არარაფინირებული, შეღებილი ან შეუღებავი:	
1521 90 910 00	ნედლი	ყველა მოიცავს ცვილებს ბუნებრივი ფიჭიდან, ფუტკრის ცვილის ნედლეულს მეფუტკრეობის ან ტექნიკური მიზნებისათვის
1521 90 990 00	დანარჩენი	ყველა დაფარულია ცვლილი ფუტკრისა და სხვა მწერებისა, რაფინირებული ან არარაფინირებული, შეღებილი ან შეუღებავი მეფუტკრეობის ან ტექნიკური მიზნებისათვის
16 ჯგუფიდან	მზა კვების პროდუქტები ხორცის, თევზისა ან კიბოსნაირების, მოლუსკების ან წყლის სხვა უხერხემლოებისაგან	
1601 00	მეხვი და ანალოგიური პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტების ან სისხლისაგან; მზა კვების პროდუქტები, დამზადებული მათ საფუძველზე	ყველა მოიცავს სხვადასხვა ფორმის ხორცის დაკონსერვებულ პროდუქტებს
1602	მზა ან დაკონსერვებული პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტების ან სისხლისაგან დანარჩენი	ყველა მოიცავს სხვადასხვა ფორმის ხორცის დაკონსერვებულ პროდუქტებს
1603 00	ექსტრაქტები და წვენები ხორცის, თევზის ან კიბოსნაირებისაგან, მოლუსკების ან წყლის სხვა უხერხემლოებისაგან	ყველა მოიცავს თევზის ცილას გელის ფორმით, გაცივებულს ან გაყინულს
1604	მზა ან დაკონსერვებული თევზი; ზუთხის ხიზილალა და მისი შემცვლელები, დამზადებული თევზების ქვირითის მარცვლებისაგან	ყველა მოხარშული კულინარული პროდუქტი, რომელიც შეიცავს ნარევეს

		თევზის ან ზღვის პროდუქტების
1605	მზა ან დაკონსერვებული კიბოსებრნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები	ყველა, მათ შორის სრულად მომზადებული ან წინასწარ მომზადებული ლოკოკინები. დაფარულია დაკონსერვებული კიბოსნაირნი, ან სხვა უხერხემლოები
23 ჯგუფიდან	კვების მრეწველობის ნაშთები და ნარჩენები; მზა საკვები ცხოველებისათვის	
2301	ფქვილი წმინდად და უხეშად დაფქული და გრანულები ხორცის ან ხორცის სუბპროდუქტებისაგან, თევზის ან კიბოსნაირებისაგან, მოლუსკების ან წყლის სხვა უხერხემლოებისაგან, საკვებად გამოუყენებადი; ხოხოზიკი	ყველა მოიცავს დამუშავებულ ცხოველურ ცილებს საკვებად გამოუყენებადი, ხორცი საკვებად გამოუყენებადი, ხოხოზიკი საკვებად გამოუყენებადი
2302	ანაცერი, ქატო და სხვა ნარჩენები, მიღებული პურეული მარცვლოვანების ან პარკოსანი კულტურების მარცვლის დაფქვის, გაცრის ან სხვა მეთოდით გადამუშავების შედეგად, არაგრანულირებული ან გრანულირებული	ცხოველების საკვებად გამოსაყენებელი
2309	ცხოველების საკვებად გამოსაყენებელი პროდუქტები	ყველა, გარდა 23099020 და 23099091 სუბპოზიციებისა. მოიცავს ძაღლის ან კატის საკვებს, დაფასობულს საცალო ვაჭრობისათვის (230910), ცხოველურ პროდუქტებს და თევზის ხსნად პროდუქტებს ან პროდუქტებს ზღვის ძუძუმწოვარი ცხოველებისაგან (კოდი 23099010). პროდუქცია ცხოველების საკვები მიზნებისათვის, მათ შორის, ნარევი (როგორებიცაა ჩლიქები და რქები). ეს სასაქონლო პოზიცია მოიცავს თხევად რძეს, რძის პროდუქტებს, შრატს ან/და ნახშირწყლებს ცხოველთა საკვებად და არა ადამიანის საკვებად. მოიცავს საკვებს შინაური ცხოველებისთვის. მოიცავს საკვებად გამოუყენებადი კვერცხის პროდუქტებს და სხვა დამუშავებული ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს
30 ჯგუფიდან	ფარმაცევტული პროდუქცია	
3002-დან	სისხლი ადამიანისა; სისხლი ცხოველებისა, მომზადებული	მხოლოდ ვეტერინარიაში

	თერაპიული, პროფილაქტიკური ან დიაგნოსტიკური მიზნებით გამოსაყენებლად; იმუნური შრატები და სისხლის დანარჩენი ფრაქციები და იმუნოლოგიური პროდუქტები, როგორც მოდიფიცირებული, ასევე, მიღებული ბიოტექნოლოგიური გზით; ვაქცინები, ტოქსინები, მიკროორგანიზმების კულტურები (საფუარების გარდა) და ანალოგიური პროდუქტები:	გამოსაყენებელი
3002 12 000 00	-- იმუნური შრატები და სისხლის დანარჩენი ფრაქციები	იმუნური შრატები, სისხლის სხვა ფრაქციები და იმუნოლოგიური პროდუქტები, როგორც მოდიფიცირებული ასევე, მიღებული ბიოტექნოლოგიური გზით. იმუნური შრატები მხოლოდ ცხოველური წარმოშობის.გამორიცხავს მზა სამკურნალო პროდუქტებს განკუთვნილს საბოლოო მომხმარებლისათვის
3002 13 000 00	-- იმუნური პროდუქტები, შეურეველი, დაუფასოებელი დოზირებული წამლის ფორმებად ან საცალო ვაჭრობისთვის განკუთვნილ ფორმებად ან საფუთავებად	გამორიცხავს მზა სამკურნალო პროდუქტებს განკუთვნილს საბოლოო მომხმარებლისათვის
3002 14 000 00	-- იმუნური პროდუქტები, შერეული, დაუფასოებელი დოზირებული წამლის ფორმებად ან საცალო ვაჭრობისთვის განკუთვნილ ფორმებად ან საფუთავებად	გამორიცხავს მზა სამკურნალო პროდუქტებს განკუთვნილს საბოლოო მომხმარებლისათვის
3002 15 000 00	-- იმუნური პროდუქტები, დაფასოებული დოზირებული წამლის ფორმებად ან საცალო ვაჭრობისთვის განკუთვნილ ფორმებად ან საფუთავებად	გამორიცხავს მზა სამკურნალო პროდუქტებს განკუთვნილს საბოლოო მომხმარებლისათვის
3002 19 000 00	- - დანარჩენი	ჰემოგლობინი, სისხლის გლობულინები და შრატის გლობულინები. როგორც მოდიფიცირებული, ასევე, მიღებული ბიოტექნოლოგიური გზით.მხოლოდ ცხოველისგან მიღებული მასალა. სისხლის ფრაქციები და იმუნოლოგიური პროდუქტები, როგორც მოდიფიცირებული, ასევე, მიღებული ბიოტექნოლოგიური გზით- ადამიანური წარმოშობის გარდა.მხოლოდ ცხოველისგან მიღებული მასალა
3002 90 300 00	ცხოველების სისხლი, დამზადებული პროფილაქტიკური,	ყველა

	თერაპიული ან დიაგნოსტიკური მიზნებისათვის	
3002 90 500 00	მიკროორგანიზმების კულტურები	პათოგენები და პათოგენების კულტურები
3002 90 900 00	დანარჩენი	პათოგენები და პათოგენების კულტურები
31 ჯგუფიდან	სასუქები	
3101 00 000 00	სასუქები ცხოველური ან მცენარეული წარმოშობისა, შერეული ან შეურეველი, ქიმიურად დამუშავებული ან დაუმუშავებელი; სასუქები, მიღებული მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტების შერევით ან ქიმიური დამუშავებით	მხოლოდ ცხოველური წარმოშობის პროდუქტები არაფალსიფიცირებული ფორმით. მოიცავს სკინტლს, ნაკელს, მაგრამ გამოირიცხება მათთან ქიმიური ნარევი (მაგალითად, სასაქონლო 3105). ასევე, ამ კოდით დაფარულია ნაკელი, შერეული დამუშავებულ ცხოველურ ცილასთან, თუ ის გამოიყენება სასუქად
39 ჯგუფიდან	პლასტმასები და მათი ნაწარმი	
3917 10	ხელოვნური გარსაცმები (ძებვეულის ნაწარმისათვის) გამყარებული პროტეინებისაგან ან ცელულოზის მასალისაგან	გამყარებული პროტეინებისაგან (სეს ესნ კოდი 3917 10 100 00) მხოლოდ ცხოველური პროდუქტებიდან გამომდინარე
41 ჯგუფიდან	დაუმუშავებელი ტყავები (ნატურალური ბეწვის გარდა) და გამოქნილი ტყავი	
4101	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (კამეჩების ჩათვლით) ან ცხენების ოჯახის ცხოველების დაუმუშავებელი ტყავები (ახალგატყავებული ან დამარილებული, გამომშრალი, ნაცრიანი, პიკელელებული ან სხვა წესით დაკონსერვებული, მაგრამ გაუთრიმლავი, პერგამენტის სახით გამოუქნელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე), ბეწვის საფარით ან მის გარეშე, გაყოფილი ან არა	ვეტერინარული კონტროლი ვრცელდება მხოლოდ ახალ, გაცივებულ ან დამუშავებულ ტყავზე, მათ შორის, გამხმარ (გამომშრალ), მშრალდამარილებულ, სველდამარილებულ, ან დაკონსერვებულზე, გარდა სათრიმლავი ან ეკვივალენტური პროცესისა
4102	ცხვისა ან ბატკნის დაუმუშავებელი ტყავები (ახალგატყავებული ან დამარილებული, გამომშრალი, ნაცრიანი, პიკელელებული ან სხვა წესით დაკონსერვებული, მაგრამ გაუთრიმლავი, პერგამენტის სახით გამოუქნელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე), მატყლის საფარით ან მის გარეშე, გაყოფილი ან არა	გარდა ტყავები ბეწვისა ან მატყლის საფარით, დაუმუშავებელი, გათრიმლული, ან გამოქნილი (ჯგუფი 43); მაგრამ დაუმუშავებელი ტყავები ბეწვის ან მატყლის საფარით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (კამეჩების ჩათვლით), ცხენების, ცხვრების ან ბატკნების (გარდა ასტრახანის, დუმინის, კრაველის, სპარსული და ანალოგიური

		<p>ჯიშებისა, აგრეთვე, ინდური, ჩინური, მონღოლური ან ტიბეტური ჯიშებისა), თხებისა და ციკნების (გარდა იემენის, მონღოლურის და ტიბეტურის ჯიშებისა), ღორების (ამერიკული ველური ღორების ჩათვლით), არჩვების, ქურციკების, ჩრდილოეთის ირმების, ლოსების, ირემლაღების, შვლებისა ან ძაღლებისა უნდა ჩაირთოს 41-ე</p> <p>ჯგუფში. ვეტერინარული კონტროლი ვრცელდება მხოლოდ ახალ, გაცივებულ ან დამუშავებულ ტყავზე, მათ შორის, გამხმარ (გამომშრალ), მშრალდამარილებულ, სველდამარილებულ, ან დაკონსერვებულზე, გარდა სათრიმლაკი ან ეკვივალენტური პროცესისა</p>
4103	<p>სხვა დაუმუშავებელი ტყავები (ახალგატყავებული ან დამარილებული, გამომშრალი, ნაცრიანი, პიკელბული ან სხვა წესით დაკონსერვებული, მაგრამ გაუთრიმლაკი, პერგამენტის სახით გამოუქნელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე), ბეწვის საფარით ან მის გარეშე, გაყოფილი ან არა</p>	<p>გარდა ტყავები ბეწვისა ან მატყლის საფარით, დაუმუშავებელი, გათრიმლული, ან გამოქნილი (ჯგუფი 43); მაგრამ დაუმუშავებელი ტყავები ბეწვისა ან მატყლის საფარით მხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (კამეჩების ჩათვლით), ცხენების, ცხვრების ან ბატკნების (გარდა ასტრახანის, დუმიანის, კრაველის, სპარსული და ანალოგიური ჯიშებისა, აგრეთვე, ინდური, ჩინური, მონღოლური ან ტიბეტური ჯიშებისა), თხებისა და ციკნების (გარდა იემენის, მონღოლურის და ტიბეტურის ჯიშებისა), ღორების (ამერიკული, ველური ღორების ჩათვლით), არჩვების, ქურციკების, ჩრდილოეთის ირმების, ლოსების, ირემლაღების, შვლებისა ან ძაღლებისა უნდა ჩაირთოს 41-ე</p> <p>ჯგუფში. ვეტერინარული კონტროლი ვრცელდება</p>

		მხოლოდ ახალ, გაცივებულ ან დამუშავებულ ტყავზე, მათ შორის, გამხმარ (გამომშრალ), მშრალდამარილებულ, სველდამარილებულ, ან დაკონსერვებულზე, გარდა სათრიმლავი ან ეკვივალენტური პროცესისა
43 ჯგუფიდან	ნატურალური და ხელოვნური ბეწვი; მათი ნაწარმი	
4301	ბეწვეულის ნედლეული (თავების, კუდების, თათებისა და ბეწვეულის ნაწარმის დასამზადებლად გამოსადეგი სხვა ნაწილებისა და ჩამონაჭრების ჩათვლით), 4101, 4102 ან 4103 სასაქონლო პოზიციების დაუმუშავებელი ტყავების გარდა	ყველა, გარდა დამუშავებული ტყავბეწვეულისა
4301 10 000 00	- წაულასი, მთლიანი, თავით, კუდით ან თათებით ან/და მათ გარეშე	ყველა
4301 30 000 00	- შემდეგი ჯიშების ბატკნებისა: ასტრახანის, დუმიანის, კრაველის, სპარსული და ანალოგიური ჯიშებისა, აგრეთვე, ინდური, ჩინური, მონღოლური ან ტიბეტური ჯიშებისა, მთლიანი, თავით, კუდით, თათებით ან მათ გარეშე	ყველა
4301 60 000 00	- მელიის, მთლიანი, თავით, კუდით, თათებით ან მათ გარეშე	ყველა
4301 80 000 00	- დანარჩენი ტყავები, მთლიანი, თავით, კუდით, თათებით ან მათ გარეშე	გარდა ჩლიქოსნების
4301 90 000 00	- თავები, კუდები, თათები და ტყავების სხვა ნაწილები ან ჩამონაჭრები, ბეწვეულის ნაწარმის დასამზადებლად ვარგისი	ყველა
51 ჯგუფიდან	მატყლი, ცხოველების წმინდა და უხეში ბეწვი; ნართი და ქსოვილი ცხენის ძუისაგან	
5101	მატყლი კარდ- ან სავარცხნ-გაუჩეჩავი	დაუმუშავებელი მატყლი
5102	ცხოველების ბეწვი, წმინდა ან უხეში, კარდ – ან სავარცხნ-გაუჩეჩავი	დაუმუშავებელი თმა, მათ შორის, უხეში თმა მსხვილფეხა რქოსანი ცხოველების ან ცხენების
5103	ნარჩენები მატყლისა ან ცხოველების წმინდა ან უხეში ბეწვისა, დართვის ნარჩენების ჩათვლით, მაგრამ გაწეწილი ნედლეულის გამოკლებით	დაუმუშავებელი მატყლი ან ცხოველების წმინდა ან უხეში ბეწვი
95 ჯგუფიდან	სათამაშოები, თამაშები და სპორტული ინვენტარი; მათი ნაწილები და საკუთნოები	
9508 10 000 00	მოძრავი ცირკები და მოძრავი სამხეცეები	მხოლოდ ცოცხალი ცხოველები
9508 90 000 00	დანარჩენი	მხოლოდ ცოცხალი ცხოველები

საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტი

დანართი №2

ნაწილი 1: მონაცემები ტვირთის შესახებ	1. გამგზავნი/ექსპორტიორი დასახელება მისამართი ქვეყანა		2. რეგისტრაციის ნომერი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი: დასახელება კოდი			
	3. საქონლის მიმღები დასახელება მისამართი ქვეყანა		4. ტვირთზე პასუხისმგებელი პირი დასახელება მისამართი ქვეყანა			
	5. იმპორტიორი დასახელება მისამართი ქვეყანა		6. წარმოშობის ქვეყანა		7. გამომგზავნი ქვეყანა	
	9. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში შემოსვლის თარიღი		8. დანიშნულების ადგილი ქვეყანა მისამართი			
	11. ტრანსპორტის სახეობა: საჰაერო <input type="checkbox"/> საზღვაო <input type="checkbox"/> საკონტეინერო <input type="checkbox"/> საავტომობილო <input type="checkbox"/> იდენტიფიკაცია: სატრანსპორტო დოკუმენტის N:		10. ვეტერინარული დოკუმენტები: დოკუმენტის ტიპი ნომერ(ებ)ი გაცემის თარიღი გამგზავნი ორგანო (საქიროების შემთხვევაში)			
	12. საქონლის დასახელება, შეფუთვების სახეობა, საქონლის საერთო წონა/რაოდენობა					
	საქონლის დასახელება	სეს ესნ კოდი	წონა/რაოდენობა	საზომი ერთეული	სერტიფიკატის N	წებართვის N
	ტემპერატურა: გაცივებული: გაყინული: გარემო:					
13. კონტეინერის ნომერი და ლუქის ნომერი						
14. რეექსპორტი გასვლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი (კოდი) დანიშნულების ქვეყანა			15. ტრანზიტი დანიშნულების ქვეყანა გასვლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი (კოდი)			
16. შეესაბამება სატარებელს მოთხოვნებს შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება <input type="checkbox"/>			17. უკან მიზრულებული საქონელი <input type="checkbox"/>			
18. შიდა ბაზრისთვის: აღმართი მოხმარებისთვის <input type="checkbox"/> ცხოველთა საკვებად <input type="checkbox"/> ფარმაცევტული მიზნებისთვის <input type="checkbox"/> ტექნიკური მიზნებისთვის <input type="checkbox"/> სხვა <input type="checkbox"/>			19. მოთხოვნებთან შეესაბამო ტვირთებისთვის საწყობი <input type="checkbox"/> სარეგისტრაციო N თავისუფალი ზონა <input type="checkbox"/> სარეგისტრაციო N მიმწოდებლის გემი <input type="checkbox"/> სარეგისტრაციო N გემი <input type="checkbox"/> დასახელება პორტი			
20. შე, ზემოაღნიშნულ ტვირთზე პასუხისმგებელი პირი, ვადასტურებ, რომ ამ დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემები წამყვლია და სრულია. თანახმა ვარ, დაეძლე იქნეს სატარებელს ვეტერინარული მოთხოვნები, მათ შორის, გადავიხადო გადასახდელები მოთხოვნებთან შეესაბამო ტვირთის უკან დაბრუნებისათვის, ასევე, საქიროების შემთხვევაში, ტვირთის განადგურებისათვის			წინასწარი შეტყობინების შეესების ადგილი, რიცხვი, თვე და წელი პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი პირადი ნომერი			

ნაწილი II : გადაწყვეტილება ტვირთზე	21. წინა საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტი: არა <input type="checkbox"/> დიას <input type="checkbox"/> რეგისტრაციის ნომერი: <input type="text"/>	22. რეგისტრაციის ნომერი: <input type="text"/>
	23. დოკუმენტური შემოწმება: დამაკმაყოფილებელი <input type="checkbox"/> არადამაკმაყოფილებელი <input type="checkbox"/>	24. იდენტურობის შემოწმება: ლუქის შემოწმება <input type="checkbox"/> ან სრული იდენტურობის შემოწმება <input type="checkbox"/> დამაკმაყოფილებელი <input type="checkbox"/> არადამაკმაყოფილებელი <input type="checkbox"/>
	25. ფიზიკური შემოწმება: დამაკმაყოფილებელი <input type="checkbox"/> არადამაკმაყოფილებელი <input type="checkbox"/> არ ჩატარდა <input type="checkbox"/> 1. შემოწმების შედეგით რევიზი <input type="checkbox"/> 2. სხვა <input type="checkbox"/>	26. ლაბორატორიული კვლევა: არა <input type="checkbox"/> დიას <input type="checkbox"/> კვლევა: შერევილი <input type="checkbox"/> ეჭვის საფუძველზე <input type="checkbox"/> შედეგები: უარყოფითი <input type="checkbox"/> დადებითი <input type="checkbox"/> გაშვებულია შედეგამდე <input type="checkbox"/> ექვემდებარება საკარანტინო სადგომზე გადაადგილებას <input type="checkbox"/>
	27. მისაღება რეგისტრაციისათვის <input type="checkbox"/> სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი (კოდი) დანიშნულების ქუჩა <input type="text"/>	28. მისაღება ტრანზიტის პროცედურებისთვის <input type="checkbox"/> დანიშნულების ქვეყანა გასვლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი (კოდი) <input type="text"/>
	29. საქონელი შეესაბამება იმპორტის მოთხოვნებს, შემოტანა ნებადართულია თავისუფალი მიზიქციისათვის <input type="checkbox"/> ადამიანთა მოხმარებისთვის <input type="checkbox"/> ცხოველითა საკვები <input type="checkbox"/> ფარმაცევტული მიზნებისთვის <input type="checkbox"/> ტექნიკური მიზნებისთვის <input type="checkbox"/> სხვა <input type="checkbox"/>	30. მისაღება უკან დაბრუნებისთვის <input type="checkbox"/>
	32. საქონელი არ შეესაბამება იმპორტის მოთხოვნებს, შემოტანაზე უარი ითვება: 1. უკან გაბრუნება <input type="checkbox"/> 2. განადგურება <input type="checkbox"/> 3. გადამუშავება <input type="checkbox"/>	31. მისაღება კონკრეტული საწყობის პროცედურებისთვის საბაგო საწყობი <input type="checkbox"/> თავისუფალი ზონა ან საწყობი <input type="checkbox"/> მოწოდების გეზი <input type="checkbox"/> პირდაპირ გეზი <input type="checkbox"/>
	34. შერევა: <input type="checkbox"/>	33. უარის მიზეზი 1. სერტიფიკატის არარსებობა <input type="checkbox"/> 2. არაკეთილსაიმედო ქვეყანა <input type="checkbox"/> 3. არაკეთილსაიმედო საწარმო <input type="checkbox"/> 4. აკრძალული პროდუქტი <input type="checkbox"/> 5. დოკუმენტების შეუსაბამობა <input type="checkbox"/> 6. მარკირების შეუსაბამობა <input type="checkbox"/> 7. არადამაკმაყოფილებელი ორგანოლეპტიკა <input type="checkbox"/> 8. ქიმიური დაბინძურება <input type="checkbox"/> 9. მიკრობიოლოგიური დაბინძურება <input type="checkbox"/> 10. სხვა <input type="checkbox"/>
	35. კონტროლირებადი საქონლის დანიშნულების ადგილი (31; 32; 34) მისამართი: <input type="text"/>	36. ტვირთი გაშვებულია ახალი ლუქის ნომერი: <input type="text"/>
	37. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის სრული ინდენტიფიკაცია/ კომპეტენტური ორგანო და ოფიციალური შტამში	38. ვეტერინარი მე. ქვემოთ ხელისმომწერი უფლებამოსილი პირი, ვეტერინარი, ვადასტურებს, რომ ამ ტვირთის ვეტერინარული კონტროლი ჩატარდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხელმოწერა: სახელი, გვარი (გარკვევით, ზეცდურად) თარიღი: <input type="text"/>
	39. ტრანზიტის დროს გასასვლელი სიმა: საქართველოდან გასასვლისას ტრანზიტულ საქონელზე ჩასატარებელი პროცედურები განხორციელდა თარიღი: შტამში: <input type="text"/>	40. საბაგო დოკუმენტი: 41. მომდევნო საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტი ნომერი(ებ): <input type="text"/>

სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი №

ვეტერინარული კონტროლი ჩატარებულია
ა) დოკუმენტური შემოწმება ჩატარებულია
ბ) იდენტურობის შემოწმება ჩატარებულია
გ) ფიზიკური შემოწმება ჩატარებულია
უფლებამოსილი პირი: -----
(ხელმოწერა)
თარიღი: „----“ ----- 20-----

სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი №

ექვემდებარება შეჩერებას

უფლებამოსილი პირი: -----
(ხელმოწერა)
თარიღი: „----“ ----- 20-----

სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი №

X

საქონლის შემოტანაზე უარი ითქვა - დაბრუნებულია
Rejected – Re-dispatched

უფლებამოსილი პირი: -----
(ხელმოწერა)
თარიღი: „----“ ----- 20-----

საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით შემოტანილი საქონლის
განადგურების
აქტი №

„-----“ ----- წ.

საქონლის დასახელება _____
რაოდენობა (კგ) _____
განადგურების ადგილი _____
განადგურების მეთოდი _____

კომისიის წევრები:

_____	_____
(სახელი, გვარი, თანამდებობა)	(ხელმოწერა)
_____	_____
(სახელი, გვარი, თანამდებობა)	(ხელმოწერა)
_____	_____
(სახელი, გვარი, თანამდებობა)	(ხელმოწერა)
_____	_____
(სახელი, გვარი, თანამდებობა)	(ხელმოწერა)
_____	_____
(სახელი, გვარი, თანამდებობა)	(ხელმოწერა)
_____	_____
საქონლის მფლობელი _____ (სახელი, გვარი)	_____
	(ხელმოწერა)

შენიშვნა:

საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით შემოსატანი საქონლის (რომლის ღირებულება არ აღემატება 500 ლარს) ნუსხა, რომლებზეც არ ვრცელდება ვეტერინარული კონტროლი			
საქონლის დასახელება	ევროკავშირის ქვეყნები, აშშ, შვეიცარია, ლიხტენშტეინი ნორვეგია	თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, რუსეთის ფედერაცია	სხვა ქვეყნები
ხორცის პროდუქტები და რძის პროდუქტები	10 კგ	5 კგ	0
ჩვილ ბავშვთა რძის ფხვნილზე, ჩვილის საკვებსა და სამედიცინო მიზნისთვის გათვალისწინებულ სპეციალურ საკვებზე	გონივრული რაოდენობის ფარგლებში	გონივრული რაოდენობის ფარგლებში	გონივრული რაოდენობის ფარგლებში
თევზი და თევზის პროდუქტები (თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები, წყლის სხვა უხერხემლოები და მათი პროდუქტები, გარდა ხიზილალისა)	10 კგ	5 კგ (თევზჭერის შედეგად მოპოვებული 1 თევზის შემთხვევაში, განუსაზღვრელი წონის)	5 კგ
წითელი და შავი ხიზილალა	0,2 კგ	0,2 კგ	0
ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტები	10 კგ	5 კგ	2 კგ
ცხოველური წარმოშობის ცხოველთა საკვები	5 კგ	5 კგ	0.
შენიშვნა: ვეტერინარული კონტროლი არ ვრცელდება საქონელზე, რომელიც შემოიტანება (მათ შორის, საფოსტო გზავნილით) ნიმუშის სახით ან/და საგამოფენო მიზნებისათვის, მცირე რაოდენობით და არ არის განკუთვნილი ადამიანის მოხმარებისათვის.			

დანართი №8

საქართველოში ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის იმპორტის ვეტერინარული მოთხოვნები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები ყველა სახის შინაური და გარეული ცოცხალი ცხოველების, საინკუბაციო კვერცხისადმი

1. საქართველოში იმპორტისათვის განკუთვნილი ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი – ყველა სახის ცოცხალი ცხოველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნდა იყოს იდენტიფიცირებული ინდივიდუალური ან ჯგუფური მეთოდით (დასაშვებია არაიდენტიფიცირებული ცხოველის შემოყვანა კოლექციისათვის, ზოოლოგიურ პარკებში და ცირკებში შესანახად);

ბ) ცხოველს არ უნდა ჰქონდეს მიღებული საკვები, რომელიც შეიცავს მცოხნავი ცხოველის კომპონენტებს, აგრეთვე, საკვები, რომელიც შეიცავს გენური ინჟინერიის მეთოდებით გამომუშავებულ ნედლეულს ან სხვა გენეტიკურად მოდიფიცირებულ წყაროებს;

გ) ცხოველს არ უნდა ჰქონდეს განცდილი ნატურალური ან სინთეტიკური ესტროგენების, ჰორმონალური ნივთიერებებისა და თირეოსტატიკური პრეპარატების ზემოქმედება;

დ) საიმპორტო ცხოველები (გარდა ერთდღიანი ფრინველის, ინდაურის, იხვის, ბატის ჭუკის და აღნიშნული სახეობის ფრინველის საინკუბაციო კვერცხის) უნდა განთავსდეს კარანტინში არანაკლებ 21 დღისა გამომგზავნ (ექსპორტიორ) ქვეყანაში კომპეტენტური ვეტერინარული ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ. თუ აღნიშნული მოთხოვნებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კონკრეტული სახეობის ცხოველებზე;

ე) საიმპორტო ცხოველები უნდა იყვნენ დამუშავებული ექტო და ენდო პარაზიტების საწინააღმდეგოდ, რაზედაც შესაბამისი ჩანაწერი უნდა იყოს გაკეთებული ვეტერინარულ ან ჯანმრთელობის სერტიფიკატში;

ვ) კულტურული და სპორტული ღონისძიებებისათვის, ასევე, საგამოფენო მიზნებისათვის განკუთვნილი ცხოველების იმპორტი შესაძლებელია განხორციელდეს ცხოველების კარანტინის გარეშე, თუ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ ვეტერინარულ ან ჯანმრთელობის სერტიფიკატში აღნიშნული იქნება, რომ ცხოველი არ იმყოფებოდა ინფექციური სნეულებების გამოვლენის ადგილებში, კონტაქტი არ ჰქონია სხვა ცხოველებთან, და, რომ ცხოველს გამოგზავნამდე 5 დღის განმავლობაში ჩაუტარდა კლინიკური დათვალიერება და არის კლინიკურად ჯანმრთელი;

ზ) ცოცხალი ცხოველი შემოყვანილ უნდა იქნეს მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებით, რომელიც დამუშავებული და მომზადებული უნდა იყოს ექსპორტიორ ქვეყანაში დადგენილი წესების მიხედვით.

2. ვეტერინარული მოთხოვნების შესრულებას ადასტურებს ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ვეტერინარული ან ჯანმრთელობის სერტიფიკატი.

3. საქართველოს ტერიტორიაზე შემოყვანისა და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის გავლის შემდეგ, ცხოველი უნდა მოთავსდეს კარანტინში არაუმეტეს 30 დღით სპეციალურად მომზადებულ სადგომში (გარდა საკლავი, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე ცხოველებისა).

4. საქართველოსა და ექსპორტიორ ქვეყანას შორის ორმხრივი ხელშეკრულებით ან/და წერილობითი შეთანხმებით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში, იმპორტის ნებართვის გამცემ უფლებამოსილ ორგანოს ასევე წარედგინება შესაბამისი ინფორმაცია.

5. ზოგადი მოთხოვნების გარდა, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სპეციფიკურ ვეტერინარულ-სანიტარიულ მოთხოვნებს.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტებისადმი

1. საქართველოში იმპორტისათვის განკუთვნილი, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) არ უნდა შეიცავდეს ნატურალურ ან სინთეზურ ესტროგენს, ჰორმონალურ და თირეოსტატიკურ პრეპარატებს; ანტიბიოტიკების, პესტიციდების და სხვა ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების ნარჩენების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დასაშვებ მაქსიმალურ დონეს;

ბ) არ უნდა იყოს დამუშავებული მაიონიზირებელი რადიაციით და ულტრაიისფერი სხივებით;

გ) არ უნდა იყოს დარღვეული შეფუთვის მთლიანობა;

- დ) არ უნდა აღენიშნებოდეს ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების ცვლილება;
 - ე) მიკრობიოლოგიური, ფიზიკო-ქიმიური და რადიოლოგიური მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უვნებლობის მოთხოვნებს;
 - ვ) ტარა და შესაფუთი მასალა უნდა იყოს ერთჯერადი და შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ჰიგიენურ მოთხოვნებს;
 - ზ) სატრანსპორტო საშუალება დამუშავებული და მომზადებული უნდა იყოს ექსპორტიორ ქვეყანაში დადგენილი წესების მიხედვით;
 - თ) პროდუქცია, ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, ვეტერინალური ექსპერტიზის საფუძველზე, აღიარებული უნდა იქნეს ადამიანისათვის საკვებად ვარგისად და თავისუფალ ვაჭრობაში შეუზღუდავად გასაშვებად.
2. ვეტერინარული მოთხოვნების შესრულებას ადასტურებს ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი.
3. ზოგადი მოთხოვნების გარდა ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტები უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სპეციფიკურ მოთხოვნებს.

მუხლი 3. სპეციფიკური მოთხოვნები გარეული, ზოოპარკისა და ცირკის ცხოველებისადმი

1. საქართველოში შემოსაყვანად დაიშვება კლინიკურად ჯანმრთელი გარეული ცხოველი (ძუძუმწოვარი, ფრინველი, თევზი, წყალხმელეთის ცხოველი, ქვეწარმავალი) და სხვა (ობობასნაირი, მწერი და ა.შ.), რომელიც გამოდის ზოოპარკიდან, ფერმიდან, ცირკიდან, კოლექციებიდან და სხვა ადგილიდან ან აკვატორიიდან (შემდგომში „მეურნეობიდან“), სადაც არ დაფიქსირებულა ცხოველთა გადამდები დაავადებები, მათ შორის:

- ა) ყველა სახეობის ცხოველისათვის ამთვისებლობის მიხედვით:
 - ა.ა) თურქული – ქვეყანაში ბოლო 12 თვის განმავლობაში;
 - ა.ბ) მსხვილფეხა პირუტყვის ჭირი – ქვეყანაში ბოლო 24 თვის განმავლობაში;
 - ა.გ) ფრინველის მაღალპათოგენური გრიპი – ქვეყანაში ბოლო 12 თვის განმავლობაში;
 - ა.დ) ღორის აფრიკული ჭირი – ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ბოლო 36 თვის განმავლობაში;
 - ა.ე) ბლუთანგი – ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ბოლო 24 თვის განმავლობაში;
 - ა.ვ) სხვადასხვა ეტიოლოგიის ჰემორაგიული ცხელება – ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 6 თვის განმავლობაში;
 - ა.ზ) ორნიტოზი (ფსიტაკოზი), ინფექციური ბრონქიტი, ყვავილი, რეოვირუსული ინფექცია და ინდაურის რინოტრაქეიტი – მეურნეობაში ბოლო 6 თვის განმავლობაში;
 - ა.თ) ნიუკასლის დაავადება – ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 12 თვის განმავლობაში;
 - ა.ი) ლეპტოსპიროზი – მეურნეობაში ბოლო 3 თვის განმავლობაში;
 - ა.კ) ჯილეხი – მეურნეობაში ბოლო 20 დღის განმავლობაში;
- ბ) მსხვილი წყვილჩლიქიანი ცხოველისათვის (მსხვილფეხა პირუტყვი, ზუზრი, კამეჩი, ზებუ, იაკი, აქლემი, ანტილოპა, ჟირაფი, ბიზონი, ირემი და სხვა):

ბ.ა) მსხვილფეხა პირუტყვის ღრუბლისებური ენცეფალოპათია და ცხვრის სკრეპი – ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 5 წლის განმავლობაში;

ბ.ბ) მსხვილფეხა პირუტყვის გადამდები კვანძოვანი დერმატიტი, წვრილფეხა პირუტყვის ჭირი, ირმის ეპიზოოტიური ჰემორაგიული დაავადება – ქვეყანაში ბოლო 3 წლის განმავლობაში;

ბ.გ) რიფტის ველის ცხელება – ქვეყანაში ბოლო 4 წლის განმავლობაში;

ბ.დ) ბრუცელოზი, ტუბერკულოზი და პარატუბერკულოზი - მეურნეობაში ბოლო 6 თვის განმავლობაში;

ბ.ე) ლეიკოზი, ვირუსული დიარეა – მეურნეობაში ბოლო 12 თვის განმავლობაში;

გ) წვრილი წყვილჩლიქიანი ცხოველისათვის (ცხვარი, თხა, ტური, მუფლონი და სხვა):

გ.ა) წვრილფეხა პირუტყვის ჭირი – ქვეყანაში ბოლო 36 თვის განმავლობაში;

გ.ბ) რიფტის ველის ცხელება – ქვეყანაში ბოლო 4 წლის განმავლობაში;

გ.გ) ქუ-ცხელება – ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 12 თვის განმავლობაში;

გ.დ) სკრეპი – ქვეყანაში ბოლო 7 წლის განმავლობაში;

გ.ე) მედი-ვისნა, ართრიტ-ენცეფალიტი და ადენომატოზი-ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 36 თვის განმავლობაში;

გ.ვ) ცხვრისა და თხის ყვავილი – ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 12 თვის განმავლობაში;

გ.ზ) ტუბერკულოზი, პარატუბერკულოზი და ბრუცელოზი - მეურნეობაში ბოლო 6 თვის განმავლობაში;

დ) კენტჩლიქიანისათვის (ცხენი, ვირი, ჯორი, პონი, ზებრა, კულანი, პრჟევალსკის ცხენი და სხვა):

დ.ა) ცხენის აფრიკული ჭირი – ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 36 თვის განმავლობაში;

დ.ბ) ყველა სახის ენცეფალომიელიტი – ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 24 თვის განმავლობაში;

დ.გ) ვირუსული ართრიტი – ქვეყანაში ბოლო 3 წლის განმავლობაში;

დ.დ) ქოთაო - ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 36 თვის განმავლობაში;

დ.ე) დაგრილების დაავადება, სუაურუ (ტრიპანოსომა ევანსი), პიროპლაზმოზი (ბაბეზია კაბანი), ნუტალიოზი (ბაბეზია ექვი) – ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი და ა.შ.) ბოლო 12 თვის განმავლობაში;

დ.ვ) ცოფი - მეურნეობაში ბოლო 6 თვის განმავლობაში;

დ.ზ) ცხენის ინფექციური მეტრიტი - მეურნეობაში ბოლო 12 თვის განმავლობაში.

შენიშვნა: ცხენის შემოყვანისას, იმპორტიორმა უნდა იხელმძღვანელოს მოქმედი მოთხოვნებით: სპეციფიკური მოთხოვნები საქართველოში სანაშენე, სამომხმარებლო და სპორტული ცხენებისადმი;

ე) შინაური და გარეული ღორისათვის:

- ე.ა) ღორის აფრიკული ჭირი – ტერიტორია ბოლო 36 თვის განმავლობაში;
- ე.ბ) ღორის კლასიკური ჭირი, ყვავილი – ქვეყანა/ადმინისტრაციული ტერიტორია (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 12 თვის განმავლობაში;
- ე.გ) ვეზიკულური დაავადება – ქვეყანა/ადმინისტრაციული ტერიტორია (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 24 თვის განმავლობაში;
- ე.დ) აუესკის დაავადება – ადმინისტრაციული ტერიტორია/მეურნეობა ბოლო 12 თვის განმავლობაში;
- ე.ე) რეპროდუქციულ-რესპირატორული სინდრომი, ენტეროვირუსული ენცეფალომიელიტი (ტემენის დაავადება) - მეურნეობა ბოლო 6 თვის განმავლობაში;
- ვ) ხორცისმჭამელისათვის:
- ვ.ა) ტულარემია - ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 24 თვის განმავლობაში;
- ვ.ბ) ხორცისმჭამელების ჭირი, ვირუსული ენტერიტი, ტოქსოპლაზმოზი, ინფექციური ჰეპატიტი - მეურნეობაში ბოლო 12 თვის განმავლობაში;
- ვ.გ) ცოფი - მეურნეობაში ბოლო 6 თვის განმავლობაში;
- ზ) წყლის ფრინველისათვის: დერჟის დაავადება, იხვის ჭირი, იხვის ვირუსული ჰეპატიტი - მეურნეობაში ბოლო 6 თვის განმავლობაში;
- თ) მღრღნელებისათვის:
- თ.ა) რიფტის ველის ცხელება – ქვეყანა/ადმინისტრაციული ტერიტორია (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 4 წლის განმავლობაში;
- თ.ბ) ტულარემია – ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 24 თვის განმავლობაში;
- თ.გ) ტოქსოპლაზმოზი – მეურნეობაში ბოლო 12 თვის განმავლობაში;
- თ.დ) მიქსომატოზი, ბოცვრის ვირუსულ-ჰემორაგიული დაავადება – მეურნეობაში ბოლო 6 თვის განმავლობაში;
- ი) ფეხფარფლიანისა და ვეშაპისნაირისათვის: სელაპის ჭირი (მორბილივირუსული ინფექცია) და ვეზიკულური ეგზანთემა – მათი ბინადრობის ადგილებში ბოლო 3 წლის განმავლობაში.
2. კარანტინის პერიოდში აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ ტარდება გამოკვლევები ექსპორტიორ ქვეყანაში მიღებული მეთოდებით:
- ა) მსხვილი წყვილიჩლიქიანის – ბრუცელოზზე, ტუბერკულოზზე, პარატუბერკულოზზე, ლეიკოზზე და სხვა გადამდებ დაავადებებზე ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში;
- ბ) წვრილი წყვილიჩლიქიანის – ბრუცელოზზე, პარატუბერკულოზზე, ბლუთანგზე და სხვა გადამდებ დაავადებებზე ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში;
- გ) კენტლიქიანის – ქოთაოზე, დაგრილების დაავადებაზე, ინფექციურ ანემიაზე და სხვა გადამდებ დაავადებებზე ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში;
- დ) ხორცისმჭამელის:
- დ.ა) ძაღლის, მგლის, ტურის, მელიის, წავის, წაულის, აფთრის - ტოქსოპლაზმოზზე;
- დ.ბ) წაულის – ალუეტის დაავადებაზე;
- ე) ფრინველის (თუთიყუში, მტრედი) – ორნიტოზზე (ფსიტაკოზი), ფრინველის მაღალპათოგენურ გრიპზე და სხვა გადამდებ დაავადებებზე ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში.

3. საქართველოში შემოსაყვანად დაიშვება ცხოველი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სადიაგნოსტიკო კვლევის უარყოფითი შედეგებით.

4. გამგზავრებამდე არაუგვიანეს 20 დღისა ცხოველებს უტარებენ ვაქცინაციას, თუ ისინი ბოლო 6 თვის განმავლობაში არ იყვნენ აცრილი:

ა) წყვლიჩლიქიანს – ჯილეხის საწინააღმდეგოდ;

ბ) კენტჩლიქიანს – ჯილეხის საწინააღმდეგოდ;

გ) ღორს -კლასიკური ჭირის, წითელი ქარისა და აუესკის საწინააღმდეგოდ;

დ) ძაღლს, მელიას, წავს, მგელს, ტურას – ხორცისმჭამელების ჭირის საწინააღმდეგოდ;

ე) ძაღლს, მგელს, ტურას – ცოფის, ჰეპატიტის, ვირუსული ენტერიტის, პარვოვირუსისა და ლეპტოსპიროზის საწინააღმდეგოდ;

ვ) წაულს, ქრცვინს – ხორცისმჭამელების ჭირის და ვირუსული ენტერიტის საწინააღმდეგოდ;

ზ) ნუტრიას – პასტერელოზის საწინააღმდეგოდ;

თ) კატისებრს – ცოფისა და ვირუსული რინოტრაქეიტის საწინააღმდეგოდ;

ი) მღრღნელს (ბოცვერს)– მიქსომატოზისა და ვირუსულ-ჰემორაგიული დაავადების საწინააღმდეგოდ;

კ) ფრინველს (ქათმისებრთა ჯგუფი) - ნიუკასლის დაავადების საწინააღმდეგოდ.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული აცრების გარდა, იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნის შესაბამისად, განისაზღვრება სხვა დაავადებების საწინააღმდეგო აცრები.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შემოწმება არ ხდება საქართველოში იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ ცოცხალ ცხოველებზე, რომლებზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების შესაბამისად, გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

მუხლი 4. სპეციფიკური მოთხოვნები ერთდღიანი ფრინველის, ინდაურის, იხვის, ბატის ჭუკებისა და აღნიშნული სახეობის ფრინველის საინკუბაციო კვერცხისადმი

1. საქართველოში შემოსაყვანად/შემოსატანად დაიშვება კლინიკურად ჯანმრთელი წიწილა, ინდაური, იხვი, ბატი და აღნიშნული სახეობის ფრინველის საინკუბაციო კვერცხი იმ მეურნეობიდან და ადმინისტრაციული ტერიტორიიდან, სადაც არ გამოვლენილა ცხოველთა გადამდები დაავადებები, მათ შორის:

ა) ფრინველის მაღალპათოგენური გრიპი – ქვეყანაში ბოლო 12 თვის განმავლობაში;

ბ) ნიუკასლის დაავადება – ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი და ა.შ.)/მეურნეობაში ბოლო 6 თვის განმავლობაში;

გ) ქათმისა და ინდაურის მეურნეობებში – ორნიტოზი (ფსიტაკოზი), პარამიქსოვირუსული ინფექცია, ქათმის ინფექციური ბრონქიტი, ინფექციური ლარინგოტრაქეიტი, გამბოროს დაავადება, ინფექციური ენცეფალომიელიტი და ინდაურის რინოტრაქეიტი - ბოლო 6 თვის განმავლობაში;

დ) ბატისა და იხვის მეურნეობაში - ორნიტოზი, დერჟის დაავადება, იხვის ვირუსული ჰეპატიტი, იხვის ჭირი – ბოლო 6 თვის განმავლობაში.

2. ქათმისა და ინდაურის სადედე სანაშენე გუნდი გამოკვლეული უნდა იქნეს სეროლოგიურად პულოროზზე. დადებითად მორეაგირე ფრინველი არ უნდა იქნეს გამოვლენილი.

3. ერთდღიანი წიწილა (ბროილერის გარდა) აცრილი უნდა იყოს მარეკის დაავადების საწინააღმდეგოდ.

4. საინკუბაციო კვერცხი უნდა იქნეს მიღებული ფრინველისაგან, რომელიც აკმაყოფილებს ზემოთ მითითებულ ვეტერინარულ მოთხოვნებს.

5. საინკუბაციო კვერცხს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია ექსპორტიორ ქვეყანაში მიღებული მეთოდებით.

6. საექსპორტო წიწილა და საინკუბაციო კვერცხი უნდა იქნეს მიღებული სადედე გუნდიდან, რომელიც არ იყო ნაკვები გენური ინჟინერიის მეთოდებით მიღებული და სხვა გენეტიკურად მოდიფიცირებული წყაროებიდან გამომუშავებული ნედლეულის შემცველი საკვებით.

7. წიწილისა და საინკუბაციო კვერცხის მოწოდება უნდა მოხდეს ერთჯერადი ტარით.

8. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შემოწმება არ ხდება საქართველოში იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ ცოცხალ ფრინველზე, მათ შორის, საინკუბაციო კვერცხზე, რომელზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების შესაბამისად გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

მუხლი 5. სპეციფიკური მოთხოვნები საკლავი მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრისა და თხისადმი

1. საქართველოში შემოსაყვანად დაიშვება ექსპორტიორ ქვეყანაში დაბადებული და გამოზრდილი ჯანმრთელი საკლავი მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი და თხა, რომელიც გამოდის ისეთი მეურნეობიდან და ადმინისტრაციული ტერიტორიიდან, სადაც არ დაფიქსირებულა ცხოველთა გადამდები დაავადებები, მათ შორის:

ა) მსხვილფეხა პირუტყვის ღრუბლისებური ენცეფალოპათია და ცხვრის სკრეპი - ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 5 წლის განმავლობაში;

ბ) მაედი-ვისნა, ადენომატოზი და ართრიტ-ენცეფალიტი - ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 36 თვის განმავლობაში;

გ) თურქული - ქვეყანაში ბოლო 12 თვის განმავლობაში;

დ) მსხვილფეხა პირუტყვის ჭირი, მსხვილფეხა პირუტყვის კონტაგიოზური პლევროპნევმონია, ვეზიკულური სტომატიტი, ბლუთანგი – ქვეყანაში ბოლო 24 თვის განმავლობაში;

- ე) წვრილფეხა პირუტყვის ჭირი – ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 36 თვის განმავლობაში;
- ვ) მსხვილფეხა პირუტყვის ბრუცელოზი, ტუბერკულოზი და პარატუბერკულოზი - მეურნეობაში ბოლო 6 თვის განმავლობაში;
- ზ) მსხვილფეხა პირუტყვის ლეიკოზი - მეურნეობაში ბოლო 12 თვის განმავლობაში;
- თ) ცხვრისა და თხის ბრუცელოზი – მეურნეობაში ბოლო 12 თვის განმავლობაში;
- ი) ცხვრისა და თხის ინფექციური პლევროპნევმონია – ქვეყანაში ბოლო 24 თვის განმავლობაში;

კ) ცხვრისა და თხის ყვავილი – ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 6 თვის განმავლობაში;

ლ) ჯილეხი - მეურნეობაში ბოლო 20 დღის განმავლობაში.

2. ყველა სახის ცხოველს უნდა ჩაუტარდეს დიაგნოსტიკური გამოკვლევა ბრუცელოზზე, ტუბერკულოზზე – აკრედიტებულ ლაბორატორიაში ექსპორტიორ ქვეყანაში მიღებული მეთოდებით.

3. უნდა ჩაუტარდეს ვაქცინაცია:

ა) ყველა სახის ცხოველს გამგზავრებამდე არანაკლებ 20 დღით ადრე (თუ 6 თვით ადრე ცხოველი არ იყო აცრილი) – ჯილეხის საწინააღმდეგოდ იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნით;

ბ) ცხვარსა და თხას უნდა ჩაუტარდეს ვაქცინაცია გამგზავრებამდე არანაკლებ 14 დღით ადრე (თუ 6 თვით ადრე არ იყო აცრილი) – ყვავილის საწინააღმდეგოდ, თუ ისინი გამოდიან ცხვრის ყვავილის მიმართ არაკეთილსაიმედო ქვეყნიდან.

4. საქართველოში იმპორტირებული ცხოველი უნდა დაიკლას სასაკლაოზე შემოყვანიდან არაუგვიანეს 2-3 დღის შემდეგ.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შემოწმება არ ხდება საქართველოში იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ ცოცხალ ცხოველებზე, რომლებზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების შესაბამისად გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

მუხლი 6. სპეციფიკური მოთხოვნები საკლავი ღორისადმი

1. საქართველოში შემოსაყვანად დაიშვება კლინიკურად ჯანმრთელი ღორი, რომელიც დაიბადა და გაიზარდა, ან/და არანაკლებ ბოლო 6 თვის განმავლობაში იმყოფებოდა ექსპორტიორ ქვეყანაში და გამოდის ისეთი მეურნეობიდან და ადმინისტრაციული ტარიტორიიდან, სადაც არ დაფიქსირებულა გადამდები დაავადებები, მათ შორის:

ა) ღორის აფრიკული ჭირი - ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 36 თვის განმავლობაში;

ბ) თურქული, ღორის კლასიკური ჭირი და ვეზიკულური დაავადება - ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 12 თვის განმავლობაში;

გ) აუესკის დაავადება – მეურნეობაში ბოლო 12 თვის განმავლობაში;

დ) ღორის ენტეროვირუსული ენცეფალომიელიტი (ტემენის დაავადება), ტრიქინელოზი, ტუბერკულოზი, ბრუცელოზი და ღორის რეპროდუქციულ-რესპირატორული სინდრომი - მეურნეობაში ბოლო 6 თვის განმავლობაში;

ე) ჯილეხი – მეურნეობაში ბოლო 20 დღის განმავლობაში.

2. საქართველოში იმპორტირებული ღორი უნდა დაიკლას სასაკლაოზე შემოყვანიდან არაუგვიანეს 2-3 დღის შემდეგ.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შემოწმება არ ხდება საქართველოში იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ ცოცხალ ცხოველებზე, რომლებზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების შესაბამისად გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

მუხლი 7. სპეციფიკური მოთხოვნები სანაშენე და სამომხმარებლო ღორისადმი

1. საქართველოში შემოსაყვანად დაიშვება ჯანმრთელი სანაშენე ღორი, დაბადებული და გამოზრდილი ქვეყანა-ექსპორტიორში, აუცრელი ღორის კლასიკური ჭირისა და აუესკის დაავადების საწინააღმდეგოდ, წარმოშობილი ისეთი მეურნეობიდან და ადმინისტრაციული ტერიტორიიდან, სადაც არ დაფიქსირებულა ცხოველების გადამდეები დაავადებები, მათ შორის:

ა) ღორის აფრიკული ჭირი – ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 36 თვის განმავლობაში;

ბ) ღორის ვეზიკულური დაავადება – ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 24 თვის განმავლობაში;

გ) თურქული – ქვეყანაში ბოლო 12 თვის განმავლობაში;

დ) ღორის კლასიკური ჭირი – ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 12 თვის განმავლობაში;

ე) აუესკის დაავადება – მეურნეობაში ბოლო 12 თვის განმავლობაში;

ვ) ღორის ენტეროვირუსული ენცეფალომიელიტი (ტემენის დაავადება), ტრიქინელოზი, ტუბერკულოზი, ბრუცელოზი, ღორის რეპროდუქციულ-რესპირატორული სინდრომი - მეურნეობაში ბოლო 6 თვის განმავლობაში;

ზ) ლეპტოსპიროზი - მეურნეობაში ბოლო 3 თვის განმავლობაში;

თ) ჯილეხი - მეურნეობაში ბოლო 20 დღის განმავლობაში.

2. კარანტინის პერიოდში ტარდება აკრედიტებულ ლაბორატორიაში ექსპორტიორ ქვეყანაში მიღებული მეთოდებით დიაგნოსტიკური გამოკვლევები: ღორის კლასიკურ და აფრიკულ ჭირზე, ღორის რეპროდუქციულ-რესპირატორულ სინდრომზე, ბრუცელოზზე, აუესკის დაავადებაზე და იმპორტიორის მოთხოვნით სხვა ინფექციურ დაავადებებზე.

3. გაგზავნამდე არა უგვიანეს 14 დღისა ღორებს ცრიან წითელი ქარის საწინააღმდეგოდ.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შემოწმება არ ხდება საქართველოში იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ ცოცხალ ცხოველებზე, რომლებზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის –

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების შესაბამისად გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

მუხლი 8. სპეციფიკური მოთხოვნები სანაშენე და სამომხმარებლო მსხვილფეხა პირუტყვისადმი

1. საქართველოში შემოსაყვანად დაიშვება ექსპორტიორ ქვეყანაში დაბადებული და გამოზრდილი ჯანმრთელი სანაშენე მსხვილფეხა პირუტყვი, არაუმეტეს 5 თვის მაკეობისა, რომელიც არ არის ვაქცინირებული ბრუცელოზის, თურქულია და ლეპტოსპიროზის საწინააღმდეგოდ და გამოდის ისეთი მეურნეობიდან და ადმინისტრაციული ტერიტორიიდან, რომელიც თავისუფალია ცხოველთა გადამდები დაავადებების მიმართ, მათ შორის:

ა) მსხვილფეხა პირუტყვის ღრუბლისებური ენცეფალოპათიისა - ქვეყანა ბოლო 5 წლის განმავლობაში;

ბ) მსხვილფეხა პირუტყვის ჭირი, კონტაგიოზური პლევროპნევმონია, ვეზიკულური სტომატიტი – ქვეყანა ბოლო 24 თვის განმავლობაში;

გ) თურქული – ქვეყანა ბოლო 12 თვის განმავლობაში;

დ) ბრუცელოზი, ტუბერკულოზი, პარატუბერკულოზი - მეურნეობა ბოლო 6 თვის განმავლობაში;

ე) ლეიკოზი – მეურნეობა ბოლო 12 თვის განმავლობაში;

ვ) ლეპტოსპიროზი – მეურნეობა ბოლო 3 თვის განმავლობაში;

ზ) ჯილეხი – მეურნეობა ბოლო 20 დღის განმავლობაში.

2. იმპორტისათვის განკუთვნილ სანაშენე ცხოველს არ უნდა ჰქონდეს გენეტიკური კავშირი იმ მეურნეობაში მოშენებულ პირუტყვთან, რომელიც არაკეთილსაიმედოა მსხვილფეხა პირუტყვის ღრუბლისებურ ენცეფალოპათიაზე.

3. კარანტინის პერიოდში ტარდება სადიაგნოსტიკო გამოკვლევები ექსპორტიორ ქვეყანაში მიღებული მეთოდებით აკრედიტებულ ლაბორატორიაში: ბრუცელოზზე, ტუბერკულოზზე, პარატუბერკულოზზე, ლეიკოზზე, ტრიქომონოზზე, კამპილობაქტერიოზზე, ქლამიდიოზზე და იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა ინფექციურ დაავადებებზე.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შემოწმება არ ხდება საქართველოში იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ ცოცხალ ცხოველებზე, რომლებზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების შესაბამისად გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

მუხლი 9. სპეციფიკური მოთხოვნები სანაშენე, სამომხმარებლო და სპორტული ცხენისადმი

1. საქართველოში შემოსაყვანად დაიშვება მხოლოდ ჯანმრთელი სანაშენე მოზარდი და ზრდასრული ცხენი, რომელიც დაბადებულია, გაზრდილია და იმყოფება ექსპორტიორ

ქვეყანაში არა ნაკლებ 6 თვის განმავლობაში, არაუმეტეს 3 თვის მაკეობისა. ცხენი არ უნდა იყოს ვაქცინირებული არც ერთი ტიპის ინფექციური ენცეფალომიელიტი და ცხენის აფრიკული ჭირის საწინააღმდეგოდ და უნდა გამოდიოდეს მეურნეობიდან და ადმინისტრაციული ტერიტორიიდან, სადაც არ დაფიქსირებულა გადამდები დაავადებები, მათ შორის:

ა) ცხენის ყველა ტიპის ინფექციური ენცეფალომიელიტი – ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 24 თვის განმავლობაში;

ბ) ქოთაო, ვირუსული ართრიტი – ქვეყანაში ბოლო 3 წლის განმავლობაში;

გ) ვეზიკულური სტომატიტი – ქვეყანაში ბოლო 24 თვის განმავლობაში;

დ) ცხენის ჭირი – ქვეყანაში ბოლო 2 წლის განმავლობაში;

ე) ცხენის გრიპი – ქვეყანაში/ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი, რაიონი და ა.შ.) ბოლო 21 დღის განმავლობაში;

ვ) დაგრილების დაავადება, სუარუ (ტრიპანოსომა ევანსი) – ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი და სხვა) ბოლო 6 თვის განმავლობაში;

ზ) პიროპლაზმოზი (ბაბეზია კაბანი), ნუტალიოზი (ბაბეზია ექვი) - მეურნეობაში ბოლო 1 თვის განმავლობაში;

თ) ცხენის ინფექციური მეტრიტი – მეურნეობაში ბოლო 12 თვის განმავლობაში;

ი) ლეპტოსპიროზი, რინოპნევმონია, ინფექციური ანემია, ცხენის ყვავილი – მეურნეობაში ბოლო 3 თვის განმავლობაში;

კ) ჯილეხი - მეურნეობაში ბოლო 20 დღის განმავლობაში.

2. კარანტინის პერიოდში უნდა ჩატარდეს აკრედიტებულ ლაბორატორიაში დიაგნოსტიკური გამოკვლევები ექსპორტიორ ქვეყანაში მიღებული მეთოდებით: ქოთაოზე, დაგრილების დაავადებაზე, ინფექციურ ანემიაზე, ხოლო სხვა გადამდებ დაავადებებზე, ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შემოწმება არ ხდება საქართველოში იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ ცოცხალ ცხოველებზე, რომლებზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების შესაბამისად გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

მუხლი 10. სპეციფიკური მოთხოვნები თაფლისა და მეფუტკრეობის პროდუქტებისადმი

1. საქართველოში იმპორტისთვის დაიშვება თაფლი და მეფუტკრეობის პროდუქტი, რომელიც დამზადდა ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ვეტერინარული კონტროლის ქვეშ მყოფ მეურნეობაში (საფუტკრე) ან საწარმოში და მეურნეობას ან საწარმოს გააჩნია ამ პროდუქტის ექსპორტზე გატანის უფლება.

2. საქართველოში შემოსატანად დაიშვება თაფლი და მეფუტკრეობის პროდუქტი, თუ ის გამოდის ცხოველის საშიში დაავადებებისაგან თავისუფალი ადმინისტრაციული ტერიტორიიდან, მათ შორის:

ა) ღორის აფრიკული ცხელებისაგან – ადმინისტრაციული ტერიტორია (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი და სხვა) ბოლო 3 წლის განმავლობაში;

ბ) თურქულისაგან – ადმინისტრაციული ტერიტორია (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი და სხვა) ბოლო 12 თვის განმავლობაში;

გ) ამერიკული და ევროპული სიდამპლისა და ნოზემატოზისაგან – მეურნეობა ბოლო 3 თვის განმავლობაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შემოწმება არ ხდება საქართველოში იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ იმ პროდუქციაზე, რომელზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების შესაბამისად გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

მუხლი 11. სპეციფიკური მოთხოვნები სასურსათო თევზისა და ზღვის პროდუქტებისადმი

1. საქართველოში იმპორტისთვის დაიშვება სურსათად გამოსაყენებელი თევზი და ზღვის პროდუქტი, რომელიც დამზადდა ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ვეტერინარული კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოში და საწარმოს გააჩნია ამ პროდუქტის ექსპორტზე გატანის უფლება.

2. თევზი და ზღვის პროდუქტი უნდა გამოდიოდეს საწარმოდან (მცურავი ბაზის ჩათვლით), რომელიც განთავსებულია ისეთ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, სადაც არ დაფიქსირებულა:

ა) ღორის აფრიკული ცხელება – ბოლო 3 წლის განმავლობაში;

ბ) თურქული – ბოლო 12 თვის განმავლობაში.

3. ზღვისა და მტკნარი წყლის სარეწი თევზი, ასევე, ზღვის პროდუქტები, გამოკვლეული უნდა იქნეს ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური სამსახურის მიერ ჰელმინთების, ბაქტერიული და ვირუსული ინფექციების არსებობაზე ექსპორტიორ ქვეყანაში მიღებული მეთოდებით. დასაშვები ნორმის ფარგლებში, ჰელმინთების არსებობის შემთხვევაში, თევზი უნდა გაუვნებელდეს არსებული მეთოდებით.

4. საქართველოში იმპორტისათვის არ დაიშვება გაყინული თევზი და ზღვის პროდუქტი, თუ:

ა) პროდუქტის სისქეში ტემპერატურა -180C-ზე მეტია;

ბ) მასში აღინიშნება გადამდები დაავადებებისათვის დამახასიათებელი ცვლილებები;

გ) შენახვის დროს მოხდა მისი დეფროსტაცია.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შემოწმება არ ხდება საქართველოში იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ იმ პროდუქციაზე, რომელზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010

წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების შესაბამისად გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

მუხლი 12. სპეციფიკური მოთხოვნები კვერცხის ფხვნილის, მელანჟის, ალბუმინისა და ფრინველის კვერცხის გადამუშავების სხვა პროდუქტისათვის

1. საქართველოში იმპორტისთვის დაიშვება ცხოველთა (ფრინველის) გადამდები დაავადებებისაგან თავისუფალ მეურნეობებში გამოზრდილი ჯანმრთელი ფრინველის კვერცხის გადამუშავების შედეგად მიღებული კვერცხის ფხვნილი, მელანჟი, ალბუმინი და სხვა პროდუქტები, რომლებიც დამზადდა ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მუდმივი ვეტერინარული კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოში და საწარმოს გააჩნია ამ პროდუქტის ექსპორტზე გატანის უფლება.

2. გადამუშავებისათვის გამოყენებული ფრინველის კვერცხი უნდა გამოდიოდეს მეურნეობიდან და ადმინისტრაციული ტერიტორიიდან, რომლებიც თავისუფალია ცხოველთა გადამდები დაავადებებისაგან, მათ შორის:

ა) ღორის აფრიკული ცხელებისაგან – ადმინისტრაციული ტერიტორია (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი და სხვა) ბოლო 3 წლის განმავლობაში;

ბ) თურქულისაგან – ადმინისტრაციული ტერიტორია (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი და სხვა) ბოლო 12 თვის განმავლობაში;

გ) ფრინველის მაღალპათოგენური გრიპისაგან, ნიუკასლისაგან – ადმინისტრაციული ტერიტორია (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი და სხვა) ბოლო 12 თვის განმავლობაში;

დ) ორნიტოზის (ფსიტაკოზის), პარამიქსოვირუსული ინფექციის, ქათმის ინფექციური ბრონქიტის, ინფექციური ლარინგოტრაქეიტის, ინფექციური ენცეფალომიელიტისაგან - მეურნეობა ბოლო 6 თვის განმავლობაში.

3. ქათმების სადედე გუნდი გამოკვლეული უნდა იყოს სეროლოგიურად პულოროზის ანტიგენით.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შემოწმება არ ხდება საქართველოში იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ იმ პროდუქტებზე, რომელზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების შესაბამისად გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

მუხლი 13. სპეციფიკური მოთხოვნები სასურსათო კვერცხისადმი

1. საქართველოში იმპორტისთვის დაიშვება ცხოველთა (ფრინველის) გადამდები დაავადებებისაგან თავისუფალ მეურნეობებში გამოზრდილი ჯანმრთელი ფრინველის კვერცხი, რომელიც დამზადდა ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მუდმივი ვეტერინარული კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოში და საწარმოს გააჩნია ამ პროდუქტის ექსპორტზე გატანის უფლება.

2. კვერცხი უნდა გამოდიოდეს ცხოველთა და ფრინველის გადამდები დაავადებებისაგან თავისუფალი ქვეყნიდან და მეურნეობებიდან, მათ შორის:

ა) ღორის აფრიკული ცხელებისაგან – ადმინისტრაციული ტერიტორია (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი და სხვა) ბოლო 3 წლის განმავლობაში;

ბ) თურქულისაგან - ადმინისტრაციული ტერიტორია ბოლო 12 თვის განმავლობაში;

გ) ფრინველის მაღალპათოგენური გრიპისაგან – ქვეყანა ბოლო 12 თვის განმავლობაში;

დ) ნიუკასლის დაავადებისაგან – ადმინისტრაციული ტერიტორია (შტატი, პროვინცია, ოლქი, მიწა) – ბოლო 12 თვის განმავლობაში;

ე) ორნიტოზის (ფსიტაკოზი), პულოროზის, ტუბერკულოზის, ინფექციური ბრონქიტის, გამბოროს, ინფექციური ლარინგოტრაქეიტისა და მარეკის დაავადებებისაგან – მეურნეობის ტერიტორია ბოლო 6 თვის განმავლობაში.

3. საქართველოში შემოსატანი თითოეული კვერცხის ცალობით ერთეულზე აღნიშნული უნდა იყოს კვერცხის წარმოშობის ქვეყანა და დადების თარიღი.

4. იმპორტირებული სასურსათო კვერცხის რეალიზაციის ვადა საცალო ვაჭრობის ქსელში არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს დადების თარიღიდან.

5. კვერცხის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ტემპერატურული რეჟიმის დამცავი სისტემით აღჭურვილი ტრანსპორტით 0-100 C-ის პირობებში, ხოლო კვერცხის პროდუქტების (მელანჟი, ცილა) ტრანსპორტირება – გაყინული (-60C).

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შემოწმება არ ხდება საქართველოში იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ იმ პროდუქციაზე, რომელზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწოდებების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების შესაბამისად გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

მუხლი 14. სპეციფიკური მოთხოვნები რძისა და რძის პროდუქტებისადმი

1. საქართველოში იმპორტისთვის დაიშვება ჯანმრთელი ცხოველებისაგან მიღებული რძე და რძის პროდუქტები, რომლებიც წარმოებულია გადამდები დაავადებებისაგან ოფიციალურად თავისუფალ მეურნეობებში და რძის გადამამუშავებელ ისეთ საწარმოებში, რომლებიც იმყოფება ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მუდმივი ვეტერინარული კონტროლის ქვეშ და რომელთაც გააჩნიათ ამ პროდუქტის ექსპორტზე გატანის უფლება.

2. რძე და რძის პროდუქტი უნდა დამზადდეს და გამოვიდეს ისეთი მეურნეობიდან და ადმინისტრაციული ტერიტორიიდან, რომელიც თავისუფალია ცხოველთა გადამდები დაავადებებისაგან, მათ შორის:

ა) ღორის აფრიკული ცხელებისაგან – ადმინისტრაციული ტერიტორია (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი და სხვა) ბოლო 3 წლის განმავლობაში;

ბ) თურქულის, მსხვილფეხა პირუტყვის ჭირის, კონტაგიოზური პლევროპნევმონიისა და ვეზიკულური სტომატიტისაგან – ქვეყანა ბოლო 12 თვის განმავლობაში;

გ) მსხვილფეხა პირუტყვის ბრუცელოზის, ტუბერკულოზისა და პარატუბერკულოზისაგან - მეურნეობა ბოლო 6 თვის განმავლობაში;

დ) მსხვილფეხა პირუტყვის ლეიკოზისაგან – მეურნეობა ბოლო 12 თვის განმავლობაში;

ე) ცხვრისა და თხის ბრუცელოზისაგან - მეურნეობა ბოლო 12 თვის განმავლობაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შემოწმება არ ხდება საქართველოში იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ იმ პროდუქციაზე, რომელზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების შესაბამისად გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

მუხლი 15. სპეციფიკური მოთხოვნები ხორცისა და ხორცპროდუქტებისადმი

1. საქართველოში იმპორტისთვის დაიშვება ხორცის გადამამუშავებელ საწარმოში ჯანმრთელი ცხოველებიდან მიღებული ხორცი და ხორცპროდუქტი, წარმოებული გადამდები დაავადებებისაგან ოფიციალურად თავისუფალ მეურნეობებში და წარმოებული ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მუდმივი ვეტერინარული კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოში და საწარმოს გააჩნია ამ პროდუქტის ექსპორტზე გატანის უფლება.

2. საკლავი ცხოველი, რომლისგან მიღებული ხორცი განკუთვნილია საქართველოში საექსპორტოდ, ექვემდებარება დაკვლისწინა ვეტერინარულ შემოწმებას, ხოლო მისგან მიღებული ტანხორცი და ორგანოები – დაკვლის შემდგომ ვეტერინარულ-სანიტარიულ ექსპერტიზას ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

3. ტანხორცს (ნახევართანხორცს, მეოთხედს) უნდა გააჩნდეს ვეტერინარული ზედამხედველობის მკაფიო დამლა იმ სასაკლავო დასახელების ან ნომრის აღნიშვნით, სადაც მოხდა ცხოველების დაკვლა. დამუშავებულ ხორცს შეფუთვაზე ან პოლიბლოკზე უნდა ჰქონდეს მარკირება (ეტიკეტი).

4. ეტიკეტი ისე უნდა იყოს განთავსებული შეფუთვაზე, რომ მისი გახსნა შეუძლებელი იყოს ეტიკეტის მთლიანობის დარღვევის გარეშე.

5. ხორცი და ხორცპროდუქტი დამზადებული უნდა იყოს ისეთ მეურნეობასა და ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, რომელიც ოფიციალურად აღიარებული არის თავისუფლად ცხოველთა დაავადებებისაგან, მათ შორის:

ა) ყველა სახის ცხოველისათვის:

ა.ა) ღორის აფრიკული ცხელებისაგან – ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორია;

ა.ბ) თურქულისაგან – ბოლო 12 თვის განმავლობაში ადმინისტრაციული ტერიტორია;

ბ) მსხვილფეხა პირუტყვისათვის:

ბ.ა) მსხვილფეხა პირუტყვის ღრუბლისებური ენცეფალოპათიისა და ცხვრის სკრეპისაგან – ქვეყანა ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხმელეთის ცხოველების სანიტარიული კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად;

ბ.ბ) მსხვილფეხა პირუტყვის კონტაგიოზური პლევროპნევმონიის, ვეზიკულური სტომატიტის, წვრილფეხა პირუტყვის ჭირისაგან – ბოლო 18 თვის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორია;

ბ.გ) ტუბერკულოზის და ბრუცელოზისაგან – ბოლო 6 თვის განმავლობაში მეურნეობის ტერიტორია;

ბ.დ) ლეიკოზისაგან - ბოლო 12 თვის განმავლობაში მეურნეობის ტერიტორია;

ბ.ე) ჯილეხისა და ემკარისაგან – ბოლო 20 დღის განმავლობაში მეურნეობის ტერიტორია;

გ) ცხვრისა და თხისათვის:

გ.ა) მსხვილფეხა პირუტყვის ღრუბლისებური ენცეფალოპათიისა და ცხვრის სკრეპისაგან – ქვეყანა – ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხმელეთის ცხოველების სანიტარიული კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად;

გ.ბ) ბლუტანგის, მსხვილფეხა პირუტყვის ჭირისა და კონტაგიოზური პლევროპნევმონიისაგან, წვრილფეხა პირუტყვის ჭირისაგან - ბოლო 18 თვის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორია;

გ.გ) ცხვრისა და თხის ყვავილისაგან - ბოლო 6 თვის განმავლობაში მეურნეობის ტერიტორია;

გ.დ) ტუბერკულოზისა და ბრუცელოზისაგან - ბოლო 6 თვის განმავლობაში მეურნეობის ტერიტორია;

გ.ე) ჯილეხისაგან – ბოლო 20 დღის განმავლობაში მეურნეობის ტერიტორია;

დ) ღორისათვის:

დ.ა) ღორის ვეზიკულური დაავადებისაგან - ბოლო 18 თვის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორია;

დ.ბ) ღორის კლასიკური ჭირის - ბოლო 12 თვის განმავლობაში ადმინისტრაციული ტერიტორია (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი და სხვა);

დ.გ) აუესკის დაავადებისა და ღორის ენტეროვირუსული ენცეფალომიელიტისაგან (ტემენის დაავადება) – ბოლო 6 თვის განმავლობაში მეურნეობის ტერიტორია;

დ.დ) ღორის რეპროდუქტიულ-რესპირატორული სინდრომისაგან - ბოლო 6 თვის განმავლობაში მეურნეობის ტერიტორია;

დ.ე) ჯილეხისა და ღორის წითელი ქარისაგან – მეურნეობა ბოლო 20 დღის განმავლობაში;

დ.ვ) ყველა ტანხორცი გამოკვლეული უნდა იყოს ტრიქინელოზზე უარყოფითი შედეგით.

6. საქართველოში შემოსატანად არ დაიშვება ხორცი და ხორცპროდუქტი:

ა) თუ დაკვლისშემდგომი ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზით დადგინდა გადამდები დაავადებისათვის, ასევე, ჰელმინთებით დაზიანებისა (ცისტიცერკოზი, ტრიქინელოზი, სარკოსპორიდიოზი, ონქოცერკოზი, ექინოკოკოზი) და სხვადასხვა ნივთიერებებით მოწამვლისათვის დამახასიათებელი ცვლილებები;

ბ) შენახვის პერიოდში დეფროსტირებული;

გ) გაყინული ხორცი კუნთის სისქეში ძვალთან -180C–ზე, ხოლო გაციებული ხორცი - +40C –ზე მაღალი ტემპერატურის მქონე;

დ) ტანხორცი შინაგანი ორგანოების ნარჩენებით, ქსოვილებში სისხლჩაქცევებით, მოუცილებელი აბსცესებით, კანის ბორას მატლებით, მექანიკური მინარევებით ან მოცილებული სეროზული გარსებითა და ლიმფური კვანძებით;

ე) ისეთი კონსერვანტებით დამუშავებული, რომელთა გამოყენება არ არის დაშვებული საქართველოს კანონმდებლობით;

ვ) თუ მექანიკურად განცალკევებული ხორცის წარმოებისას;

ვ.ა) გამოყენებული ნედლი მასალა არ აკმაყოფილებს ახალი ხორცის მახასიათებლებს;

ვ.ბ) გამოყენებულია შემდეგი ნედლი მასალა – თავ-ფეხის, კუდის, ბარძაყის, წვივის, მხრის, წინა მხრის, მაჯის და იდაყვის ძვლები;

ზ) ხორცის პროდუქტი, თუ წარმოებისას გამოყენებულია:

ზ.ა) სასქესო ორგანოები, კვეცხუჯრედების გარდა;

ზ.ბ) შარდსასქესო ორგანოები, თირკმელებისა და შარდის ბუშტის გარდა;

ზ.გ) ხორცის ხრტილი, ტრაქეა და ლობურალური ბრონქი;

ზ.დ) თვალელები და ქუთუთოები;

ზ.ე) რქოვანი ქსოვილი.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შემოწმება არ ხდება საქართველოში იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ იმ პროდუქციაზე, რომელზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების შესაბამისად გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

მუხლი 16. სპეციფიკური მოთხოვნები საქონლის სუბპროდუქტებისადმი

1. საქართველოში იმპორტისთვის დაიშვება ჯანმრთელი პირუტყვის დაკვლითა და გადამამუშავებით მიღებული სუბპროდუქტი, რომელიც წარმოებულია ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მუდმივი ვეტერინარული კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოში და საწარმოს გააჩნია ამ პროდუქტის ექსპორტზე გატანის უფლება.

2. საკლავი ცხოველი, რომლისგან მიღებული სუბპროდუქტი განკუთვნილია საქართველოში საექსპორტოდ, ექვემდებარება დაკვლისწინა ვეტერინარულ შემოწმებას, ხოლო მისგან მიღებული ორგანოები – დაკვლის შემდგომ ვეტერინარულ-სანიტარიულ ექსპერტიზას ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

3. სუბპროდუქტებს შეფუთვაზე ან პოლიბლოკზე უნდა ჰქონდეს მარკირება (ვეტერინარული დამლა და ეტიკეტი). ეტიკეტი ისე უნდა იყოს განთავსებული შეფუთვაზე, რომ მისი გახსნა შეუძლებელი იყოს ეტიკეტის მთლიანობის დარღვევის გარეშე.

4. სუბპროდუქტები მიღებული უნდა იყოს ისეთ მეურნეობასა და ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, რომლებიც ოფიციალურად აღიარებული იყვნენ თავისუფლად ცხოველთა დაავადებებისაგან, მათ შორის:

ა) ღორის აფრიკული ცხელებისაგან – ბოლო 3 წლის განმავლობაში ადმინისტრაციული ტერიტორია;

ბ) თურქულისაგან – ბოლო 12 თვის განმავლობაში ადმინისტრაციული ტერიტორია;

გ) მსხვილფეხა პირუტყვის ღრუბლისებური ენცეფალოპათიისაგან და ცხვრის სკრეპისაგან – ქვეყანა – ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხმელეთის ცხოველების სანიტარიული კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად;

დ) მსხვილფეხა პირუტყვის კონტაგიოზური პლევროპნევმონიის, ვეზიკულური სტომატიტის, წვრილფეხა პირუტყვის ჭირისაგან – ბოლო 18 თვის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორია;

- ე) ტუბერკულოზისა და ბრუცელოზისაგან – ბოლო 6 თვის განმავლობაში მეურნეობის ტერიტორია;
- ვ) ლეიკოზისაგან – ბოლო 12 თვის განმავლობაში მეურნეობის ტერიტორია;
- ზ) ჯილეხისა და ემკარისაგან – ბოლო 20 დღის განმავლობაში მეურნეობის ტერიტორია.

5. საქართველოში შემოსატანად არ დაიშვება სუბპროდუქტი:

ა) თუ დაკვლის შემდგომი ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზით დადგინდა გადამდები დაავადებისათვის, ასევე, ჰელმინთებით დაზიანებისა (ცისტიცერკოზი, სარკოსპორიდიოზი, ონქოცერკოზი, ექინოკოკოზი) და სხვადასხვა ნივთიერებებით მოწამვლისათვის დამახასიათებელი ცვლილებები;

ბ) შენახვის პერიოდში დეფროსტირებული;

გ) კუჭი, შარდის ბუშტი და ნაწლავები, თუ არ არის დამარილებული, თერმულად დამუშავებული ან გამომშრალი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კუჭი, შარდის ბუშტი და ნაწლავები არ არის დამარილებული ან გამომშრალი და შენახულია არაუმეტეს 30 C ტემპერატურაზე.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შემოწმება არ ხდება საქართველოში იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ იმ პროდუქციაზე, რომელზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების შესაბამისად გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

მუხლი 17. სპეციფიკური მოთხოვნები კონსერვის, ძეხვის და სხვა სახის მზა ხორცპროდუქტებისადმი

1. საქართველოში იმპორტისთვის დაიშვება მზა ხორცპროდუქტი, სუბპროდუქტი, ყველა სახის ცხოველისა და ფრინველის ცხიმი, კონსერვი, ძეხვი და ადამიანისათვის საკვებად განკუთვნილი ხორცის სხვა ნაწარმი, რომელიც წარმოებულია ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ვეტერინარული კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოში და საწარმოს გააჩნია ამ პროდუქტის ექსპორტზე გატანის უფლება.

2. პროდუქციის დასამზადებელი ნედლეული მიღებული უნდა იყოს კლინიკურად ჯანმრთელი ცხოველისაგან და გავლილი უნდა ჰქონდეს ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ვეტერინარული სამსახურის ვეტერინარი ექიმის მიერ ჩატარებული ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზა.

3. ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხმელეთის ცხოველების სანიტარიული კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად:

ა) მსხილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ხორცი არ უნდა გამოდიოდეს მსხვილფეხა პირუტყვის ღრუბლისებური ენცეფალოპათიისა და ცხვრის სკრეპის მიმართ არაკეთილსაიმედო ქვეყნიდან;

ბ) სახორცედ დაკლული პირუტყვი არ უნდა იყოს გამოკვებილი ცხოველური წარმოშობის საკვებით, რომლის დასამზადებლად გამოყენებული იყო ცხოველთა შინაგანი ორგანოები და ქსოვილები.

4. პროდუქტი უნდა გამოდიოდეს საწარმოდან, რომელიც მდებარეობს ქვეყნის ისეთ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, სადაც არ დაფიქსირებულა ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ნუსხით გათვალისწინებული დაავადებები, მათ შორის:

- ა) ღორის აფრიკული ცხელება – ბოლო 3 წლის განმავლობაში;
- ბ) მსხვილფეხა პირუტყვის ჭირი – ბოლო 12 თვის განმავლობაში;
- გ) თურქული – ბოლო 12 თვის განმავლობაში.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შემოწმება არ ხდება საქართველოში იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ იმ პროდუქციაზე, რომელზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების შესაბამისად გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

მუხლი 18. სპეციფიკური მოთხოვნები ფრინველის ხორცის იმპორტის დროს

1. საქართველოში იმპორტისთვის დაიშვება ფრინველის ხორცი, წარმოებული ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მუდმივი ვეტერინარული კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოში და საწარმოს გააჩნია ამ პროდუქტის ექსპორტზე გატანის უფლება.

2. საკლავ ფრინველს ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ჩატარებული უნდა ჰქონდეს დაკვლისწინა შემოწმება, ხოლო მის ტანხორცს – დაკვლის შემდგომი ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზა.

3. ხორცს უნდა გააჩნდეს მარკირება (ვეტერინარული დამლა) შეფუთვაზე ან ეტიკეტი პოლიბლოკზე. ეტიკეტი ისე უნდა იყოს განთავსებული შეფუთვაზე, რომ მისი გახსნა შეუძლებელი იყოს ეტიკეტის მთლიანობის დარღვევის გარეშე.

4. ხორცი მიღებული უნდა იყოს ჯანმრთელი ფრინველის დაკვლის შედეგად, იმ მეურნეობასა და ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, რომელიც თავისუფალია გადამდები დაავადებებისაგან, მათ შორის:

ა) ღორის აფრიკული ცხელებისაგან – ადმინისტრაციული ტერიტორია (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი და ა.შ.) ბოლო 3 წლის განმავლობაში;

ბ) თურქულისაგან – ადმინისტრაციული ტერიტორია (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი და ა.შ.) - ბოლო 12 თვის განმავლობაში;

გ) ნიუკასლის დაავადებისა და ფრინველის გრიპისაგან – ადმინისტრაციული ტერიტორია (შტატი, პროვინცია, მიწა, ოლქი და ა.შ.) - ბოლო 12 თვის განმავლობაში;

დ) ორნითოზის (ფსიტაკოზისაგან), პარამიქსოვირუსული ინფექციის, ინდაურის რინოტრაქეიტის, ინფექციური ლარინგოტრაქეიტისა და ინფექციური ენცეფალომიელიტისაგან – ქათმისა და ინდაურის მეურნეობა – ბოლო 6 თვის განმავლობაში;

ე) ვირუსული ენტერიტის, იხვის ჭუკის ჰეპატიტისა და ორნითოზისაგან (პსიტაკოზისაგან) – მეიხვეობისა და მებატეობის მეურნეობა - ბოლო 6 თვის განმავლობაში;

ვ) ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხმელეთის ცხოველთა სანიტარიული კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, საკლავი ფრინველი უნდა გამოდიოდეს სალმონელოზზე კეთილსაიმედო მეურნეობიდან.

5. საქართველოში იკრძალება ფრინველის ხორცის შემოტანა:

ა) თუ დაკვლის შემდგომი ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზის შედეგად მას აღმოაჩნდა გადამდები დაავადებისა და ჰელმინთებით დაზიანებისათვის, ასევე სხვადასხვა ნივთიერებებით მოწამვლისათვის დამახასიათებელი ცვლილებები;

ბ) გამოუშიგნავი ან ნახევრად გამოშიგნული ფრინველის ხორცი;

გ) თუ გაყინული ფრინველის ხორცის კუნთის სისქეში ტემპერატურა -180°C -ზე მაღალია;

დ) თუ იგი შეიცავს კონსერვანტებს, რომელთა გამოყენება არ არის ნებადართული საქართველოს კანონმდებლობით;

ე) მუქი პიგმენტაციის მქონე (ინდაურისა და ციცრის გარდა);

ვ) თუ წარმოებისას გამოყენებულია თავი (ზიბილოს, ყურების, თვალების და ქუთუთოების გარდა), მომწიფებელი ტრაქტი, ჩიჩახვი, ნაწლავები და სასქესო ორგანოები;

ზ) თუ მექანიკურად განცალკევებული ხორცის წარმოებისას გამოყენებულია შემდეგი ნედლი მასალა – ფეხები, კისრის კანი და თავი.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შემოწმება არ ხდება საქართველოში იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ იმ პროდუქციაზე, რომელზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების შესაბამისად გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

მუხლი 19. სპეციფიკური მოთხოვნები ბავშვთა კვების პროდუქტებისათვის

1. საქართველოში იმპორტისთვის დაიშვება ბავშვთა კვების პროდუქტი, რომელიც დამზადებულია ისეთ საწარმოში, რომელსაც გააჩნია ამ პროდუქტის ექსპორტზე გატანის უფლება.

2. ბავშვთა კვების პროდუქტი არ უნდა შეიცავდეს ანტიბიოტიკების ნარჩენებს.

3. ბავშვთა კვების პროდუქტში გამოყენებული რძე და რძის პროდუქტები დამზადებული უნდა იყოს ისეთ მეურნეობაში და ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, სადაც არ იყო დაფიქსირებული ცხოველთა გადამდები დაავადებები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

4. ცხოველზე, რომლისგან მიღებული ხორცი გამოყენებულია ბავშვთა კვების პროდუქტის საწარმოებლად, განხორციელებული უნდა იყოს დაკვლისწინა ვეტერინარული შემოწმება, ხოლო მისგან მიღებულ ტანხორცსა და ორგანოებზე - დაკვლის შემდგომი ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზა ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული სპეციფიკური მოთხოვნების შემოწმება არ ხდება საქართველოში იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ იმ პროდუქციაზე, რომელზეც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების შესაბამისად გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

ფიზიკური შემოწმების შემცირებული სიხშირე

N	სეს ესნ კოდი	საქონლის კატეგორიები	ფიზიკური შემოწმების სიხშირე
საქონლის კატეგორია I			
1	02	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, ახალი ხორცი	20 %
	1601	ძეხვი და ანალოგიური პროდუქტები ხორცის, ⁽¹⁾ ხორცის სუბპროდუქტებისა ან სისხლისაგან; მზა კვების პროდუქტები, დამზადებული მათ საფუძველზე	
2	0302 0303 0304 0305	თევზის პროდუქტები	
3	0407 21 000 00 0407 29	ახალი კვერცხი	
4	0209	ღორის ქონი, მჭლე ხორცისაგან გამოცალკევებული და შინაური ფრინველის ქონი, გადაუდნობელი ან რაიმე სხვა ხერხით ამოუღებელი, ახალი, გაცივებული, გაყინული, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი	
5	0504	ცხოველების (თევზების გარდა) ნაწლავები, ბუშტები და კუჭები, მთლიანი ან ნაჭრებად, ახალი, გაცივებული, გაყინული, დამარილებული, მარილწყალში, ხმელი ან შებოლილი	
6	0407 11 000 00 0407 19	საინკუბაციო კვერცხი	
საქონლის კატეგორია II			
1	0207	ფრინველის ხორცი და ფრინველის ხორცის პროდუქტები	50 %
2	0208	კურდღლისა და ბოცვერის ხორცი, გარეული ცხოველის ხორცი (ფერმის/ნანადირევი) და მათი პროდუქტები	
3	0401 0402 0403 0404 0405 0406	რძე და რძის პროდუქტები	
4	0408	კვერცხის პროდუქტები – ფრინველის კვერცხი უნაჭუჭოდ და კვერცხის გულები, ახალი, გამხმარი, ორთქლზე ან მდუღარე წყალში მოხარშული, დაყალიბებული, გაყინული ან სხვა ხერხით დაკონსერვებული, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე	
5	391710 100	გადამუშავებული(გამყარებული) ცხოველური პროტეინები (გარსაცმი ძეხვეულის ნაწარმისათვის)	

6	0306 0307	თევზჭერის სხვა პროდუქტები და ორსაგდულიანი მოლუსკები	
7	0409 00 000 00	თაფლი ნატურალური	
საქონლის კატეგორია III			
1	0511 99 853 00 0511 11 000 00	სპერმა ხარის სპერმა	არანაკლებ – 1% არაუმეტეს – 10%
2	0511 99 852 00	ემბრიონი	
3	3101 00 000 00	სასუქი (ნაკელი)	
4	2309	ცხოველის საკვები რძის პროდუქტის შემცველობით	
5	0208 90 700 00 0307 60 000 00 1605 58 000 0	ბაყაყის თათები და ლოკოკინები	
6	0506	ძვლები და რქის ღერო, დაუმუშავებელი, ცხიმგამოცლილი, პირველადი დამუშავებით (ფორმის მიუცემლად), მჟავათი დამუშავებული ან დეჟელატინიზებული, ამ პროდუქტების ფხვნილი და ნარჩენები:	
7	4101 4102 4103	დაუმუშავებელი ტყავები და ტყავეულის ნედლეული	
8	0505	ტყავები და ფრინველის სხვა ნაწილები ნაკრტენით ან ბუმბულით, ნაკრტენი და ნაკრტენის ნაწილები (მოჭრილი ან მოჭრელი კიდეებით) და ბუმბული, გაწმენდილი, დეზინფიცირებული ან შესანახად დამუშავებული, მაგრამ შემდგომი დამუშავების გარეშე; ნაკრტენის და მისი ნაწილების ფხვნილი და ნარჩენები	
9	0507	ჩლიქები, ფრჩხილები, ბრჭყალები და ნისკარტები, სპილოს ძვალი, კუს ჯავშანი, ვეშაპის ან ზღვის სხვა ძუძუმწოვრების ულვაში, რქები, ირმის რქები, დაუმუშავებელი ან პირველადი დამუშავებით (ფორმის მიუცემლად), ამ პროდუქტების ფხვნილი და ნარჩენები	
10	1521	მეფუტკრეობის პროდუქტები	
11	05	ნანადირევის ტროფეები	
12	2309	შინაური ბინადარი ცხოველის საკვები გადამუშავებული	
13	კოდის გარეშე	შინაური ბინადარი ცხოველის საკვების დამზადებისათვის განკუთვნილი ნედლეული	
14	0510 და 3002 ჯგუფიდან	ნედლეული, სისხლი, სისხლის პროდუქტები, ჯირკვლები და ფარმაცევტული მოხმარებისათვის განკუთვნილი ორგანოები, მათ შორის	
15	0510 და 3002 ჯგუფიდან	სისხლის პროდუქტები ტექნიკური დანიშნულებით გამოყენებისათვის	
16	3002 90 500 00 3002 90 900 00	პათოგენები	
17	1213 00 000 00 1214	ჩალა და ბზა მარცვლეულისა	

(1) ხორცის პროდუქტი – გადამუშავებული პროდუქტი, რომელიც მიიღება ხორცის გადამუშავებით ან გადამუშავებული ხორცის შემდგომი გადამუშავებით ისე, რომ ხორცის გადანაჭერის ზედაპირს აღარ ახასიათებს ახალი ხორცისათვის დამახასიათებელი ნიშნები;

დანართი №10

საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტი - ცხოველები

„დანართი №10

ნაწილი I. მოსახლეობის შესახებ	1. გამგზავნი/ექსპორტიორი დასახელება		2. რეგისტრაციის ნომერი			
	მისამართი		სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი:			
	ქვეყანა		დასახელება			
	3. მიმღები დასახელება		4. ტვირთზე პასუხისმგებელი პირი			
	მისამართი		დასახელება			
	ქვეყანა		მისამართი			
	7. იმპორტიორი დასახელება		5. წარმოშობის ქვეყანა		6. წარმოშობის რეგიონი	
	მისამართი		8. დანიშნულების ადგილი			
	ქვეყანა		დასახელება			
	9. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში შემოსვლა		10. ვეტერინარული დოკუმენტები			
თარიღი		დოკუმენტის ტიპი:				
11. ტრანსპორტის სახეობა:		ნომერ(ებ)ი				
სასაგრო <input type="checkbox"/> საზღვაო <input type="checkbox"/> სარკინიგზო <input type="checkbox"/> საავტომობილო <input type="checkbox"/>		გაცემის თარიღი				
იდენტიფიკაცია:		სხვა თანმშლები დოკუმენტები:				
სატრანსპორტი დოკუმენტის N:		ნომერ(ებ)ი				
12. ცხოველების სახეობა, საქონლის საერთო წონა/შეფუთვის რაოდენობა						
ცხოველის დასახელება	სეს ესნ კოდი	წონა/რაოდენობა	საზომი ერთეული	შეფუთვების რაოდენობა	სერტიფიკატის N	წმარათვის N
13. ცხოველები სერტიფიცირებულია, როგორც:						
სანამუნე/შეარმობელი <input type="checkbox"/> გასახტებელი <input type="checkbox"/> საკლავი <input type="checkbox"/> საკლავი <input type="checkbox"/> შინაური ცხოველები <input type="checkbox"/>						
კარანტინი <input type="checkbox"/> რეგისტრირებული ცხენები <input type="checkbox"/> გადაყვანა <input type="checkbox"/> ცირკი/გამოყვანის <input type="checkbox"/> სხვა <input type="checkbox"/>						
14. კონტეინერის ნომერი და ლუბის ნომერი						
15. რეგებორტი			16. ტრანზიტი			
გასვლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი (კოდი)			დანიშნულების ქვეყანა			
დანიშნულების ქვეყანა			გასვლის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი (კოდი)			
17. იმპორტი ან დროებითი შემოტანა			18. უკან მიბრუნებული საქონელი			
საბოლოო იმპორტი						
ცხენების დაბრუნება						
ცხენების დროებითი შემოყვანა						
გასვლის თარიღი						
გასვლის ადგილი						
19. ტრანსპორტირება სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის შემდეგ			20. გადამზიდავი			
რკინიგზის ვაგონი			დასახელება			
სასაგრო ხონალდი			რეგისტრაციის ნომერი			
გემი			მისამართი			
ავტოტრანსპორტი			საფოსტო კოდი/რეგიონი			
სხვა			ქვეყანა			
21. მარშრუტის გეგმა						
დაბ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>						